

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის  
ინსტიტუტი



პროგრამა „ლოგოსი“

პუბლიკაციები და ლონისძიებები კლასიკური ფილოლოგიის,  
ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის სფეროში

ნიგნი ქვეყნდება პროგრამის  
*დიონისიოს ვარელასი ბიზანტინისტიკის განვითარებისათვის*  
მხარდაჭერით

Το βιβλίο εκδόθηκε με την υποστήριξη του προγράμματος  
*Διονύσιος Βαρελάς για την ενίσχυση της διδασκαλίας των Βυζαντινών*  
*σπουδών*

The book is published with the support of the programme  
*Dionysios Varelas for the Development of Byzantine Studies*



თბილისი  
2025

© პროგრამა „ლოგოსი“, 2025

ISBN 978-9941-9858-7-4

პროგრამა „ლოგოსი“

ილია ჭავჭავაძის გამზირი 13,  
თბილისი, 0179

ტელ.: 2 25-02-58, ფაქსი: 2 22-11-81

ელ. ფოსტა: [greekstudies@tsu.ge](mailto:greekstudies@tsu.ge)

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეციისტიკის  
ინსტიტუტი

## სამეცნიერო კონფერენციები პროგრამა და თეზისები



### კონფერენციები ეძღვნება

ცნობილი ქართველი ელინისტის, თსუ ემერიტუსი პროფესორის,  
აკადემიკოსის, საქსონიის მეცნიერებათა აკადემიის  
წევრ-კორესპონდენტის, თსუ კლასიკური ფილოლოგიის,  
ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეციისტიკის ინსტიტუტის  
დამაარსებლის, **რისმაგ გორდეზიანის დაბადებიდან 85-ე წლისთავს**

თბილისი  
2025

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის  
ინსტიტუტი

სტუდენტთა XI ყოველწლიური კონფერენცია

## „ანტიკურობის თანამედროვეობა“

*კონფერენცია ეძღვნება ცნობილი ქართველი ელინისტის, თსუ  
ემერიტუსი პროფესორის, აკადემიკოსის, საქსონიის მეცნიერებათა  
აკადემიის ნევრ-კორესპონდენტის, თსუ კლასიკური ფილოლოგიის,  
ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის  
დამაარსებლის, რისმაგ გორდეზიანის დაბადებიდან 85-ე წლისთავს.*

## პროგრამა



14-16 მაისი, 2025  
თბილისი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
Institute of Classical, Byzantine and Modern Greek Studies

Students' XI International Conference

## **“Contemporaneity of Antiquity”**

*The conference is dedicated to the 85th anniversary of the birth of the renowned Georgian Classicist, TSU Professor Emeritus, Academician, Corresponding Member of the Saxon Academy of Sciences, and founder of TSU Institute of Classical, Byzantine and Modern Greek Studies*  
**Rismag Gordeziani.**

## **PROGRAMME**



May 14-16, 2025  
Tbilisi

## კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტი:

- ირინე დარჩია, ასოცირებული პროფესორი, ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე (თავმჯდომარე)
- ნანა ტონია, პროფესორი, კლასიკური ფილოლოგიის კათედრის გამგე
- მარიამ კალაძე, კლასიკური ფილოლოგიის დოქტორანტი
- ანნა ბერიშვილი, ახალი ბერძნული ფილოლოგიის დოქტორანტი
- ეკატერინე კვიციანი, კლასიკური ფილოლოგიის დოქტორანტი
- გიორგი ბარნაბიშვილი, სამაგისტრო პროგრამის “ძველი ენები და ცივილიზაციები” მაგისტრანტი
- ბექა გელაშვილი, კლასიკური ფილოლოგიის ბაკალავრიატის სტუდენტი

### **Conference Organizing Committee:**

- Dr. Irine Darchia, Associate Professor, Deputy Head of the Institute (Chair)
- Dr. Nana Tonia, Professor, Chair of the Department of Classics
- Mariam Kaladze, PhD Student in Classics
- Anna Berishvili, PhD Student in Modern Greek Philology
- Ekaterine Kvirkvelia, PhD Student in Classics
- Giorgi Barnabishvili, MA Student of “Ancient Languages and Civilizations”
- Beka Gkelasvili, Bachelor Student in Classics

## **კონფერენციის სექციები:**

I სექცია - კლასიკური ფილოლოგიის აქტუალური საკითხები

II სექცია - ანტიკური სამყაროს ისტორია

III სექცია - ანტიკურობის რეცეფცია მსოფლიო კულტურაში

IV სექცია - კლასიკური ენების ლინგვისტიკა

V სექცია - ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის აქტუალური საკითხები

**რეგლამენტი:** მოხსენების ხანგრძლივობა – 20 წუთი, დისკუსია – 10 წუთი

კონფერენცია ჩატარდება თსუ მერვე კორპუსში და ონლაინ პლატფორმა ZOOM-ის საშუალებით

**მისამართი:** ი. ჭავჭავაძის გამზ. N 13, თსუ მერვე კორპუსი, ოთახი N 220

ZOOM link:

Join Zoom Meeting

<https://us02web.zoom.us/j/89716064383?pwd=YW4veUFiZ0RuYk-FqZEx6WmtPckYvQT09>

Meeting ID: 897 1606 4383

Passcode: 784685

**Conference Sessions:**

I Session – Topical Issues of Classics

II Session – Ancient History

III Session – Reception of Antiquity

IV Session – Linguistics of Classical Languages

V Session – Topical Issues of Byzantine and Modern Greek Studies

**Time Limit:** Paper – 20 minutes, Discussion – 10 minutes

Conference will be held at TSU VIII Building and online, via ZOOM

**Conference Venue:** I. Chavchavadze Ave.13, TSU VIII Building, Room 220

ZOOM link:

Join Zoom Meeting

<https://us02web.zoom.us/j/89716064383?pwd=YW4veUFiZ0RuYk-FqZEx6WmtPckYvQT09>

Meeting ID: 897 1606 4383

Passcode: 784685

14 May, 2025  
14 მაისი, 2025

**I Session: Topical Issues of Classics**

**I სექცია: კლასიკური ფილოლოგიის აქტუალური საკითხები**  
Room N 220 / აუდიტორია N 220

**Chair:** Prof. Nana Tonia

**თავმჯდომარე:** პროფ. ნანა ტონია

**Co-Chair:** Mariam Kaladze

**თანათავმჯდომარე:** დოქტორანტი მარიამ კალაძე

● **12.00 – 12.30: Opening of the Conference / კონფერენციის გახსნა**

● **12.30 – 13.00: ნინო გვენეტაძე** (დოქტორანტურა, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო)

“ბედკეთილია იგი ვინც... უყვართ” ანუ სიყვარულით შექმნილი სამყარო ჰესიოდეს “თეოგონიაში”

● **12.30 – 13.00: Nino Gvenetadze** (PhD Student, Kutaisi State University, Georgia)

“Fortunate is the one who... is loved”, i.e. a World Created by Love in Hesiod’s *Theogony*

● **13.00 – 13.30: გიორგი ჭიჭინაძე** (დოქტორანტურა, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო)

პოეტები და არაპოეტები: ალექსანდრიის ბიბლიოთეკის მთავარი ბიბლიოთეკარები

● **13.00 – 13.30: Giorgi Chichinadze** (PhD Student, Kutaisi State University, Georgia)

Poets and Non-poets: Prominent Librarians of the Library of Alexandria

● **13.30 – 14.00: დარია ბელოუსოვა** (ბაკალავრიატი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო)

მარკუს ტულიუს ციცირონის “ექსორდიუმების” პათოსი და ეთოსი

● **13.30 – 14.00: Daria Belousova** (Bachelor Student, Tbilisi State University, Georgia)

The Pathos and Ethos of Marcus Tullius Cicero’s *Exordiums*

14.00 – 15.00: Break / შესვენება

● **15.00 – 15.30: ნინო ლლონტი** (დოქტორანტურა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო)

ადაპტაციის მეთოდის გამოყენება ანტიკური ლიტერატურის სწავლების პროცესში

● **15.00 – 15.30: Nino Glonti** (PhD Student, Tbilisi State University, Georgia)

Using the Method of Adaptation in Teaching Ancient Literature

● **15.30 – 16.00: ლუკა ცინდელიანი** (დოქტორანტურა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო)

აქილევსი ბუშიდოს წინააღმდეგ: რა პრინციპები განასხვავებს ეპიკურ გმირს სამურაისგან

● **15.30 – 16.00: Luka Tsindeliani** (PhD Student, Tbilisi State University, Georgia)

Achilles’ against Bushido: The Principal Differences Between a Samurai and an Epic Hero

● **16.00 – 16.30: Gabriela Canazart** (PhD Student, University of Sao Paulo, Brazil)

Forged Singularity: Achilles’ Arms in the *Iliad*

- **16.00 – 16.30: გაბრიელა კანაზარტი** (დოქტორანტურა, სან პაოლოს უნივერსიტეტი, ბრაზილია)

„გამოქედილი განსაკუთრებულობა“: აქილევსის ფარი “ილია-დაში”

16.30 – 17.00: Break / შესვენება

## **II Session: Ancient History**

**II სექცია: ანტიკური სამყაროს ისტორია**

Room N 220 / აუდიტორია N 220

**Chair:** Prof. Levan Gordeziani

**თავმჯდომარე:** პროფ. ლევან გორდეზიანი

**Co-Chair:** MA Student Giorgi Barnabishvili

**თანათავმჯდომარე:** მაგისტრანტი გიორგი ბარნაბიშვილი

- **17.00 – 17.30: ზურაბ მაჭავარიანი** (დოქტორანტურა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო)

მითრიდატე VI ევპატორი ლევან გოთუას რომან “მითრიდატეს” მიხედვით

- **17.00 – 17.30: Zurab Machavariani** (PhD Student, Ilia State University, Georgia)

Mithridates VI Eupator According to Levan Gotua’s Novel *Mithridates*

- **17.30 – 18.00: Luis Alejandro Castro Mcausland** (BA student, La Sabana University, Colombia)

Sustainability and the Fall of the Western Roman Empire: Lessons for the 21st Century

- **17.30 – 18.00: ლუის ალენანდრო კასტრო მაკაუსლანდი** (ბაკალავრიატი, ლა საბანას უნივერსიტეტი, კოლუმბია)  
მდგრადი განვითარება და დასავლეთ რომის იმპერიის დაცემა: გაკვეთილები 21-ე საუკუნისთვის

**May 15, 2025**  
**15 მაისი, 2025**

### **III Session: Reception of Antiquity**

**III სექცია: ანტიკურობის რეცეფცია მსოფლიო კულტურაში**  
Room N 220 / აუდიტორია N 220

**Chair: Assoc. Prof. Ketevan Nadareishvili**

**თავმჯდომარე:** ასოც. პროფ. ქეთევან ნადარეიშვილი

**Co-Chair: MA Student Giorgi Barnabishvili**

**თანათავმჯდომარე:** მაგისტრანტი გიორგი ბარნაბიშვილი

- **11.00 – 11.30: SHI Xiaoyun** (MA Student, Nagoya University, Japan)  
Fate and Agency: A Comparative Analysis of Hector’s Character in Homer’s *Iliad* and the Film *Troy* (2004)

- **11.00 – 11.30: ში შიაოიუნი** (მაგისტრატურა, ნაგოიას უნივერსიტეტი, იაპონია)

ბედისწერა და არჩევანის თავისუფლება: ჰექტორის პერსონაჟის შედარებითი ანალიზი ჰომეროსის “ილიადასა” და ფილმ “ტროას” მიხედვით (2004)

- **11.30 – 12.00: Olha Yefremova** (PhD Student, Mariupol State University, Ukraine)

The Homeric Epic about Penelope and the Specificity of its Transformation in Kostas Varnalis’ Novel “The diary of Penelope”

- **11.30 – 12.00: ოლჰა ევრემოვა** (დოქტორანტურა, მარიუპოლის უნივერსიტეტი, უკრაინა)

პენელოპე ჰომეროსის ეპოსში და მისი ტრანსფორმაციის თავისებურებები კოსტას ვარნალისის რომანში „პენელოპეს დღიური“

- **12.00 – 12.30: Daliya Nenova** (BA Student, University of St. Kliment Ohridski, Bulgaria)

The Transformation of Hades and his Myth in Modern Storytelling - From Ancient Dread to Romantic Archetype

- **12.00 – 12.30: დალია ნენოვა** (ბაკალავრიატი, წმ. კლიმენტ ოჰრიდსკის სახელობის უნივერსიტეტი, ბულგარეთი)

ჰადესისა და მისი მითის ტრანსფორმაცია თანამედროვე ნარატივში - უძველესი შიშიდან რომანტიკულ არქეტიპამდე

- **12.30 – 13.00: Anna Sava** (BA Student, University of Bucharest, Romania)

Self and Time: a Story in Modern Colors

- **12.30 – 13.00: ანნა სავა** (ბაკალავრიატი, ბუქარესტის უნივერსიტეტი, რუმინეთი)

თვითმყოფადობა და დრო: ამბავი თანამედროვე ფერებში

13.30 – 14.00: Break / შესვენება

- **13.30 – 14.00: გიორგი ბარნაბიშვილი** (მაგისტრანტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო)

ესქილეს “სპარსელების” რეციპირება პ.ბ. შელის “ჰელასსა” და პ. სელარსის სპექტაკლ “სპარსელებში” (მხატვრული და ისტორიული ასპექტები)

- **13.30 – 14.00: Giorgi Barnabishvili** (Ma Student, Tbilisi State University, Georgia)

Reception of Aeschylus “Persians” in P.B. Shelley’s “Hellas” and P. Sel-lar’s Play “Persians” (Literary and Historical Aspects)

#### IV Session: Linguistics of Classical Languages

IV სექცია: კლასიკური ენების ლინგვისტიკა

Room N 220 / აუდიტორია N 220

Chair: Assoc. Prof. Iamze Gagua

თავმჯდომარე: ასოც. პროფ. იამზე გაგუა

Co-Chair: BA Student Beka Gkelasvili

თანათავმჯდომარე: ბაკალავრიატის სტუდენტი

ბექა გელაშვილი

- **14.00 – 14.30: Beka Gkelasvili** (BA Student, Tbilisi State University, Georgia)

The Theory of the Arbitrariness of the Linguistic Sign in Classical Greece

- **14.00 – 14.30: ბექა გელაშვილი** (ბაკალავრიატი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო)

ენობრივი ნიშნის პირობითობის თეორია კლასიკური პერიოდის საბერძნეთში

- **14.30 – 15.00: Elena Donadio** (MA, Universita degli Studi di Genova, Italy)

P. Lit. Lond. 182: an Ancient τέχνη γραμμάτων and its Points of Contact with Scholarly Treatises

- **14.30 – 15.00: ელენა დონადიო** (მაგისტრანტი, გენუას უნივერსიტეტი, იტალია)

P. Lit. Lond. 182: უძველესი τέχνη γραμμάτων და მისი გადაკვეთის ნერტილები სამეცნიერო ტრაქტატებთან

- **15.00 – 15.30: ალექსანდრე თავბერიძე** (ბაკალავრიატი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო)

პერფექტის წარმოება ფუძის გაორმაგებით ლათინურსა და ძველ ბერძნულ ენებში

● **15.00 – 15.30: Alexandre Tavberidze** (BA Student, Tbilisi State University, Georgia)

Formation of the Perfect Tense by Reduplication of the Steam in Latin and Ancient Greek Languages

● **15.30 – 16.00: ნიკოლოზ ბებერაშვილი** (ბაკალავრიატი, თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო)

რელიგიურ-კულტურულ მიმართებათა ასახვისათვის ბერძნულ-ებრაულ ენობრივ პარალელებში

● **15.30 – 16.00: Nikoloz Beberashvili** (BA Student, Tbilisi State University, Georgia)

Cultural and Religious Correspondences Between the Linguistic Parallels of Greek and Hebrew

16.00 – 16.30: Break / შესვენება

## I Session: Topical Issues of Classics

I სექცია: კლასიკური ფილოლოგიის აქტუალური საკითხები

Room N 220 / აუდიტორია N 220

**Chair:** Assoc. Prof. Manana Pkhakadze

**თავმჯდომარე:** ასოც. პროფ. მანანა ფხაკაძე

**Co-Chair:** BA Student Nino Karaulashvili

**თანათავმჯდომარე:** ბაკალავრიატის სტუდენტი ნინო ყარაულაშვილი

● **16.30 – 17.00: ნინო ყარაულაშვილი** (ბაკალავრიატი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო)

რისხვის მნიშვნელობა პოლიტიკური პროტესტისთვის სენეკას “De Ira”-ს მიხედვით

● **16.30 – 17.00: Nino Karaulashvili** (BA Student, Tbilisi State University, Georgia)

The meaning of Anger for Political Protest according to Seneca’s *De Ira*

● **17.00 – 17.30: მარიამ ნოზაძე** (ბაკალავრიატი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო)

რძე, როგორც უკვდავების სიმბოლო ორფიკულ ფირფიტებში

● **17.00 – 17.30: Mariam Nozadze** (BA Student, Tbilisi State University, Georgia)

Milk as a Symbol of Immortality in Orphic Tablets

● **17.30 – 18.00: ლაშა თაკაშვილი** (ბაკალავრიატი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო)

დიდოს რიტუალური პრაქტიკა

● **17.30 – 18.00: Lasha Takashvili** (BA Student, Tbilisi State University, Georgia), The Ritual Practice of Dido

● **17.30 – 18.00: მარიამ კალაძე** (დოქტორანტურა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო)

„მედეა“ XIX საუკუნის ქართულ სცენაზე ქალთა უფლებებისთვის ბრძოლის კონტექსტში

● **17.30 – 18.00: Mariam Kaladze** (PhD Student, Tbilisi State University, Georgia),

Staging ‘Medea’ in 19th-Century, Georgia: Theatre and the Women’s Rights Movement

**May 16, 2025**

**16 მაისი, 2025**

**V Session: Topical Issues of Byzantine and Modern Greek Studies**

**V სექცია: ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის აქტუალური საკითხები**

Room N 220 / აუდიტორია N 220

**Chair:** Prof. Tina Dolidze

**თავმჯდომარე:** პროფ. თინა დოლიძე

**Co-Chair:** BA Student Tsothe Iremadze

**თანათავმჯდომარე:** ბაკალავრიატის სტუდენტი ცოტნე ირემაძე

● **12.00 – 12.30: მარიკა ჭითანავა-ლობჯანიძე** (დოქტორანტურა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო)

წმინდა მარკოზ მახარებლის ლიტურგიის საღმრთისმეტყველო ტერმინოლოგიური ანალიზი ძველბერძნულ, ლათინურ და კოპტურ ხელნაწერებზე დაყრდნობით

- **12.00 – 12.30: Marika Chitnava-Lobjanidze** (PhD Student, Tbilisi State University, Georgia)

The Theological and Terminological Analysis of the Liturgy of Saint Mark the Evangelist Based on Ancient Greek, Latin, and Coptic Manuscripts

- **12.30 – 13.00: თამარ ბარბაქაძე** (ბაკალავრიატი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო)

დასაბამიერი ქმნადობის გააზრებისთვის ბიბლიურ კოსმოლოგიაში (ნმ. ბასილი დიდისა და ნმ. გრიგოლ ნოსელის ეგზეგეტიკური თხზულებების მიხედვით)

- **12.30 – 13.00: Tamar Barbakadze** (BA student, Tbilisi State University, Georgia)

Understanding the Primordial Creation in Biblical Cosmology (Based on the Exegetical Works of St. Basil the Great and St. Gregory of Nyssa)

13.00 – 13.30: Break / შესვენება

**Chair:** Assoc. Prof. Ana Chikovani

**თავმჯდომარე:** ასოც. პროფ. ანა ჩიქოვანი

**Co-Chair:** PhD Student Anna Berishvili

**თანათავმჯდომარე:** დოქტორანტი ანნა ბერიშვილი

- **13.30 – 14.00: Ozlem Atay** (PhD Student, University of Patras, Greece)

Greek Author Thrasos Kastanakis and Istanbul

- **13.30 – 14.00: ოზლემ ათაი** (დოქტორანტურა, პატრის უნივერსიტეტი, საბერძნეთი)

ბერძენი ავტორი თრასოს კასტანაკისი და სტამბოლი

● **14.00 – 14.30: ნინო ართი ლაცვა** (ბაკალავრი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო)

თეოდოროს ტერზოპულოსი - ორი მანიფესტი (ხილთა შესაქმედა მითის შესახებ)

● **14.00 – 14.30: Nino Artilakva** (BA, Tbilisi State University, Georgia)

Theodoros Terzopoulos - Two Manifests (On the Creation of Bridges and on Myths)

● **14.30 – 15.00: ნინა გოგიჩაშვილი** (ბაკალავრიატი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო)

თურქულ-ბერძნული ურთიერთობების ასახვა ბერძნულ კინემატოგრაფში: ორი ერის ისტორია ერთი კამერის ობიექტივში

● **14.30 – 15.00: Nina Gogichashvili** (BA student, Tbilisi State University, Georgia)

Representation of Greco-Turkish Relations in Greek Cinematography: the History of Two Nations through one Lense

● **15.00: Closing of the Conference / კონფერენციის დახურვა**

**თეზისები**  
**Abstracts**

## ნინო ართილაყვა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
(საქართველო)

### თეოდოროს ტერზოპულოსი – ორი მანიფესტი (ხიდათა შესაქმე და მითის შესახებ)

მოხსენება შეეხება თანამედროვე თეატრის ღირსეული ნარ-  
მომადგენლის, თეოდოროს ტერზოპულოსის ორ მანიფესტს,  
რომელთა თარგმანი ეკუთვნის თათია მთვარელიძეს.

ჩვენი მიზანია გავეცნოთ სამეცნიერო მანიფესტის ავტორს  
და გავიაზროთ, როგორ აღიქვამს ტერზოპულოსი მითს, რო-  
გორც თეატრალური შემოქმედების ინსტრუმენტს. რა კავშირია  
ანტიკურ დრამასა და თანამედროვე თეატრს შორის? რა არის  
მისი მანიფესტის ძირითადი პრინციპები და როგორ განსხვავდე-  
ბა ისინი სხვა თეატრალური მიდგომებისგან?

ნაშრომის მიზანია გავიგოთ, თუ „რას შვრება თეატრი? მა-  
შინ, როდესაც ყველაფერი ერთგვაროვნდება, შეუძლია თუ არა  
მას, ხიდი გადოს სხვასთან, უცხოსთან, ამოუცნობთან?“ რა  
ძალა შესწევს მითს? რითი უნდა შეფასდეს ის, „რასთან გვაქვს  
საქმე?“ და სხვა ათობით შეკითხვა, რომელიც ნაწილობრივ  
ამოატრიალებს „იდეალიზმებითა“ თუ „ჯადოსნურობით“ სავსე  
სამყაროს და გაგვაგონებს XXI საუკუნის მთავარ SOS-ს.

საბოლოოდ, დასკვნა შეეხება ორივე მანიფესტის უიმედო  
დასასრულს. სამწუხაროდ, აუცილებელია ყურადღების გა-  
მახვილება მათზე, რათა ჩავწვდეთ თანამედროვე თეატრის  
რეალურ სახეს – „განათების მიღმა“ და შევისწავლოთ „მითის  
შინაგანი სისხლდენის“ მიზეზები, გამოვავლინოთ მისი რე-  
კონსტრუქციის საფუძვლები და ხელახლა აღმოვაჩინოთ გზა,  
რომელიც, ტერზოპულოსის თანახმად, მას სიტყვასთან აკავ-  
შირებს.

## თამარ ბარბაქაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
(საქართველო)

### **დასაბამიერი ქმნადობის გააზრებისათვის ბიბლიურ კოსმოლოგიაში (ნმ. ბასილი დიდისა და ნმ. გრიგოლ ნოსელის ეგზეგეტიკური თხზულებების მიხედვით)**

სამყაროს სანყისის (ἀρχή), მისი დასაბამის პრობლემა ყოველთვის წარმოადგენდა მოაზროვნეთა განსაკუთრებული ინტერესის ობიექტს. არ აქვს არსებითი მნიშვნელობა, აზროვნების რომელ პარადიგმაზე ვისაუბრებთ, ან რომელ სამეცნიერო თუ არასამეცნიერო დისციპლინას შევუხებით, ეს საკითხი, ფაქტობრივად, თანაბარმნიშვნელოვანი იყო ყოველთვის და ყველასთვის. ბერძენი ფილოსოფოსები ამ საკითხს თავისებურად წყვეტდნენ და განსაკუთრებით სანყის პერიოდში (გგულისხმობთ დაახლ. ძვ.წ. მე-6-მე-5 საუკუნეებს, ანუ ე.წ. კოსმოლოგიურ პერიოდს ძველი ბერძნული ფილოსოფიისა) სამყაროს 'არხედ' რაღაც ნივთიერის მოაზრებას ცდილობდნენ (მაგალითად, თალესი წყალს ასახელებდა, ანაქსიმენე – ჰაერს და სხვ.). ქრისტიანობაში ზემოაღნიშნული საკითხი თავის სპეციფიკურ და ძველი ბერძნული ფილოსოფიური ტრადიციისგან მეტად განსხვავებულ სახეს იღებს. აი, მაგალითად, ჩვენ, როდესაც მსჯელობა დავიწყეთ, სანყისი და დასაბამი ერთმანეთს გვერდით ისე მივუწერეთ, თითქოს ისინი იდენტური მნიშვნელობისანი ყოფილიყვნენ, ამით ჩვენი მსჯელობისთვის მეტად საინტერესო და სასარგებლო შეცდომა დავუშვით, რომლის გააზრებაშიც ქრისტიანი ღვთისმეტყველების ტექსტებზე დაკვირვება გამოგვადგება. ნმ. ბასილი დიდისა და ნმ. გრიგოლ ნოსელის თხზულებებში (ბასილი დიდის შემთხვევაში – ჰომილიებში) ფუნდამენტურ მნიშვნელობას იღებს განსხვავება სანყისს/დასანყისს და და-

საბამს შორის. თუ დასაწყისი ცალსახად დროსთანაა კავშირში და მის ერთ-ერთ ნაწილად გვევლინება, დასაბამი ჯერ კიდევ არ არის დრო. როგორც ვხედავთ, ეს საკმაოდ რთული, თუმცა ამავდროულად ძალიან საინტერესო საკითხია, რომლის განხილვაც, უპირველესად, იმის ნათლად გაცნობიერებაში შეგვიწყობს ხელს, თუ რატომაა აუცილებელი ბიბლიის არა მხოლოდ ლიტონი (სხვაგვარად – „სხეულებრივი“), არამედ ალეგორიული (ან კიდევ – „სულიერი“) კითხვა და როგორ გვეხმარება ის ჩვენივე საკუთარი სულიერი ზრდის პროცესში, რომლის შუა ეტაპზეც გვინვეს გონების განსაკუთრებული დაძაბვა თუ გავარჯიშება, რაც ჩვენს შემთხვევაში გამოიხატება იმის გაგების მცდელობაში, თუ რას გულისხმობს მაინც ეს „დასაბამი“, მხოლოდ ერთი სიტყვა, რომლის გააზრებისთვისაც კაპადოკიელი მამები ასეთ ვრცელ ჰომილიებს წარმოთქვამენ, ან გვთავაზობენ არანაკლებ ვრცელ თხზულებებს.

## გიორგი ბარნაბიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
(საქართველო)

### **ესქილეს „სპარსელების“ რეციპირება პ.პ. შელის „ჰელასსა“ და პ. სელარსის სპექტაკლ „სპარსელებში“ (მხატვრული და ისტორიული ასპექტები)**

XX საუკუნის 60-70-იანი წლებიდან იწყება ესქილეს „სპარსელების“ ხელახალი გადამუშავება და დადგმა ევროპულ და ამერიკულ სცენაზე. განსაკუთრებული აქტუალურობა კი ესქილეს ამ ტრაგედიის ინტერპრეტაციამ XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე შეიძინა, როდესაც დასავლეთისა და ისლამური სამყაროს დაპირისპირება გლობალური პოლიტიკის ერთ-ერთ უმწვავეს მოვლენად იქცა.

ეს ტრაგედია, რომელიც აქემენიდური სპარსეთის საბერძნეთთან ომს ეძღვნება და რომელიც ომში ბერძნების გამარჯვებიდან სულ მალე დაიდგა, უმნიშვნელოვანეს ნაწარმოებად იქნა აღიარებული უკვე ანტიკურობაში. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ბერძენ-სპარსელთა ომმა ფართო არეკვლა პოვა საბერძნეთის ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, იქნებოდა ეს რელიგია, ორატორია, პლატონური ფილოსოფია, ისტორიოგრაფია, თეატრი და ა.შ. მხატვრულ სფეროში მისი ასეთი აქტუალურობა, უპირველეს ყოვლისა, განაპირობა იმან, რომ ეს ომი მაშინვე გააზრებულ იქნა უზარმაზარ გეოპოლიტიკურ მოვლენად – ევროპისა და აზიის პარადიგმატულ დაპირისპირებად, მეორე „ტროას ომად“. ედით ჰოლის თქმით, „ესქილეს „სპარსელები“ წარმოადგენს პირველ შეუმცდარ ფაილს ორიენტალიზმის არქივში, იმ დისკურსს, რომლითაც ევროპულმა რეპრეზენტაციამ მოახდინა აზიაზე გაბატონება იმით, რომ წარმოსახა აზიე-

ლები როგორც დამარცხებულნი, ფუფუნებაში მცხოვრებნი, ემოციურნი, სასტიკნი და ყოველთვის საშიშნი“.<sup>1</sup>

მოხსენება მიზნად ისახავს შეისწავლოს ესქილეს „სპარსელები“ და ახალი დროის მისი ორი რეცეფცია, კერძოდ, პერსი ბიში შელის ლირიკული დრამა „ჰელასი“ (1821 წ.) და პიტერ სელარსის სპექტაკლი „სპარსელები“ (1993 წ.) მათივე ეპოქათა პოლიტიკურ კონტექსტებში. ამასთან ერთად, ჩვენ წარმოვადგენთ დასახელებული ტრაგედიის რეციპირების მოკლე ექსკურსს პოლიტიკურ ქრილში ანტიკურობიდან XIX საუკუნემდე. პოლიტიკურ დისკურსზე ყურადღების აქცენტირებას განაპირობებს კონკრეტული მოცემულობა – „სპარსელების“ აქტუალიზაცია ყოველთვის პოლიტიკური დღის წესრიგიდან გამომდინარეობდა.<sup>2</sup> შელის ლირიკული დრამის – „ჰელასის“ დაწერას წინ უძღოდა XIX საუკუნის 20-იან წლებში ბერძენთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ოსმალეთის წინააღმდეგ. ეს ომი იმთავითვე აღქმულ იქნა არა მხოლოდ ლოკალურ მოვლენად, არამედ ევროპის ხალხების ბრძოლად თავიანთი ნაციონალური სახელმწიფოების შექმნისთვის. შელის სიტყვები „We are all Greeks“ ამ ომთან მიმართებაში, ისევე, როგორც იმის განცხადება, რომ ანტიკური საბერძენეთი არის არა ისტორია, არამედ იდეა, აზროვნების პროდუქტი, ცხადყოფს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი იყო ბერძენთა გამარჯვება ევროპული იდენტობის სრულყოფილად გააზრებისათვის.

პიტერ სელარსის მიერ 1993 წელს „სპარსელების“ დადგმა (რობერტ აულეტას პიესის მიხედვით) განსაზღვრა XX საუკუნის ერთ-ერთმა უმნიშვნელოვანესმა გეოპოლიტიკურმა დაპირის-

<sup>1</sup> Edith Hall, *Inventing the Barbarian*, Oxford 1989, p. 99.

<sup>2</sup> ასე მაგალითად, ესქილეს „სპარსელები“ ანტიკურობის შემდგომ პირველად იდგმება ევროპაში ოსმალელების მიერ ვენაზე პირველი ალყის (1529 წ.) პარალელურად. აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ პერიოდში იწყება ოსმალეთის იმპერიის გაიგივება აქემენიდურ სპარსეთთან და აზიის მთავარ იდენტიფიკატორად მისი გააზრება.

პირებამ ერაყის მმართველ სადამ ჰუსეინსა და ამერიკას შორის, დაპირისპირებამ, რომელსაც „სპარსეთის ყურის“ პირველი ომი ეწოდა. სელარსის დადგმაში საყურადღებო გახლავთ ის, რომ სპექტაკლი გამოწვევას უცხადებს აღმოსავლეთის სტერეოტიპულ გააზრებას, ადანაშაულებს ამერიკულ მილიტარიზმს სადამ ჰუსეინის, როგორც ტირანის, დაგმობის პარალელურად. მოხსენებაში განვიხილავთ ამერიკის იმიჯთან დაკავშირებულ პრობლემატიკას ისევე, როგორც მიზეზებს, რომლებმაც რეჟისორის ამგვარი ხედვა განაპირობა. მოხსენების დასკვნები საყურადღებო იქნება როგორც ევროპული იდენტობის სტერეოტიპებისა და ე.წ. „ქსენოსტერეოტიპების“ დიაქრონული შესწავლის კუთხით, ისე ესქილეს „სპარსელების“ ინტერპრეტაციის უმთავრესი მიმართულებების განხილვის ქრილში.

## ნიკოლოზ ბებერაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
(საქართველო)

### რელიგიურ-კულტურულ მიმართებათა ასახვისათვის ბერძნულ-ებრაულ ენობრივ პარალელებში

კაცობრიობის ისტორიაში, სამეტყველო ენის არსებობას თან სდევს სხვადასხვა კულტურისა და ენის მატარებლებს შორის ენობრივი ნიშნების ურთიერთმიმოცვლა. ამ პროცესის ერთ-ერთი პროდუქტია ნეოლოგიზმი, რომელიც, დროთა განმავლობაში, მიმღები ენის ფონეტიკური მახასიათებლებით ოდნავი სახეცვლილების შედეგად, აბსოლუტურად ბუნებრივი და ორგანული ხდება მასპინძელი ენისთვის. ზოგჯერ კი, ცალკეული ქვე-კულტურის თავისუფალ მეტყველებად რჩება – ბარბარიზმის ან ჟარგონის სახით.

სრულებით ბუნებრივია, რომ ამდაგვარი გავლენები აღინიშნება იმ ხალხებშიც, რომლებიც უძველესი დროიდან თანაარსებობენ ხმელთაშუა ზღვის აუზში და რომლებიც ისეთ ძველ ენებზე მეტყველებენ, როგორიც ებრაული და ბერძნულია.

ამ ორი ენის ურთიერთგავლენა წარმოადგენს ენობრივი, რელიგიური თუ კულტურული კვლევების მნიშვნელოვან ასპექტს. ისტორიულად ბერძნული და ებრაული ენების ურთიერთობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ელინიზაციის პერიოდში იძენს, როდესაც ბერძნული კულტურული ექსპანსიის შედეგად, ებრაული მოსახლეობა ინტენსიურ კონტაქტში შედის ელინურ კულტურასთან. სწორედ ამ პერიოდში, როგორც ლიტერატურულ, ისე რელიგიურ დონეზე, ებრაულ და ბერძნულ ენებს შორის ხშირად გვხვდება ლექსიკური და გრამატიკული ინტერპოლაციის შემთხვევებში.

ჩემს მოხსენებაში განვიხილავ რამდენიმე მნიშვნელოვან მაგალითს, როგორც ენობრივი გავლენებისა და მათი შედეგების ნათელ ილუსტრაციას. მათ შორისაა შემდეგი ლექსიკური ურთიერთმიმართებები:

**ნოფ** (ფესახ – ებრაული „პასეკი“) და ბერძნული **Πάσχα** (პასხა – ქრისტიანული აღდგომა (თანამედროვე ებრაულში – **חנוכה**);

ებრაული **שבת** (შაბათ – შაბათი, დასვენება) და ბერძნული **σαββάτον** (სავვატონ – შაბათი);

ბერძნული **ψυχολογία** (ფსიხოლოღია – ფსიქოლოგია) და თანამედროვე ებრაული **ה'ג'י'ו'ח'י'ו'פ** და მისთ.

აღნიშნული ლექსიკური პარალელები ნათლად წარმოაჩენს ებრაულისა და ბერძნულის ორმხრივ ენობრივ გავლენებს, რაც კულტურულ კონტექსტშიც საინტერესო ანალიზის საგანს წარმოადგენს.

## დარია ბელოუსოვა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
(საქართველო)

### მარკუს ტულიუსის ციცერონის „ექსორდიუმების“ პათოსი და ეთოსი

In eloquendo est aliqua diversitas:  
densior ille (Demosthenes), hic copiosior (Cicero)  
*M. Fabius Quintilianus, Institutio Oratoria, X, 1*

მარკუს ტულიუს ციცერონმა მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობა დატოვა. მისმა სიტყვებმა და ტრაქტატებმა დიდი როლი ითამაშა ორატორული ხელოვნების განვითარებაში. ციცერონი თავის ნაწარმოებებში ყურადღებას ამახვილებს სიტყვათა აგებულებაზე, უხვად იყენებს სხვადასხვა მხატვრულ ხერხსა და საშუალებას. ამჯერად შევჩერდებით ექსორდიუმზე, რომელიც წარმოედგენს სიტყვის შესავალ ნაწილს.

ექსორდიუმს რამდენიმე მნიშვნელოვანი ფუნქცია აქვს. პირველი არის მსმენელების მოზიდვა და დაინტერესება, მეორე კი საქმის არსის წარმოჩენა, მესამე – აუდიტორიის დარწმუნება, რასაც ორატორი სხვადასხვა ხერხით აღწევს. ამდენად, ზოგიერთი ექსორდიუმი ზოგჯერ მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან.

მოხსენების მიზანია ციცერონის რამდენიმე სიტყვის შედარება – *Pro Roscio Amerino, In Catilinam I*, და *II*. ამ ექსორდიუმების განხილვა გვიჩვენებს, რომ ციცერონმა თავის მიზანს სწორედ ექსორდიუმებითაც მიაღწია.

## ნინო გვენეტაძე

აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი (საქართველო)

### **„ბედკეთილია იგი, ვინც ... უყვართ“ ანუ სიყვარულით შექმნილი სამყარო ჰესიოდეს „თეოგონიაში“**

ჰესიოდეს პოემები ხშირად გამხდარა შესწავლის საგანი. ბევრი თქმულა ჰომეროსის და აღმოსავლური ფოლკლორის გავლენაზე; ლიტერატურაში სუბიექტური ნაკადის შემოტანაზე; ჰესიოდეზე, როგორც გენეალოგიური და დიდაქტიკური ხასიათის პოემების შემქმნელზე, რომელმაც პირველმა აღიარა საკუთარი თავი პოეტ-შემოქმედად და სხვა, მაგრამ იშვიათად გამხდარა მსჯელობის საგანი, ზოგადად, ანტიკურ ლიტერატურაში და, კონკრეტულად, ჰესიოდეს შემოქმედებაში სიყვარულის თემა.

მოხსენებაში შევეცდებით ვაჩვენოთ, რომ სიყვარულის ლიტერატურულ მოტივს ბერძენ ეპიკოსთან გარკვეული ადგილი უჭირავს. ვისაუბრებთ შემდეგ საკითხებზე: შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ პირველ ღმერთთა შორის, რომლებმაც ქაოსიდან შექმნეს სამყარო, დასახელებულია სიყვარულის ღმერთი, ეროსი – ღმერთები და ქალღმერთები სიყვარულით უნდა დაუკავშირდნენ ერთმანეთს, რომ ახალი თაობები წარმოიშვას. ძირითადად, წყვილები „თეოგონიაში“ სწორედ სიყვარულით უკავშირდებიან ერთმანეთს (ურანოსი და გეა, ქრისაორი და კალიროე, თეა და ჰიპერიონი, ეოსი და ასტროსი, სტიქსი და პალასი.....). სიყვარულით დაკავშირებული წყვილების შთამომავლები, მეტწილად, დადებითი ქმნილებები არიან (დემეტრე, ჰესტია, ლეტო, აქილეესი, ენეასი), ხოლო უსიყვარულოდ შექმნილნი, ფაქტობრივად, ბნელ ძალებად გვევლინებიან (ერებოსი, ტარტაროსი, ღამე, ბედისწერა...).

ცალკე ვისაუბრებთ ზევსის შვიდ ცოლზე, რომელთაგან სამს, ჰესიოდეს მიხედვით, უზენაესი ღმერთი სიყვარულით შეერთო (ლეტოს, მნემოსინეს და ჰერას), ხოლო ოთხს – უსიყვარულოდ (მეტისს, თემისს, ევრინომეს, დემეტრას). აღსანიშნავია, რომ სიყვარულით ერთმანეთს უკავშირდებიან არა მხოლოდ უკვდავნი, არამედ უკვდავები და მოკვდავები. ამ ტრფობის შედეგად გაჩნდნენ, როგორც ჰესიოდე ამტკიცებს, უკვდავი გმირები (თეტისი, პელიასი, ჰერაკლე, პერსევსი, თესევსი).

ბოლოს, შევეცდებით გავანალიზოთ, რას ნიშნავს ჰესიოდესთან ისეთი სიტყვათა შეთანხმებები, როგორებიც არის აფროდიტესეული ტრფობა და საამო სიყვარული.

ჩატარებული ანალიზისა და კვლევის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ: მიუხედავად იმისა, რომ აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკამდე“ მეცნიერთა დიდი ნაწილი არ აღიარებს ტრფობის მოტივის შემოტანას ანტიკურ ლიტერატურაში, ვფიქრობთ, თამამად შეიძლება ვამტკიცოთ, რომ უკვე ჰესიოდეს „თეოგონიას“ ლაიტმოტივად, პომის დასაწყისიდან დასასრულამდე, გასდევს სიყვარულის თემა. ჰესიოდეს მიხედვით, „ბედკეთილია იგი, ვინც ... უყვართ.“, ხოლო სამყარო, რომელშიც დღეს ჩვენ ვცხოვრობთ, როგორც ბერძენი ეპიკოსი ნერს, სიყვარულით არის შექმნილი.

## ნინა გოგიჩაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
(საქართველო)

### **თურქულ-ბერძნული ურთიერთობების ასახვა ბერძნულ კინემატოგრაფში: ორი ერის ისტორია ერთი კამერის ობიექტივში**

კინემატოგრაფია მნიშვნელოვან როლს ასრულებს ისტორიის გაცოცხლებაში. თურქულ-ბერძნული ურთიერთობები, რომლებიც მრავალი საუკუნის განმავლობაში კონფლიქტებით იყო მოცული, სხვადასხვა ეპოქაში კინოს ეკრანებზე განსხვავებული კუთხით აისახა.

თურქულ-ბერძნული ურთიერთობების ასახვა კინოში დაკავშირებულია ისტორიულ მოვლენებთან, როგორებიცაა: მცირე აზიის კატასტროფა, კვიპროსის კონფლიქტი და სხვ. თუმცა ბერძნული და თურქული კინო განსხვავებულად ასახავს ამ მოვლენებს, რაც გამომხატულია იმით, რომ ბერძნული კინო დევნილობის სიმწარესა და ეროვნულ ტკივილზეა კონცენტრირებული.

მოხსენებაში ვისაუბრებთ ფილმებზე, რომლებშიც ასახულია კონფლიქტები და დევნილობა, აგრეთვე თურქებისა და ბერძნების თანაცხოვრობა და მეგობრობა, ასევე შევისწავლით თუ როგორ იყენებს კინო ნოსტალგიასა და შერიგების იდეას. ამ თემების უკეთესად გასაანალიზებლად განვიხილავთ კონკრეტულ ფილმებს. თავდაპირველად, შევეხებით იმ ნამუშევრებს, რომლებიც ისტორიული კონფლიქტების მძიმე რეალობას წარმოაჩენენ. ერთ-ერთი ასეთი ფილმია „1922“, რომელშიც ასახულია მცირე აზიის კატასტროფის ტრაგედია.

საკონფერენციო ნაშრომში გარდა კინო კონფლიქტებისა, ვისაუბრებთ ამ ორი ერის თანაცხოვრებაზე და მათ მეგობრო-

ბაზე, რათა დავინახოთ, თუ როგორ ერწყმის ორი განსხვავებული კულტურა. ამ საკითხს დეტალურად ილუსტრირებს ფილმი „ΠΟΛΙΤΙΚΗ Κουζίνα“ (რომლის სათაურიც ორგვარად შესაძლოა ითარგმნოს როგორც „კონსტანტინეპოლის სამზარეულო“ ან „პოლიტიკური სამზარეულო“ (2003), ეს ფილმი 1955 წლის მოვლენების ფონზე ბერძნებისა და თურქების ტკბილ მოგონებებსა და ურთიერთობებს ასახავს. ასევე აღსანიშნავია ფილმი „Το μόνον της ζωής του ταξίδι“ („მისი ცხოვრების ერთადერთი მოგზაურობა“) (2001), რომელიც გიორგოს ვიზინოსის მოთხრობას ეფუძნება. ფილმში ნაჩვენებია თურქულ-ბერძნული ურთიერთობების უფრო პერსონალური ასპექტი, სადაც პირადი თავგადასავალი ისტორიული კონტექსტის ფონზე ვითარდება.

ამგვარად, მოხსენების მიზანია დაგვანახოს კინემატოგრაფია, როგორც ხელოვნება, რომელიც არა მხოლოდ ასახავს ისტორიას, არამედ გვიჩვენებს, რომ ორ მტრულად განწყობილ ხალხს შორის ურთიერთობა და კულტურა, კონფლიქტების გარდა შეიძლება, იყოს შემრიგებლური და ნოსტალგიური.

## **ალექსანდრე თავბერიძე**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
(საქართველო)*

### **პერფექტის წარმოება ფუძის გაორმაგებით ლათინურსა და ძველ ბერძნულ ენებში**

ძველ ბერძულსა და ლათინურ ენებში ფუძის გაორმაგება პერფექტის წარმოების ერთ-ერთი საშუალებაა, რომელიც სათავეს საერთო ინდოევროპულიდან იღებს. გაორმაგების გზით პერფექტის წარმოება ორივე ენაში არასტაბილურ ხასიათს ატარებს. ლათინურში ფუძის გაორმაგების წესი დროსთან ერთად იცვლება და უფრო იშვიათად გვხვდება, ხოლო ძველ ბერძნულ ენაში კი შენარჩუნებულია, თუმცა დიალექტებში განსხვავებებსაც გვიჩვენებს.

მოხსენებაში განხილული იქნება ლათინურსა და ძველ ბერძნულ ენაში პერფექტის გაორმაგებით წარმოების მორფოლოგიური წესები და მათ მიერ გამოწვეული ფონეტიკური ცვლილებები, ურთიერთმსგავსებები და განსხვავებები; ასევე ყურადღება გამახვილდება ავლუს გელიუსის „ატიკური ლამეების“ ერთ ცნობაზე, რომლის თანახმადაც ლათინური სამწერლობო ენის განვითარების ადრეულ საფეხურზე რომელი ავტორები პერფექტის ფუძის გაორმაგებით წარმოებისას ბერძნულ წესს მისდევნენ. მსჯელობა და კვლევა ეფუძნება ორივე ენის ისტორიული გრამატიკის ქრილში დადასტურებულ ფორმათა ანალიზს.

## **ლაშა თაკაშვილი**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
(საქართველო)*

### **დიდოს რიტუალური პრაქტიკა**

ეპიკურ სამყაროში დიდოს გამორჩეულ გმირთა შორის ყველასთვის სამახსოვრო ადგილი უკავია. ის ვერგილიუსის პირადი საჩუქარია ლიტერატურისთვის. დიდოს პოემაში რამდენიმე ფუნქცია აკისრია: ის ქალაქის დამაარსებელია, არის ენეასის დამხმარე, ქალღმერთების ნებით შეკრული, რომსა და კართაგენს შორის მომავალი დაპირისპირების ამხსნელი და ა.შ. ყველაზე აღსანიშნავი კი მისი დილემური და ფატალური სიყვარულის ამბავია.

ამ მხრივ, პოემის IV წიგნი ცენტრალურია, რომელშიც დიდოს პიროვნების ტრაგიკული სურათია გაშლილი. ამავე წიგნში, სიყვარულით შეპყრობილი დედოფალი რამდენჯერმე ასრულებს რიტუალურ პრაქტიკას. პირველ შემთხვევაში ის სრულდება ნაყოფიერებისა და ქალაქის მფარველი ღვთაებებისადმი, მომავლის წინასწარმეტყველებისთვის. ამის შემდგომ, აღწერილია ქორნილის რიტუალური და საბედისწერო ეპიზოდი. მესამე მსხვერპლშენიშვნისას ვხვდებით ნუმინოზურ ჩვენებებს. ეს ჯაჭვი კი გვირგვინდება დიდოს მიერ ენეასის დანყველით და საკუთარი თავის შეწირვით ქვესკნელის იუპიტერისადმი.

მოხსენების მიზანია, განიხილოს მოცემული რიტუალები, მათი სტრუქტურა და ფუნქცია პოემის ნარატივში.

## მარიამ კალაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
(საქართველო)

### **„მედეა“ XIX საუკუნის ქართულ სცენაზე ქალთა უფლებებისთვის ბრძოლის კონტექსტში**

მე-19 საუკუნის „მედეას“ ინტერპრეტაციათა შორის ნამყვან ადგილს იკავებს მედეას გარემოებათა მსხვერპლად და საზოგადოების მიერ დაჩაგრულ ქალად წარმოჩენა. ეს კიდევ უფრო აქტუალური ხდება მე-19 საუკუნის შუა წლებში, როცა ევროპის რიგ ქვეყნებში ფართოდ გაიშალა ქალთა ემანსიპაციის ლოზუნგით წარმოებული მოძრაობა და გაიზარდა ამ მოძრაობის მიმართ მთლიანად საზოგადოების მხარდაჭერა.

1875 წელს ქართულ სცენაზე პირველად იდგმება მედეა, რომელიც ქალმა – ეფროსინე კლდიაშვილმა დადგა. მოხსენებაში წარმოვადგენ, თუ რა დამსახურება მოუძღვის მას იმ პერიოდის საზოგადოებრივ და თეატრალურ ცხოვრებაში ქალთა როლის აქტუალურად წარმოჩენის თუ ქალთა მიერ საკუთარი უფლებების გაცნობიერების პროცესში. ასევე განვიხილავ მის დამსახურებას საკუთრივ ქართული თეატრალური ცხოვრების კონტექსტში, რისთვისაც გავაანალიზებ ე. კლდიაშვილის შემოქმედებით გზას სცენისმოყვარეთა წრის ხელმძღვანელობიდან მოყოლებული, ვიდრე პროფესიული თეატრის დამაარსებლამდე; შევისწავლი მის როლს ქუთაისის თეატრის რეპერტუარის თემატიკური გარდაქმნის საქმეში.

მოხსენებაში წარმოვადგენ იმ პერიოდის საქართველოს სოციალურ გარემოს, იმ კონტექსტს, რომელშიც უწევდა საქმიანობა ე. კლდიაშვილს, როგორც ქალ თეატრალურ მოღვაწეს. ეს მოიცავს, ერთი მხრივ, ქალის თეატრალური მოღვაწეობის მიმართ საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპების ანალიზს

და, მეორე მხრივ, თავად ქალების რეფლექსიას/განსჯას თუ რატომ უგულვებლყოფდნენ ისინი ამ სფეროს.

მე-19 საუკუნის ბოლოს კიდევ იდგმება „მედეა“, ცნობილი რეჟისორის ლადო ალექსი-მესხიშვილის მიერ. მედეას როლს მსახიობი ეფემია მესხი თამაშობდა. სპექტაკლმა უდიდესი როლი ითამაშა იმ პერიოდის ქართულ საზოგადოებაში გაბატონებული პატრიარქალური სტერეოტიპების გააზრებაში. 1900 წელს ჟურნალ „კვალში“ გამოქვეყნებული სტატიის ავტორი ქალთა უფლებების კონტექსტში განიხილავს მედეას პერსონაჟს, „რკინის ხასიათის ქალს“, რომელიც საშინლად იბრძვის თავის უფლებებისთვის, იბრძვის „როგორც ქალი ადამიანი, როგორც ცოლი, როგორც დედა. მისი ბრძოლა პროლოგია თანამედროვე ქალების ბრძოლისა“<sup>3</sup>. მედეას ამგვარი გააზრება კი, ვფიქრობ, პირდაპირ გამოძახილია იმ პერიოდის ევროპაში მიმდინარე ფემინისტური მოძრაობისა, რომლის კონტექსტშიც, ჩვენი აზრით, ღირსეულ ადგილს იკავებს „მედეას“ ეს პირველი დადგმები ქართულ სცენაზე.

მოხსენების დასკვნები საყურადღებო იქნება როგორც მე-19 საუკუნის ქალი თეატრალური მოღვაწეების საქმიანობასთან დაკავშირებული პრობლემების შესწავლის, ისე თეატრალურ სფეროში ქალების საქმიანობის შედეგების ანალიზის თვალსაზრისით.

---

<sup>3</sup> ჟურნალი „კვალი“, 1900, # 44.

## ზურაბ მაჭავარიანი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი (საქართველო)

### მითრიდატე VI ევპატორი ლევან გოთუას რომან „მითრიდატეს“ მიხედვით

ლევან გოთუას რომან „მითრიდატეს“ მიხედვით, ძვ.წ. II-I საუკუნეებში მოღვაწე პონტოს მეფე მითრიდატე VI ევპატორის ცხოვრება და მოღვაწეობა ერთგვარ სიახლეს წარმოადგენს. ავტორი ნათლად და მკაფიოდ მოგვითხრობს პონტოს მეფის განვლილ გზაზე, სამეფოს წინსვლასა და განვითარებაში მის როლსა და მნიშვნელობაზე, ასევე გვაცნობს მითრიდატე VI-ის პოლიტიკურ მოღვაწეობას მეზობელ სახელმწიფოებთან მიმართებაში (რომის რესპუბლიკა, ქართლის (იბერიის) სამეფო, კოლხეთის სამეფო).

რომანი რეალურად აცოცხლებს პონტოს მეფის პიროვნებას, სასახლის კარზე არსებულ მიმდინარე პროცესებსა და ხსნის თუ რა მნიშვნელობა აქვს დღევანდელ ეპოქაში მითრიდატე VI ევპატორის მოქმედებებს, სამხედრო-სტრატეგიულ და დიპლომატიურ ნაბიჯებს პონტოს სამეფოს გაძლიერებისა და გაფართოების კუთხით, რაც რომანს საკმაო ორიგინალობასა და რეალობის განცდას სძენს. ასევე საკმაოდ ღირებული და მნიშვნელოვანია რომანის თითოეული პასაჟის დაკავშირება თანამედროვე ეპოქაში არსებულ გეოპოლიტიკურ პროცესებთან, რადგან ისტორიული რომანი ერთგვარი ასახვაა თანამედროვე სამყაროში არსებული პოლიტიკური გამოწვევების კუთხით.

მითრიდატე VI ევპატორის სახე და მისი გარდასახვა ისტორიული წარსულიდან დღევანდელობაში კიდევ უფრო მეტად ცხადყოფს იმპერიათა შორის არსებულ პროცესებს, იმ კრიზისებსა და გამოწვევებს, რომლებიც მაშინაც არსებობდა და დღესაც არსებობს. რომანი დამაჯერებლად წარმოაჩენს პერ-

სონაჟის განცდებსა და მოტივებს, ხსნის მათ ქმედებებსა და აცოცხლებს მითრიდატე VI ევპატორის რეალურ პროტოტიპს, რაც ნაშრომის ერთგვარ სიახლეს წარმოადგენს.

რომანი მნიშვნელოვანია ანტიკური ეპოქის მოღვაწეთა შიდა ურთიერთობებისა და პროცესების ასახვის თვალსაზრისით, რაც ნაწარმოებისადმი ინტერესს კიდევ უფრო აღრმავებს.

ჩვენი მიზანია ლევან გოთუას რომანის ლიტერატურული გმირი შევადაროთ პონტოს მეფის ისტორიულ პიროვნებას, რომელიც გადმოცემულია ანტიკური ეპოქის წყაროებში. ეს ანალიზი საშუალებას მოგვცემს განვსაზღვროთ რამდენად ეყრდნობა ავტორი ისტორიულ ფაქტებს, იცნობს ანტიკურ წყაროებს მითრიდატეს შესახებ და რამდენად დამაჯერებლად წარმოაჩენს ისტორიულ რეალობას.

## მარიამ ნოზაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
(საქართველო)

### რძე, როგორც უკვდავების სიმბოლო ორფიკულ ფირფიტებში

ორფიზმის ამომწურავად განმარტება და მისი მნიშვნელობის რამდენიმე სიტყვით გადმოცემა შეუძლებელია. სწორედ მასთანაა დაკავშირებული ოქროს ფირფიტებზე ჩანერილი იდუმალი ტექსტები; 2011 წელს შედგენილ კრებულში სულ 41 ფირფიტაა შეტანილი; ფირფიტები აღმოჩენილია ხმელთაშუა ზღვის სხვადასხვა რეგიონში, მათ შორის სამხრეთ იტალიაში, სიცილიაზე, რომში, კრეტაზე, პელოპონესზე, მაკედონიასა და თესალიაში, ყველა მათგანი მიცვალებულთა სამარხებშია ნაპოვნი.

პირველი ოქროს ფირფიტა 1836 წელს გამოქვეყნდა. მისი წარმოშობა უცნობია, თუმცა კერძო კოლექციონერის თქმით, რომელმაც ფირფიტა ბრიტანეთის მუზეუმს გადასცა, იგი სამხრეთ იტალიაში, პეტელიას სამარხში აღმოაჩინეს. ტაბულა ზომით მხოლოდ 4,5 x 2,7 სმ-ია, რის გამოც მასზე ამოტვიფრული ცამეტი სტრიქონი ძალიან პატარა ასოებითაა ჩანერილი.

ფირფიტები წარმოადგენდა ერთგვარ vademecum-ს (სახელმძღვანელოს) გარდაცვლილთა სულებისათვის, მიუთითებდა მათ „სწორ გზაზე“ და მარადიულ სიცოცხლეს ჰპირდებოდა. ეჭვგარეშეა, რომ ფირფიტებს რელიგიურ-მისტიკური დანიშნულება ჰქონდა. სწორედ ამან მიბიძგა, ყურადღება გამემახვილებინა საკრალური ფირფიტების გარკვეულ სიტყვებსა და სტრიქონებზე, რომლებიც ტექსტებს ერთგვარი ფორმულასავით სდევს თან.

მოხსენება მიზნად ისახავს რძის სიმბოლოს მნიშვნელობისა და ფუნქციის დადგენას ხუთ ორფიკულ ფირფიტაში (ტურიიდან,

პელინადან); ამას გარდა, შევეცდები განვიხილო, უკავშირდება თუ არა რძეში ჩავარდნის/განზანის ეპიზოდები ინიციაციის რიტუალს, რომელსაც სული მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში გადიოდა.

## ნინო ლლონტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
(საქართველო)

### ადაპტაციის მეთოდის გამოყენება ანტიკური ლიტერატურის სწავლების პროცესში

თანამედროვე მიდგომებით დიდი ყურადღება ეთმობა მოსწავლეთათვის არსებული ტექსტების ადაპტირებული ვარიანტების შეთავაზებას. ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, როცა საქმე ეხება ძველი ტექსტების ჩართვას სასწავლო პროცესში. ადაპტირებული ვარიანტები ამ შემთხვევაში შეიძლება, გარკვეულწილად, გავიაზროთ როგორც ამ ტექსტების შემოკლებული ვერსიების გადმოცემა, მათი ენობრივი ტრანსფორმაცია. ყოველივე ეს კი კეთდება იმ მიზნით, რომ თანამედროვე მოსწავლეს გაუადვილდეს ტექსტის გაგება და, შესაბამისად, მასზე მსჯელობა. ადაპტირებული ვერსიების შეთავაზებას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ანტიკური ეპოქის მხატვრული ლიტერატურის ძეგლების გადმოცემისას.

როგორც ცნობილია, ზოგადი განათლების დონის ამაღლებაში დღემდე დიდი მნიშვნელობა ენიჭება ანტიკური ეპოქის მხატვრული ლიტერატურის ნიმუშთა განხილვას, შესწავლას. აქვე მნიშვნელოვანია აღინიშნოს ისიც, რომ უკანასკნელ ხანებში ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლთა სასწავლო, ადაპტირებული ვერსიებიც შეიქმნა, რომლებიც სასწავლო დამხმარე რესურსად მიიჩნევა. მათ შორისაა ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებებისა და „ვეფხისტყაოსნის“ ადაპტირებული, პერიფრაზირებული ვერსიები.

რას ენოდება ადაპტირება, რამდენგვარი შეიძლება იყოს ის. როგორია ევროპული ქვეყნების გამოცდილება ანტიკური ლიტერატურის ძეგლების სწავლებისას ადაპტირებული ნიგნების,

სახელმძღვანელოებისა ან/და დამხმარე მასალების გამოყენებით. რამდენად შესაძლებელია, რომ ანტიკური ნაწარმოებების ადაპტირებული ვერსიების შექმნისას, არ დაიკარგოს ნაწარმობის მთლიანობა, მოსწავლეს შეეძლოს მისი სიღრმისეული განხილვა და მასზე სრულყოფილად მსჯელობა. რა დადებითი და უარყოფითი მხარეები შეიძლება ჰქონდეს მოსწავლეთათვის ანტიკური ლიტერატურის ძეგლების ადაპტირებული ვერსიებით გაცნობას. საქართველოში არსებული რომელი სასწავლო რესურსები არსებობს იმისთვის, რომ დაინტერესებულმა პირებმა ანტიკური ლიტერატურის გაცნობისათვის მათი გამოყენება შეძლონ და მიზანშეწონილია თუ არა ეს.

## ნინო ყარაულაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
(საქართველო)

### რისხვის მნიშვნელობა პოლიტიკური პროტესტისთვის სენეკას “De Ira”-ს მიხედვით

მოხსენებაში განხილული იქნება რისხვის ფენომენი, მისი მნიშვნელობა და მიმართება საზოგადოებრივ პროტესტთან სენეკას “De Ira” მიხედვით. სენეკას ეს ნაწარმოები ქართულად თარგმნილი არ არის, იგი სამი წიგნისგან შედგება და საინტერესოდ გამოხატავს მწერლის ფილოსოფიურ შეხედულებებს. მასში ავტორი დეტალურად ცდილობს ახსნას და განმარტოს რისხვის ფენომენი, მისი ფიზიოლოგიური ბუნება, სოციალური და პოლიტიკური გამოვლინება საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

მოხსენება მიზნად ისახავს სენეკას ზემოთ ხსენებული ტექსტის მიხედვით რისხვის ფენომენის განხილვას, განსაკუთრებით პოლიტიკური პროტესტის კონტექსტში, რის საჩვენებლადაც მოყვანილი იქნება შესაბამისი პასაჟების თარგმანები ლათინური ენიდან. სოციალურ-პოლიტიკური კონტექსტიდან გამომდინარე, განხილული იქნება სენეკას “De Ira”-ს დანერის სავარაუდო მიზეზები და მათი აქტუალობა.

## **ლუკა ცინდელიანი**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
(საქართველო)*

### **აქილევსი ბუშიდოს წინააღმდეგ: რა პრინციპები განასხვავებს ეპიკურ გმირს სამურაისგან**

ერთი შეხედვით, იაპონიაში დიდი პოტენციალია, რომ ეპიკური გმირი ჩამოყალიბდეს. მრავალი კრებული არსებობს, რომელიც აღწერს გმირთა საქმეებს. იაპონურ კულტურაშიც, ისევე როგორც ბერძნულში, მებრძოლთა კლასს მნიშვნელოვანი როლი აქვს. ამის მიუხედავად, ვფიქრობ, რომ კულტურული სხვაობები დიდად განსაზღვრავენ იაპონიის უნიკალურობას გმირის კონცეფციასთან დაკავშირებით. ამ თავისებურებიდან გამომდინარე, იაპონური გმირის კონცეფცია რადიკალურად განსხვავდება ბერძნულისგან. მაგალითად, აქილევსი, რომელიც კლასიკური გმირის განსახიერებაა, განსხვავდება მეომრის იმ იდეალისგან, რომელიც აღწერილია ინაზო ნიტობეს „ბუშიდოსა“ და იამამოტო ცუნეტომოს „ჰაგაკურეში“. ამ მიმართულებით კვლევა მწირია და მოითხოვს დამატებით მუშაობას, რის ნახა-ლისებასაც მოემსახურება ეს საკონფერენციო თემაც.

## **მარკა ჭითანავა-ლობჟანიძე**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
(საქართველო)*

### **წმიდა მარკოზ მახარებლის ლიტურგიის საღმრთისმეტყველო ტერმინოლოგიური ანალიზი ძველბერძნულ, ლათინურ და კოპტურ ხელნაწერებზე დაყრდნობით**

წმიდა მოციქულის და მახარებლის, მარკოზის ლიტურგია აღმოსავლური მართლმადიდებლური ეკლესიის ერთ-ერთ უძველეს ლოკალურ ტრადიციულ მსახურებას წარმოადგენს, რომლის დაარსება უშუალოდ მოციქულთა თავის - პეტრეს მონაფის სახელთანაა დაკავშირებული.

ალექსანდრიის ეპისკოპოსად ხელდასხმის შემდეგ, მახარებელმა ეგვიპტის ადგილობრივ მოსახლეობას ძველ ბერძნულ ენაზე შეუდგინა ღმრთისმსახურების წესი, რომელიც თავდაპირველად მაცხოვრის მიერ დანესებული უდიდესი საიდუმლოთი - ევქარისტიით შემოიფარგლებოდა. დროთა განმავლობაში კი მსახურება ღმრთივგანბრძნობილი იერარქების ლოცვებით განივრცობოდა და ხდებოდა ლიტურგიის საბოლოო სახით ფორმაცია.

აღსანიშნავია, რომ მარკოზ მახარებლის წირვამ თავიდანვე დიდი ყურადღება მიიპყრო და ფართოდ გავრცელდა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის საზღვრებს გარეთ. ამას ადასტურებს ლიტურგიის საღმრთისმსახურო ტექსტის ლათინური, კოპტური, არაბული თარგმანების ამსახველი ხელნაწერები; ასევე გასული საუკუნის დასაწყისიდან დასახელებული წირვის არაერთ თანამედროვე ენაზე შესრულებული მეცნიერული თარგმანები, რაც იმთავითვე გულისხმობს წმიდა მარკოზის წირვის მნიშვნელობას და აქტუალობას ჩვენს ეპოქაშიც.

მახარებლის საღმრთო ლიტურგიის სრული ტექსტის ჩვენ ხელთ არსებული ძველბერძნული, ლათინური და კოპტური ხელნაწერების შესწავლა-დამუშავებით, შეგვიძლია წარმოვადგინოთ ოთხენოვანი ლიტურგიკულ-თეოლოგიური ლექსიკონი, რომლის ანალიზის შედეგად ვიღებთ შემდეგ სურათს:

1. ტერმინების მთელი სისავსით გადმოცემა ყველაზე უკეთ ძველბერძნულ ენას ახასიათებს, რომელიც ანტიკური ფილოსოფიიდან იღებს მიღმური სამყაროსთვის დამახასიათებელ სალექსიკონო ფორმებს და შესანიშნავად არგებს თეოლოგიური ჟანრის ამსახველ ცნებებს;
2. ლათინურად შესრულებულ ლიტურგიკულ თარგმანში დამკვიდრებული საღმრთისმეტყველო-საღმრთისმსახურო ცნებების დიდი ნაწილი საკუთრივ თავისი გლოტარული სივრცეიდანაა აღებული და ნაწარმოები, თუმცა რიგ პასაჟებში ვხვდებით როგორც ძველი ბერძნულიდან ნასესხებ ტერმინებს, რომლებიც ხელნაწერში უშუალოდ ბერძნული ასოებითაა ჩართული, ასევე ისეთ შემთხვევებს, როცა ლათინურენოვან თარგმანში საკუთარი თეოლოგიური სალექსიკონო ფორმის პარალელურად მთარგმნელი იყენებს ძველბერძნულ ცნებებს, ერთი შეხედვით თითქოს სინონიმური დატვირთვით;
3. მარკოზის ლიტურგიის კოპტური თარგმანის ტექსტის მიხედვით თითქმის ყველა ლიტურგიკული ტერმინი ბერძნულია;

## გიორგი ჭიჭინაძე

აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი (საქართველო)

### პოეტები და არაპოეტები: ალექსანდრიის ბიბლიოთეკის მთავარი ბიბლიოთეკარები

არსებული მტკიცებულებების საფუძველზე, ალექსანდრიის ბიბლიოთეკის მთავარი ბიბლიოთეკარების სავარაუდო ქრონოლოგიური სიები შედგა. მოხსენებაში სქემატურად წარმოვადგენთ ჯონსონის, პარსონსის და ჰოლმის მიერ შემოთავაზებულ ბიბლიოთეკართა თანამდებობის თარიღებს.

აპოლონიოს როდოსელი და აპოლონიოს ეიდოგრაფოსი, შესაძლოა, პაპირუსის (ოქსირინქოსის პაპირუსი №1241) შემდგენლის მიერ იყვნენ შეცდომით დაფიქსირებულნი და სინამდვილეში, ერთსა და იმავე პიროვნებაზე იყოს საუბარი. თუ ამას დავუშვებთ, ეს განაპირობებდა, შეცვლილიყო ბიბლიოთეკარების თანმიმდევრობა შემდეგნაირად: ძენოდოტოს ეფესელი, კალიმაქოს კირენელი, ერატოსტენესი, აპოლონიოს ეიდოგრაფოსი, არისტოფანე ბიზანტიელი, არისტარქოს სამოთრაკიელი, თუმცა პარსონსი ამტკიცებს, რომ აპოლონიოსის ერატოსტენესის შემდეგ განთავსება არასწორია, რადგან ასეთ შემთხვევაში აპოლონიოსი საკმაოდ ხანდაზმული იქნებოდა იმისთვის, რომ მთავარი ბიბლიოთეკარი გამხდარიყო.

როგორც ჩანს, ოქსირინქოსის პაპირუსი სწავლულ წრეებში მრავალი დაბნეულობის მიზეზი გახდა და გამოიწვია მრავალრიცხოვანი ისტორიული და ქრონოლოგიური პრობლემები ალექსანდრიის ბიბლიოთეკის მთავარი ბიბლიოთეკარების სიის შედგენისას. მეცნიერთა ნაწილი ფიქრობს, რომ პაპირუსი საიმედო წყაროდ ვერ ჩაითვლება, ხოლო სხვების მიხედვით, ეს არის პაპირუსის ფრაგმენტი, რომელიც სავსეა შეცდომებით, ალბათ, ადამიანების უყურადღებობის გამო. ფრაგმენტი არა-

ნაირ კვლევას არ ეფუძნება და მხოლოდ საკუთარი შეხედულებით უნდა იყოს დანერგილი. ავტორი, სავარაუდოდ, არასდროს იფიქრებდა, რომ ორ ათასწლეულში სწავლულები სწორედ მასზე დაყრდნობით მოახდენდნენ საკუთარი შეხედულებების რევიზირებას.

მიუხედავად იმისა, რომ ოქსირინქოსის პაპირუსზე ალექსანდრიის ბიბლიოთეკარების სახელები არსად ჩანს, ეჭვგარეშეა, რომ მასზე მოხსენიებულმა სწავლულებმა ალექსანდრიის ბიბლიოთეკის ფუნქციონირებაში გარკვეული წვლილი შეიტანეს. ზოგი მათგანი ჩვეულებრივი ბიბლიოთეკარი იყო, ზოგი კვლევით საქმიანობას ეწეოდა, ზოგი ასისტენტის ფუნქციებს ასრულებდა, ზოგიც კი მთავარი ბიბლიოთეკარის პოზიციაზე იმყოფებოდა. ზოგიერთი მათგანი პოეტი იყო და ბიბლიოთეკაშიც შემოქმედებითი საქმიანობით იყო დაკავებული და ნაწილიც – არაპოეტი, თუმცა ყველა მათგანი მაინც ერთნაირად ემსახურებოდა საბიბლიოთეკო საქმეს.

მიიჩნევდნენ, რომ ეს ტექსტი ჰგავს ელინისტურ და იმპერიულ მითოგრაფიულ კატალოგებს და კომპილაციებს, რაც მიანიშნებს მის შემქმნელთა ალექსანდრიულ ერუდიციაზე. ისინი განსაკუთრებით გამოყოფდნენ გრამატიკოსთა სიას, რომელიც, მათი აზრით, საბოლოოდ განსაზღვრავს ბიბლიოთეკის ხელმძღვანელთა მემკვიდრეობითობას ადრეული პტოლემეოსების პერიოდში და ახალ ცნობებს გვანვდის აპოლონიოს როდოსელის მოღვაწეობის შესახებაც. ეს პაპირუსი ასწორებს სვიდას ლექსიკონში დაშვებულ შეცდომას, რომელიც აპოლონიოსს კალიმაქოსისა და თეოკრიტესის შემდეგ თაობაში ათავსებს და მას ერატოსთენესის შემცვლელად მოიხსენიებს.

## **Özlem Atay**

*University of Patras (Greece)*

### **Greek Author Thrasos Kastanakis and Istanbul**

Concept of place, adding meaning to the existence efforts of humankind, is one of the elements that make up a novel. This concept, providing the individual with a sense of belonging, is a background for the event to occur in a novel, and gives the reader a strong sense of reality during the narration of events. Cities are places where societies exist and belong. Except for geographical existence, the city created in literature is fictional. Sometimes, a city becomes one of the heroes of a novel, and the novel becomes meaningful with its existence.

One of these cities is undoubtedly Istanbul, which has hosted civilizations, cultures, different religions and languages for centuries by combining East and West. In our study, Istanbul will be discussed through Hatzi Manuil 1940 by Thrasos Kastanakis, the Greek author born in Istanbul. Many different faces – dark, attractive, vivid, agonistic, and compassionate – of cosmopolitan Istanbul during the First World War will be addressed within the scope of literature-city relationship.

In this study, places and districts that make up the identity of the city, their inhabitants, and their traces that make up the character of the city will be addressed based on the literary representation of the city.

**Beka Gkelasvili**

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University (Georgia)*

## **The Theory of the Arbitrariness of the Linguistic Sign in Classical Greece Language**

The history of linguistics in Europe and, more broadly, in the western world dates back to antiquity. The first written records on language that have survived until contemporaneity were created in the vicinity of Classical Greece by philosophers and/or their disciples. While their discussions are quite comprehensive, dealing with various aspects of linguistics, there is one particularly fascinating topic regarding the very nature of language, namely, whether names (i.e. words) are imposed on things by convention or by nature.

The aforementioned subject was brought forward in a form of debate rather than a unanimously settled theory. Interestingly, the two most prominent ancient Greek philosophers, Plato and Aristotle, differed significantly in their approaches to this topic, the former leaning towards the theory of natural correctness of names, while the latter supporting the conventional theory. However, it seems that the debate on the nature of the linguistic sign was initiated earlier than Plato. The presocratic sources on language are limited, although there is a quite extensive fragment of Democritus which deserves attention.

This report aims to focus on one part of the ancient linguistic debate, i.e. the conventional theory. Democritus, according to the fragment ascribed to him, is supportive of conventionalism and so is Hermogenes, one of Socrates' interlocutors in the dialogue *Cratylus*, who seems to draw some of his arguments from Democritus. As for Aristotle, he frames his semantic theory in the opening chapters of *De Interpretatione* where he, apparently, refers to *Cratylus* and, although does not mention it specifically, declares his support for Hermogenes' conventionalism. My report represents an attempt to bring together these three sources of argumentation of the arbi-

trariness of the linguistic sign and demonstrate the interdependence among them.

**Gabriela Canazart**

*University of São Paulo (Brazil)*

### **Forged Singularity: Achilles' Arms in the *Iliad***

In *Iliad* 18.478–608, we find the long and much-discussed ekphrasis of Achilles' shield. The Homeric narrator devotes many verses to describing Hephaestus' crafting of Achilles' arms, leading the audience to marvel at such a creation, particularly the hero's shield. Because of the length and detail of this description, it may give the impression that Achilles' shield and weapons are utterly special and unmatched by any other set of arms within the *Iliad*. However, this is not entirely accurate. Achilles' weapons provoke among the characters reactions similar to those by other sets of arms throughout the poem, which are generally described in ways that inspire *thauma* ("wonder") in the audience and are qualified as *thauma idesthai* ("wonder to behold"). In my presentation, I will explore the reactions provoked by Achilles' new arms, particularly the fear they cause in the Myrmidons, and examine to what extent these reactions are similar to those elicited by the weapons of other heroes. Furthermore, I will discuss how the terms *thauma* and *deinos* ("awe-inspiring", "terrible") are employed within the poem, suggesting that both terms evoke a shared expectation of marvel among the audience. I will briefly show that the uniqueness of Achilles' arms lies not in an inherent difference from other heroes' equipment or the reaction they cause but rather in the narrative emphasis placed upon them. Thus, I argue that the shield's singularity is a product not only of divine craftsmanship but especially of narrative artistry.

**Elena Donadio**

*Università degli Studi di Genova (Italy)*

**P. Lit. Lond. 182: an Ancient τέχνη γραμματική and Its Points of Contact with Scholarly Treatises**

The only ancient τέχνη γραμματική that we have nowadays in its entirety is the Τέχνη wrongly attributed to Dionysius Thrax, but Egyptian papyri preserve fragments of other ancient τέχνηαι, whose main topic is a description of the parts of speech – one of the two great topics of ancient grammatical speculation before Apollonius Dyscolus. Many scholars deem these τέχνηαι as mechanical compilations of low quality of contents: actually, they are not mere compilations, but show a conscious reuse of their sources. The differences between the τέχνηαι and scholarly treatises are mainly due to the difference of intended public – which influences structures, contents, depth of argumentation, not to the low capacity or poor culture of the τέχνηαι composers: we must consider that these type of school text was intended for elementary students, so contents and language had obviously to be simpler than those of treatises intended by scholars to scholars. This elementary destination, though, does not mean that specialized and erudite theories vehiculated by scholarly treatises did not affect the τέχνηαι: it is the opposite, as confirmed by the analysis of influences or contacts between parts of the papyri and theories of scholars such as Apollonius Dyscolus or Herodian; moreover the τέχνηαι sometimes allude to scholarly debates of the period or adopt one of the proposed solutions, showing a knowledge of contemporary grammatical discussions. This paper aims to analyze P. Lit. Lond. 182, one of the best preserved fragment of a τέχνη, to show points of contacts or differences between this work and scholarly treatises, and between this work and other fragments of τέχνηαι: with this comparison, we will be more able to understand some aspects of education in Greek (and Greek speaking) world during the Roman Empire.

## **Luis Alejandro Castro M'Causland**

*La Sabana University (Colombia)*

### **Sustainability and the Fall of the Western Roman Empire: Lessons for the 21<sup>st</sup> century**

This paper aims to explore the ecological and societal factors contributing to the fall of the Western Roman Empire in order to draw parallels to contemporary sustainability challenges in the modern world. The decline of the empire has been analyzed through various lenses, from economic stagnation to military overextension. However, recent interdisciplinary approaches highlight the crucial role of environmental and social sustainability –or the lack thereof –in Rome’s collapse.

The Western Roman Empire faced significant environmental pressures, including deforestation, soil depletion, and water mismanagement, which weakened agricultural productivity and economic stability. Over-reliance on resource-intensive infrastructure, such as extensive road networks and aqueducts, created unsustainable maintenance burdens. Additionally, Ancient Rome’s rigid social hierarchy and dependence on cheap labor discouraged innovation and adaptability, leading to systemic stagnation. These environmental and social crises, exacerbated by climate shifts and external pressures, played a pivotal role in the empire’s fragmentation.

By examining Rome’s decline through an ecological and social sustainability framework, this paper draws valuable lessons for modern societies grappling with climate change, resource depletion, and social inequality. Issues such as unsustainable urban expansion, economic overreach, and political inflexibility mirror Ancient Rome’s struggles, underscoring the urgency of adopting resilient, sustainable policies today. The presentation will conclude with a discussion on how historical insights can inform contemporary sustainability strategies, emphasizing the need for balanced resource management, inclusive governance, and long-term environmental stewardship.

This proposal thus contributes to the broader discourse on the reception of ancient history in modern contexts proposed by the Conference by demonstrating how Rome's failures serve as cautionary tales for current global sustainability efforts. In doing so, it aligns with the interdisciplinary spirit of Contemporaneity of Antiquity while offering practical reflections relevant to the modern world.

**Daliya Nenova**

*Sofia University St. Kliment Ohridski (Bulgaria)*

## **The Transformation of Hades and his Myth in Modern Storytelling – From Ancient Dread to Romantic Archetype**

In this abstract, I will outline my topic of interest and why it is important. The myth of Hades, the ancient Greek god of the Underworld, has undergone a striking transformation in contemporary literature, shifting from a figure of dread and inevitability to a romanticized, even eroticized, antihero. This paper explores the modern reinterpretation of Hades in popular fiction, focusing on two key authors—Rick Riordan (*Percy Jackson & The Olympians*, *The Heroes of Olympus*) and Scarlett St. Clair (*A Touch of Darkness*)—to analyze how their works reflect broader cultural trends in the reception of classical mythology. By contrasting ancient Greek perceptions of Hades with his modern literary depictions, this study highlights the evolving archetype of Hades as both “evil incarnate” and a misunderstood, passionately loving figure—a duality that aligns him more closely with Eros than with his traditional role in antiquity.

### **Ancient vs. Modern Hades: A Shifting Archetype**

In ancient Greek literature and religion, Hades was a feared and respected deity, associated with death, the afterlife, and the inescapable finality of human existence. Unlike Zeus or Poseidon, he was rarely worshipped in cult practice, and his narratives (e.g., the abduction of Persephone) emphasized themes of inevitability and balance rather than redemption or romance. By contrast, modern retellings—particularly in the fantasy-romance genre – recast Hades as a brooding, magnetic figure whose “darkness” is not malevolent but alluring. This paper examines:

Riordan’s Hades: In *Percy Jackson*, Hades is initially framed as a villain but gradually humanized, reflecting YA (young adult) literature’s tendency to complicate “evil” archetypes. His familial conflicts

and moral ambiguities mirror modern psychological storytelling. He is also portrayed as a loving and grieving father to two demigod children.

St. Clair's *Hades: A Touch of Darkness* explicitly eroticizes Hades, blending the Persephone myth with tropes of modern romance novels. Here, Hades embodies the "dark romance" hero – a powerful but emotionally vulnerable figure whose love transcends his ominous realm.

#### Cultural Significance: Why Hades Now?

The romantic rehabilitation of Hades speaks to broader cultural phenomena:

**Reclaiming the "Villain":** Modern audiences gravitate toward morally complex characters, rejecting binary notions of good/evil. Hades' reinterpretation aligns with this trend, offering a mythic template for exploring redemption and empathy.

**Eros:** By conflating Hades with Eros, these narratives eroticize power dynamics and taboo desire, reflecting contemporary fascinations with "enemies-to-lovers" tropes and the allure of the forbidden.

**Myth as Flexible Discourse:** The plasticity of Greek myths allows them to be repurposed for modern anxieties – e.g., St. Clair's *Hades* resonates with #MeToo – era themes of agency and consent in Persephone's retold story.

This paper argues that this transformation reveals how antiquity is continually reimagined to suit modern ideological and emotional needs. By analyzing Riordan and St. Clair, we see how mythic figures are adapted to critique, entertain, and redefine societal values, proving the "contemporaneity of antiquity" in action.

**Anna Sava**

*University of Bucharest (Romania)*

## **Self and Time: a Story in Modern Colors**

“Birth of the Self”, “invention of the Self”, “evolution of the Self” – *how* do they reflect the critical moment of early Modernity? Moreover, *are they possible*? And what is this “Self” we so easily and eagerly talk about today? For many, the concept seems to belong to modern thought (that is, as a *product* of it): either as an *invention* of modern man, or as a *discovery* entirely distinct from earlier ideas of personhood. What, then, happens in Modernity, when the Self “bursts” free into the world? It happens that the human being becomes Subject, insofar as it has (re)cognized itself... as having a Self.

In this paper I argue that such a “Self-discovery” is in no way an arbitrary *product* of early Modernity, but rather a moment of metaphysical necessity, one whose premises (already present in Antiquity) share a common *origin* with their fulfilment (ἐνέργεια) – an ἀρχή that is also τέλος. Thus, by investigating the relationship between Antiquity and early Modernity, I propose to discuss the Self from a perspective that finds in history not its *cause*, but its *effects*. I will therefore explore the meaning and transformations of the famous “Know Thyself!” (Γνῶθι σεαυτόν), which links Modernity to Antiquity and determines it from the latter. An inquiry mirroring its three critical moments – represented by the figures of Socrates, Plato and Descartes (the Self unveiling itself through the latter) – will show here the forever present relationship between τέλος and ἀρχή, analogous with the one between the Subject and (it)self. However, all these moments take place *within* the Self which, although “born” in time (revealed in Modernity and rooted in Antiquity), cannot be captured neither in a genealogy, nor in a history, as they, being merely effects, can never do more but *reflect* it as their ground.

**Shi Xiaoyun**

*Nagoya University (Japan)*

## **Fate and Agency: A Comparative Analysis of Hector's Character in Homer's *Iliad* and the Film *Troy* (2004)**

This paper aims to compare the death of Hector in *Iliad* and the film *Troy* (2004), and analyze how Hector's character is shaped. Firstly, differing from traditional researches, I approach Hector's character through a comparison of two key similes in Books 12 and 22. Analyzing these similes, I argue that Hector's image transitions from an unconscious victim of divine fate to a tragic hero who consciously embraces his destiny. In Book 12, despite actively attacking the Achaeans, Hector is compared to a wild boar or lion surrounded by hunters, a simile that highlights his entrapment in a divine trap of which he is unaware. This incongruity between this image and his apparent control of the situation reflects the ancient Greek view of fate as a force operating beyond human understanding. In contrast, in Book 22, Hector is likened to an eagle descending from the clouds, a simile that, despite his dire circumstances, emphasizes his heroic recognition of fate and his acceptance of death. This image's detachment from the urgency of his situation underscores the inescapable nature of divine will in the classical worldview.

By analyzing these similes, I argue that Hector's character in *Iliad* is defined by the overpowering influence of the gods and fate. In contrast, modern interpretations, such as in the 2004 film *Troy*, remove divine intervention entirely. Hector is portrayed as a hero exercising personal agency, making choices grounded in his human emotions and responsibilities. This shift from a fate-dominated hero to one defined by individual autonomy highlights a broader transformation in heroism, from divine control in ancient times to the emphasis on human agency in modern narratives. Through this comparison, I explore how Hector's image has evolved from a tragic hero shaped by fate to a modern hero marked by personal choice.

**Olha Yefremova**

*Mariupol State University (Ukraine)*

## **The Homeric Epic about Penelope and the Specificity of Its Transformation in Kostas Varnalis's Novel "The Diary of Penelope"**

The paper examines the transformation of Penelope's image from a classical heroine of Homeric epic to a radically reinterpreted character in Kostas Varnalis' novel *The Diary of Penelope*. The main focus is on the changes in the perception of female roles, power, and social relations, reflecting the historical context and political realities of the 20<sup>th</sup> century.

Homeric Penelope is traditionally perceived as the ideal wife, wise and faithful, who patiently awaits Odysseus' return. She embodies traditional female virtues such as obedience, endurance, and loyalty. Her primary act of cunning weaving and unweaving the shroud not only symbolizes her intelligence and resilience but also serves as a means of passive resistance to imposed social expectations. At the same time, the double standards in *The Odyssey* highlight the contrast between male freedom and female limitations.

In contrast, Penelope in Varnalis' work is depicted as an ambitious, authoritative woman who takes control of the situation, using political intrigue and harsh methods of governance. Not only does she refuse to wait for Odysseus' return, but she also establishes a totalitarian regime, ruling Ithaca independently. Her character reflects the historical realities of the 20<sup>th</sup> century, particularly the experiences of Nazi occupation, collaboration, and the Greek Civil War.

Thus, Varnalis' novel is not only a literary reflection on an ancient myth but also a critical reinterpretation of historical events. The transformation of Penelope from a submissive wife to a dictator illustrates a shift in perceptions of power, morality, and the role of women in society, making her an ever-relevant figure throughout history.



ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის  
ინსტიტუტი

სამეცნიერო კონფერენცია

## „ბერძნულ-რომაული ფილოლოგიის აქტუალური საკითხები“

*კონფერენცია ეძღვნება ცნობილი ქართველი ელინისტის,  
თსუ ემერიტუსი პროფესორის, აკადემიკოსის, საქსონიის  
მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის,  
თსუ კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა  
და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის დამაარსებლის,  
რისმაც გორდუზიანის დაბადებიდან 85-ე წლისთავს.*

### პროგრამა



9-10 ივნისი, 2025

თბილისი



## კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტი:

- ლევან გიგინეიშვილი, პროფესორი, ინსტიტუტის დირექტორი
- ირინე დარჩია, ასოცირებული პროფესორი, ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე (თავმჯდომარე)
- ნანა ტონია, პროფესორი, კლასიკური ფილოლოგიის კათედრის გამგე
- თინათინ დოლიძე, პროფესორი, ბიზანტიური ფილოლოგიის კათედრის გამგე
- სოფიო შამანიდი, პროფესორი, ახალი ბერძნული ფილოლოგიის კათედრის გამგე
- მარიამ კალაძე, კლასიკური ფილოლოგიის დოქტორანტი
- ანნა ბერიშვილი, ახალი ბერძნული ფილოლოგიის დოქტორანტი
- ეკატერინე კვიციანი, კლასიკური ფილოლოგიის დოქტორანტი
- გიორგი ბარნაბიშვილი, სამაგისტრო პროგრამის „ძველი ენები და ცივილიზაციები“ მაგისტრანტი
- ბექა გელაშვილი, კლასიკური ფილოლოგიის ბაკალავრიატის სტუდენტი

## კონფერენციის სექციები:

- I სექცია - კლასიკური ფილოლოგიის აქტუალური საკითხები
- II სექცია - ანტიკურობის რეცეფცია მსოფლიო კულტურაში
- III სექცია - ბიზანტინისტიკის აქტუალური საკითხები
- IV სექცია - ბერძნულიდან ქართულად თარგმნის აქტუალური საკითხები
- V სექცია - ნეოგრეცისტიკის აქტუალური საკითხები

**რეგლამენტი:** მოხსენების ხანგრძლივობა – 20 წუთი, დისკუსია – 10 წუთი

კონფერენცია ჩატარდება თსუ მერვე კორპუსში და ონ-ლაინ პლატფორმა ZOOM-ის საშუალებით

**მისამართი:** ი. ჭავჭავაძის გამზ. N 13, თსუ მერვე კორპუსი, ოთახები N 220, 221

ZOOM link:

Join Zoom Meeting

<https://us02web.zoom.us/j/89716064383?pwd=YW4veUFiZ0RuYk-FqZEX6WmtPckYvQT09>

Meeting ID: 897 1606 4383

Passcode: 784685

9 ივნისი, 2025

I სექცია: კლასიკური ფილოლოგიის აქტუალური საკითხები

აუდიტორია N 220

თავმჯდომარე: ირინე დარჩია

- **15.30 – 16.00: მანანა ფხაკაძე** (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)  
ჰომეროსის გმირები
- **16.00 – 16.30: ლევან გიგინეიშვილი** (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)  
ბედისწერის და თავისუფლების ურთიერთმიმართება ჰომეროსთან და სოფოკლესთან
- **16.30 – 17.00: სოფიო შამანიდი** (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)  
პატროკლოსი - მხოლოდ „φίλιππος ἔταίριος“?
- **17.00 – 17.30: ზაზა ხინთიბიძე** (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)  
თანაგრძნობის გამოვლენა და სირცხვილის განცდა, როგორც ეპიკური გმირის პიროვნულობის გამოხატულება ჰომეროსის ეპოსსა და ვეფხისტყაოსანში

9 ივნისი, 2025

V სექცია: ნეოგრეცისტის აქტუალური საკითხები

აუდიტორია N 221

თავმჯდომარე: ანა ჩიქოვანი

- **15.30 – 16.00: ეკატერინე ქართველიშვილი** (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)  
საქართველოდან საბერძნეთში მიგრირებულ ბერძენთა ზეპირი ნარატიული ტექსტების კვლევის მეთოდები
- **16.00 – 16.30: ანა ჩიქოვანი** (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)  
ყნოსვითი მეხსიერება თანამედროვე ბერძნულ მოთხრობაში: სურნელი, როგორც მეხსიერების გასაღები
- **16.30 – 17.00: მედეა აბულაშვილი** (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)  
პოლიტიკა და ბერძნული ფრაზეოლოგიური ერთეულები

## 10 ივნისი, 2025

I სექცია: კლასიკური ფილოლოგიის აქტუალური საკითხები

აუდიტორია N 220

თავმჯდომარე: მანანა ფხაკაძე

- **12.00 – 12.30: თეა დულარიძე** (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)  
აგორის ფუნქცია და როლი ჰომეროსის საზოგადოებაში
- **12.30 – 13.00: ნანა ტონია** (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)  
სურათი სიტყვებს მიღმა (ეკფრასისი და ემპათია საპფოს ლირიკაში)
- **13.00 – 13.30: მანანა ლარიბაშვილი** (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)  
ძველი რომაული ლირიკა ალექსანდრიული პოეზიის კონტექსტში
- **13.30 – 14.00: ირინე დარჩია** (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)  
ხელოვნური ინტელექტი ანტიკურობის სწავლებისა და კვლევისთვის: საფრთხე თუ შესაძლებლობა

● **14.00 – 15.00: შესვენება**

10 ივნისი, 2025

III სექცია: ბიზანტინისტიკის აქტუალური საკითხები

აუდიტორია N 221

თავმჯდომარე: თინა დოლიძე

● **12.00 – 12.30: დალი ნადიბაიძე** (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)  
თავისუფლების არსისათვის „ახალი აღთქმის“ რამდენიმე ეპიზოდის მიხედვით

● **12.30 – 13.00: თინა დოლიძე** (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)  
ფუნქციონირებს თუ არა პატრისტიკულ საღვთისმეტყველო დისკურსში სპეციალური ენა

● **13.00 – 13.30: თამარ მესხი** (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი)

Notitia dignitatum-ში მოხსენიებული Caene Parembole-ს ეტიმოლოგიისა და ლოკალიზაციისათვის

● **13.30 – 14.00: მაგდა მჭედლიძე** (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)  
ქალაქი ღაზა V საუკუნეში და არეოპაგიტული კორპუსის პრობლემა

● **14.00 – 14.30: გვანცა კოპლატაძე** (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)  
პატრიარქი ფოტიოსის სწავლება სულიწმინდის შესახებ

● **14.30 – 15.00: შესვენება**

10 ივნისი, 2025

II სექცია: ანტიკურობის რეცეფცია მსოფლიო კულტურაში

აუდიტორია N 220

თავმჯდომარე: ქეთევან ნადარეიშვილი

● **15.00 – 15.30: ეკატერინე კობახიძე** (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

დავით ულუ და ალექსანდრე მაკედონელი

● **15.30 – 16.00: ნიკოლოზ შამუგია** (დამოუკიდებელი მკვლევარი)

„ესაუბრება ვარსკვლავს ვარსკვლავი“ - ანტიკური და ქართული მწერლობა (რამდენიმე პარალელი)

● **16.00 – 16.30: ნინო ჩიხლაძე** (აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

ის, ვინც ეძებს და მაინც ვერ პოულობს (ნინო ხარატიშვილი. „ელექტრას ომი“)

● **16.30 – 17.00: ეკა კვანტალიანი** (აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი), **ვაჟა ოთარაშვილი** (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი)

„ფრანგი ევრიპიდეს“ – ჟან რასინის ანტიკურობის რეცეფციები ბიბლიურ დრამებში „ესთერი“ და „ათალია“

● **17.00 – 17.30: ქეთევან ნადარეიშვილი** (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

ქალი, როგორც მთხრობელი - მედეა ო. ტაქსიდუს პოსტმოდერნულ და ფემინისტურ რეცეფციაში „მედეა“

**10 ივნისი, 2025**  
**IV სექცია: ბერძნულიდან ქართულად**  
**თარგმნის აქტუალური საკითხები**

აუდიტორია N 221  
**თავმჯდომარე:** ნანა ტონია

- **15.00 – 15.30: გვანცა ფოფხაძე** (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)  
ძველი ბერძნული ასტრონომიული ტერმინოლოგიის თავისებურებები და მისი ქართულად გადმოცემის გზები
- **15.30 – 16.00: მაია ბარამიძე, მარინა გიორგაძე** (შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი)  
იოანე სინელის „კლემაქსის“ ქართული თარგმანები (გამოკვლევა, ტექსტები, ლექსიკონი)
- **16.00 – 16.30: ლია ქაროსანიძე** (თსუ, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი)  
ბიზანტიური ენობრივი ნორმები და ქართული მთარგმნელობითი სკოლა

**თეზისები**  
**Abstracts**

## მედია აბულაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
(საქართველო)

### პოლიტიკა და ბერძნული ფრაზეოლოგიური ერთეულები

ფრაზეოლოგიური ერთეულებით მეტყველება თითოეული ერის ყოველდღიურობაა. როგორც წესი, ნებისმიერი ინტელექტუალური კოეფიციენტის მქონე ადამიანი მათ მექანიკურად, გაუცნობიერებლად იყენებს. პოპულარულ გამოთქმებს კი ზოგჯერ ისე ვხმარობთ, რომ არაფერი ვიცით მათი წარმომავლობის შესახებ.

ცნობილია, რომ ძლიერ ენას მრავალფეროვანი გამოთქმები და ძლიერი იდიომატიკა აქვს. ამ მხრივ, სრულიად უნიკალურია ბერძნული ენა, რომელმაც მრავალი საუკუნის წინ ხმარებული სიტყვათშეთანხმებები შემოინახა. ამასთან, ბერძნულიდან ან ბერძნულის გზით, მრავალი ენისა და ერის ცხოვრებაში ათასობით ფრაზა თუ უამრავი ტერმინი შევიდა და ბუნებრივად დამკვიდრდა.

ცნობილი ბერძნული გამოთქმების ნაწილი ისტორიულ პირობებთან და მოვლენებთანა დაკავშირებული, ზოგიერთის ძირი ბერძნულ მითებში უნდა ვეძიოთ, არაერთი მათგანი კი სახარებიდან მოდის. ასე რომ, თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ბერძნული ფრაზეოლოგიური ერთეულების ფონდი მითოლოგიას, რელიგიას და ისტორიას ერთდროულად მოიცავს. ზოგიერთი გამოთქმისა თუ იდიომის წარმოშობა და დამკვიდრება პოლიტიკას უკავშირდება – კონკრეტულ პოლიტიკურ მოღვაწეს თუ გარკვეულ პოლიტიკურ ვითარებას.

სხვადასხვა წარმომავლობის, მრავალ ხალხში დამკვიდრებულ გამოთქმებს პერმანენტულად მიმართავს თანამედროვე (როგორც ბეჭდვითი, ისე ელექტრონული) მედია – განსაკუთ-

რებით, პოლიტიკურ თემებთან დაკავშირებით. ცნობილ გამოთქმებს ხშირად იყენებენ პოლიტიკოსები, თუმცა, ზოგჯერ, არასწორი ფორმულირებით ან ინტერპრეტაციით (ამ მხრივ, არცთუ იშვიათად, ჟურნალისტებიც სცოდავენ). თანამედროვე ეპოქაში დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა ბერძენი პოლიტიკოსის, ალექსის ციპრასის ევროპარლამენტში გამოსვლას მისი პრემიერ-მინისტრობის დროს: ბერძნული სახელმწიფოს მეთაური შეეცადა თავისი გამოსვლა დაესრულებინა გამორჩეული ათენელი პოლიტიკოსისა და სტრატეგოსის, თემისტოკლეს ცნობილი სიტყვებით, რომელიც მან ბერძენ-სპარსელთა ერთ-ერთი ბრძოლის წინ წარმოთქვა. ციპრასმა შორეული წინაპრის ფრაზა (ἀκουσθον με, πάταξον δε – დამარტყი, ოღონდ, შეისმინე), რომელიც თანამედროვე ბერძნულშიც ძველი ბერძნული ფორმით იხმარება, არასწორად, შებრუნებით, წარმოთქვა. დიდხანს ვერ აპატიეს თანამემამულეებმა პოლიტიკოსს თემისტოკლეს სიტყვების დამახინჯება. ამ გახმაურებული ამბის შემდეგ, უკვდავ ფრაზას, რომელიც ბერძნულ რეალობაში ცხარე კამათისას იხმარება, თითქოს ახალი სემანტიკური ნიუანსები დაერთო.

ჩვენ შევეცდებით თავი მოვუყაროთ იმ ბერძნულ ფრაზეოლოგიურ ერთეულებს, რომლებიც კონკრეტული ადამიანების ეპიზოდური მეხსიერებიდან ერის სემანტიკურ მეხსიერებაში იდიომურ ფორმულებად დამკვიდრდნენ. ზოგიერთმა მათგანმა კი გახმაურებულ სიტუაციაში გაჟღერებისას ახალი ესთეტიკური ფუნქცია თუ კონოტაცია შეიძინა.

## მაია ბარამიძე, მარინე გიორგაძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (საქართველო)

### იოანე სინელის „კლემაქსის“ ქართული თარგმანები (გამოკვლევა, ტექსტები, ლექსიკონი)

**იოანე სინელი** უდიდესი საეკლესიო მოღვაწეა. მისი თხზულება „კლემაქსი“ ანუ „სათნობათა კიბე“ ქრისტიანული ეთიკის უმნიშვნელოვანესი სახელმძღვანელოა, რომელიც დიდი გავლენით სარგებლობდა ბერმონაზვნურ სამყაროში. შესაბამისად, ამ ტექსტისადმი განსაკუთრებულ დაინტერესებას ავლენდნენ ქართველი მამებიც. „კლემაქსი“ იმ ნაწარმოებთა შორისაა, რომელიც რამდენჯერმე ნათარგმნი ქართულად, რაც, უპირველესად, მეტყველებს მის პოპულარობაზე და ქართული კულტურისთვის დიდ მნიშვნელობაზე. ფაქტია, ასევე, რომ იოანე სინელის თხზულებამ, მისმა ქართულმა თარგმანებმა, მნიშვნელოვანი გავლენა იქონია შუა საუკუნეების ქართულ მხატვრულ-ფილოსოფიურ აზროვნებაზე.

„კლემაქსმა“, როგორც მნიშვნელოვანმა თხზულებამ ქართველი მოღვაწეების განსაკუთრებული ყურადღება დაიმსახურა. აღ. ცაგარელის ცნობით, იგი 983 წელს უკვე თარგმნილი ყოფილა ქართულად. ქართული „კლემაქსი“ ხუთი რედაქციით იყო ცნობილი. ერთ, მეათე საუკუნემდელ რედაქციას, რომლის შესახებაც ცნობას გვანვდის ექვთიმე ათონელი, ჩვენამდე არ მოუღწევია. დღესდღეობით არსებობს ამ ძეგლის ორი პროზაული რედაქცია – ეფთვიმე ათონელისა და პეტრე გელათელისა (გამოთქმულია შეხედულება (ივ. ლოლაშვილი), რომ მეორე პროზაული რედაქციის მთარგნელია არა პეტრე გელათელი, არამედ იოანე პეტრიწი) და სამი გალექსილი – იოანე პეტრიწისა და ანტონ კათალიკოსისა; ამათ გარდა უკანასკნელ წლებში აღმოჩენილ იქნა ანონიმი ავტორის მიერ დამუშავებული „კლემაქ-

სის“ პოეტური რედაქციის ფრაგმენტები გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებების ჩანართის სახით (ქ. ბეზარაშვილი).

გამოკვლევაში მოცემულია ხელნაწერთა აღწერილობა, შედარებულია ერთმანეთთან აღნიშნული ხელნაწერები და, ხშირ შემთხვევაში, ორიგინალის მოშველიებით დადგენილია ცალკეული ხელნაწერების სწორი და მცდარი ნაკითხვები.

„სათნობათა კიბის“ სხვა (ბერძნული, ლათინური, რუსული) თარგმანების მიხედვით დადგენილია ქართული ტექსტის დაკლებული და ზედმეტი ადგილები.

„კლემაქსის“ ქართული და ბერძნული რედაქციების შედარებით გამოვლინდა ექვთიმე ათონელისა და პეტრე გელათელის მთარგმნელობითი მეთოდის თავისებურებანი.

„კლემაქსის“ ექვთიმესეული რედაქცია ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ მთარგმნელი ყოველთვის ცდილობს **განავრცოს დედნის ტექსტი, ჩაურთოს თავისი ახსნა-განმარტებანი**. დედანთან შედარებით ექვთიმე ათონელის თარგმანში ხშირად დამატებულია **მიმართვა, მსაზღვრელი სახელები, ზმნები, წინადადებები**.

ექვთიმე ათონელი ცვლის ციტატებს. მაგრამ ძირითადადში მაინც ეს ციტატები ემთხვევა დღესდღეობით ცნობილი ბიბლიური ტექსტების რედაქციებს – გავრცობის, დამატება-დაკლების შემთხვევები აქ ისე ხშირი არაა, როგორც „კლემაქსის“ ძირითად ტექსტში.

ექვთიმე ათონელის მთარგმნელობითი ხერხები გამოვლინდა სქოლიო-კომენტარებში, რომლებიც ერთვის „კლემაქსს“. ექვთიმე ათონელი მათაც თავისებურად ცვლის: **ურთავს თავის განმარტებებს ან აკლებს რომელიმე ნაწილს**.

ორიგინალისგან დაშორების არც ერთი შემთხვევა (გავრცობა, დაკლება, შეცვლა) არ სცილდება გარკვეულ საზღვრებს. ექვთიმე ათონელი იმ მთარგმნელთა რიცხვს ეკუთვნის, რომელთა მიერ თარგმანებში შეტანილი შემატება-შემოკლება არ

მიდიოდა იქამდე, რომ დედანი დამახინჯებულიყო, თარგმანში დაცულია დედნის როგორც იდეური, ისე მხატვრული მხარე.

პეტრე გელათელის თარგმანის ყოველ სტრიქონში ჩანს ნორმები პეტრინონული სკოლისა.

პეტრე გელათელის თარგმანი ზუსტად მიჰყვება ბერძნულ ტექსტს, ორიგინალის გავლენა ჩანს გრამატიკულ კონსტრუქციებში, წინადადებათა სტრუქტურაში, ლექსიკაში. კერძოდ: გელათელის თარგმანში ჩვეულებრივია **ბერძნულის მიმლეობური კონსტრუქციები, რომელთაც შესაბამისად, ქართული ენის ნორმებს თუ გავითვალისწინებთ, უნდა გვექონოდა დამოკიდებული წინადადება; გელათელი ბერძნულ დედანს იმითაც ჰბაძავს, რომ მიმართავს გრძელ პერიოდებს, მისი დამოკიდებული წინადადება ხშირად გათიშულია მთავრით; ბერძნულის გავლენას ემორჩილება გარემოების გადმოცემის საშუალებანი. მთარგმნელი ცდილობს ბერძნული დედნის თანდებულები თარგმნოს და სხვ.**

იოანე სინელის „კიბის“ პეტრე გელათელისეული რედაქციის ლექსიკის დიდ ნაწილს ბერძნიზმები და კალკური კომპოზიტები წარმოადგენს.

პეტრე გელათელისეულ რედაქციას, რომელიც ელინოფილური მთარგმნელობითი მეთოდით არის შესრულებული, ერთვის მარგინალური შენიშვნები – კომენტარები ხელნაწერის აშიებზე. პეტრე გელათელი იცავს შავი მთის მწიგნობრულ-ლიტერატურული სკოლის ტრადიციას, რომელსაც ეფრემ მცირემ დაუდო სათავე.

კომენტართა ენა განსხვავდება ძირითადი ტექსტის ენისაგან, რომელიც თითქმის სიტყვასიტყვით მისდევს ბერძნულს.

„კლემაქსის“ ქართული თარგმანები საინტერესო მასალას შეიცავს ქართული სალიტერატურო ენის განვითარებისა და მასში მომხდარი ცვლილებების გასათვალისწინებლად.

„კლემაქსის“ ქართული თარგმანების ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფესორმა მერი ცინცაძემ.

მერი ცინცაძემ „კლემაქსის“ ქართულ თარგმანებზე მუშაობა მეოცე საუკუნის 60-იან წლებში დაიწყო. ერთი ნაწილი – „კლემაქსის“ ექვთიმე ათონელის თარგმანი და მისი ენა – სადისერტაციო ნაშრომია, რომლის დასრულების შემდეგ განაგრძო პეტრე გელათელის რედაქციის ტექსტსა და გამოკვლევაზე მუშაობა. მონოგრაფია მოიცავს ავტორის სადისერტაციო ნაშრომს და შემდგომი პერიოდის კვლევებს (მათ შორის ჩვენს ერთობლივს) ტექსტის ქართული პროზაული თარგმანების ენასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან საკითხებზე.

ნაშრომი გამოსცა სარედაქციო კოლეგიამ სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით.

## ლევან გიგინეიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
(საქართველო)

### ბედისწერის და თავისუფლების ურთიერთმიმართება ჰომეროსთან და სოფოკლესთან

ბედისწერის და ადამიანის თავისუფლების საკითხი ერთ-ერთი „დაწყველილ“ საკითხთაგანია კლასიკურ ბერძნულ ლიტერატურაში. ბედისწერის და მისი გარდაუვალობის პრინციპი, ერთი შეხედვით, წინააღმდეგობაში მოდის ადამიანის თავისუფლებასთან და, აქედან გამომდინარე, პასუხისმგებლობასთანაც. ჰომეროსის და სოფოკლეს შემოქმედებაში ამ საკითხს ცენტრალური ადგილი უჭირავს. შეიძლება ითქვას, რომ, პარადოქსულად, ეს ავტორები ამ ორივე პრინციპს, ანუ, ერთი მხრივ, ბედისწერის გარდაუვალობას და, მეორე მხრივ, ადამიანის თავისუფლება-პასუხისმგებლობას ამტკიცებენ. შევეცდები განვიხილო, როგორ და რა ნიუანსებით არის მორიგების ეს მცდელობა განხორციელებული ჰომეროსის „ილიადაში“ და „ოდისეაში“, ასევე სოფოკლეს თებეს ციკლის ტრაგედიებში – „ოიდიპოს მეფე“, „ოიდიპოსი კოლონოსში“ და „ანტიგონე“.

## ირინე დარჩია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
(საქართველო)

### **ხელოვნური ინტელექტი ანტიკურობის სწავლებისა და კვლევისთვის: საფრთხე თუ შესაძლებლობა?**

ხელოვნური ინტელექტი (AI) არსებითად ცვლის ყველა სფეროსა და დარგის განვითარების ტრაექტორიას, მათ შორის ანტიკურობის სწავლებისა და კვლევის პროცესს. მოხსენება კლასიკური ფილოლოგიის განვითარების სწორედ ამ ტრანს-ფორმაციულ ეტაპს ეხება.

ხელოვნური ინტელექტი გვთავაზობს ძველი ბერძნული და ლათინური ტექსტების თარგმნას, მათ მორფოლოგიურ, სინტაქსურ და სტილისტურ ანალიზს, მოცულობითი კორპუსების სწრაფ დამუშავებას, ანტიკური ძეგლების ვირტუალურ რეკონსტრუქციებს, პერსონაჟების პორტრეტებსა და ანტიკური სიუჟეტების ილუსტრაციებს. ეს ყველაფერი გვიზოგავს დროს, ზრდის ანტიკური სამყაროს შესახებ ცოდნის ხელმისაწვდომობას (განსაკუთრებით რესურსებით შეზღუდულ გარემოში), თუმცა ამ დიდ სიკეთეებს თან გარკვეული შეზღუდვები და ძალიან დიდი რისკები ახლავს.

ხელოვნური ინტელექტი (განვითარების ამ ეტაპზე მაინც) ხშირად გვთავაზობს ნაკლებ სანდო, ან ზედაპირულ, ბანალურ, ტრაფარეტულ ინტერპრეტაციებს, კონტექსტის არსებითად გათვალისწინების, ინტელექტუალური სიღრმისა და მასშტაბის გარეშე. თარგმანებიც (განსაკუთრებით „ეგზოტიკურ“ ენებზე ან „ეგზოტიკური“ ენებიდან თარგმნილი), ბუნებრივია, ნაკლებ სანდოა. გლობალურ ენებს თუ არ ჩავთლით, სხვა ენებზე არსებული რესურსებიც ძალიან შეზღუდულია და ერთგვარ უთანასწორობასაც კი იწვევს. პროცესების ავტომატიზაცია,

ერთი მხრივ, ზოგავს დროს, ხოლო, მეორე მხრივ, აფერხებს გარკვეული უნარების განვითარებას და, რაც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია, წარმოქმნის მთელ რიგ ეთიკურ პრობლემებს, მონაცემთა დაცვის და აკადემიური კეთილსინდისიერების თვალსაზრისით.

წარმოდგენილი მოხსენება, უახლესი დასავლური კვლევების, უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების ევროპული პოლიტიკისა და ტენდენციების გათვალისწინებით, გვთავაზობს ხედვას, როგორ და რამდენად არის შესაძლებელი, რომ – შესაბამისი საფრთხეებისა და რისკების მაქსიმალურად შემცირების შედეგად – ხელოვნური ინტელექტი გამოვიყენოთ კლასიკური ფილოლოგიის უფრო სწრაფად განვითარების, მოდერნიზაციის საშუალებად.

## თინა დოლიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
(საქართველო)

### ფუნქციონირებს თუ არა პატრისტიკულ საღვთისმეტყველო დისკურსში სპეციალური ენა

სათაურში მოცემული თემის ჰიპოთეტური სტატუსი და, ამასთანავე, მისი კომპლექსური ხასიათი შესაძლებლობას გვაძლევს თეზისურად შევუხოთ რამდენიმე ქვემომოყვანილ საკითხს:

*მკითხველის რაკურსი.* ეკლესიის ავტორთა საღვთისმეტყველო ტექსტების კითხვა ენის რეფერენციულობის საკითხებით დაინტერესებულ პირს უვლენს ენობრივი ნიშან-თვისებების რეგულარულ ტიპს, რომელიც თავისი კონტენტითა და სტრუქტურით შეიძლება შეფასდეს როგორც ფილოსოფიური ენისგან განსხვავებული სპეციალური ენა.

*ისტორიული არგუმენტი.* ბიბლიის ეგზეგეტიკის სამეცნიერო თეორიის შექმნისას ორიგენემ, ჰერმენევტიკულ მეთოდთან ერთად, ჩამოაყალიბა ბიბლიის ენის თეორია. პავლე მოციქულის ენობრივი კონცეფციის კვალდაკვალ, მან განასხვავა ორი სახის არტიკულაცია: საღვთო წერილის ნარატივი და ლინგვისტურ-ლოგიკური დისკურსი. პირველი, როგორც ლინგვისტური სისტემა, ორიგენესთვის საღვთო ძალის ქმედების არეა, მეორე კი – ბერძნული ინტელექტუალიზმის ენა, რომელიც ოდენ კაცობრივი აზროვნების ნაყოფს წარმოადგენს. ბიბლიის განმარტების ორიგენესეულ თეორიაში ორივე ტიპის ენის ერთობლივი ფუნქციონირება ქმნის საფუძველს საღვთო ჭეშმარიტების კვლევისთვის. მოცემული შედგენილობის მქონე ენობრივი მოდელი სრულად ირეკლება ორიგენეს შემდეგდროინდელ პატრისტიკულ ტრადიციაში. შესაბამისად, მისგან

მომდინარე და ეკლესიის მამათა მიერ გაზიარებული თეორია თეოლოგიურ დისკურსში ორი ენობრივი მოდელის კომბინირების შესახებ წარმოადგენს ისტორიულ არგუმენტს, რომელზე დაყრდნობითაც დასაშვებია საღვთისმეტყველო ენის დამოუკიდებელ ენობრივ ფენომენად განხილვა.

*საღვთისმეტყველო ენის შემადგენლობისთვის.* ეკლესიის მამათა საღვთისმეტყველო ტექსტებში მოცემული ენობრივი ქმედება თანმიმდევრულად მისდევს მათ თეორიულ რეფლექსიებს ენის ბუნებისა და ფუნქციის შესახებ. პრობლემატიკის კომპლექსურობის გამო მოცემული გამოკვლევა ვერ დაისახავს მიზნად ჰიპოთეტურად დაშვებული სპეციალური ენის სპეციფიკური სემანტიკური პრინციპებისა და კომპონენტების მეტ-ნაკლებად სრული სურათის გამოკვეთას. ის შეეხება მხოლოდ მის უმთავრეს მახასიათებლებს, კერძოდ, ზოგადად დაახასიათებს პატრისტიკის თეოლოგიური ენის სემანტიკურ ასპექტს, რის შემდეგაც წარმოადგენს ენის სტურუქტურული ელემენტების მონახაზს. მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება თეოლოგიური ენის არსებითი სემანტიკური მახასიათებლები, როგორცაა: ა) ენის ომონიმურობა; ბ) ურთიერთგადაჯაჭვული დენოტაციები; გ) სარწმუნოებრივ გამონათქვამში ჩართული სიჩუმის ფენომენი და დ) თეოლოგიური არტიკულაცია როგორც მიმეტიკური ნიშანი.

საღვთისმეტყველო ენის სტრუქტურის შემოთავაზებული სქემა მოხაზავს თეოლოგიური დისკურსის მიკრო და მაკრო ენობრივ ერთეულებს.

## თეა დულარიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
(საქართველო)

### აგორის ფუნქცია და როლი ჰომეროსის საზოგადოებაში

უძველესი წყარო, რომლისგანაც შეიძლება გამოვიკვლიოთ ბერძნული საზოგადოების სოციალური და პოლიტიკურ-კულტურული ცხოვრების ამსახველი ტენდენციები, ჰომეროსის პოემებია. აგორა, რომელიც ხშირად ითარგმნება როგორც „შეკრების ადგილი“, საჯარო თავყრილობისა და მსჯელობისათვის განკუთვნილ სივრცეს წარმოადგენს. ამ ცნების გაანალიზება დაგვეხმარება გარკვეულწილად აღვადგინოთ, როგორი იყო გადანწყვეტილების მიღების, საზოგადოებრივი დისკუსიისა და ძალაუფლების განხორციელების მექანიზმები ჰომეროსის ეპოქაში. როგორც ცნობილია, პოემებში აღწერილი სამყარო, განსაკუთრებით კი სხვადასხვა ეთნიკური და სოციალური საზოგადოება თავისი განვითარების საფეხურებითა და ცივილიზებულიობის ხარისხით, საკმაოდ მრავალფეროვანია. თუკი აგორა ყველა დონეზე გვხვდება, შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ჰომეროსის საზოგადოებისათვის იგი ორგანული ფენომენია, რაც ამავე დროს მისი განვითარების დონესაც განსაზღვრავს.

ჰომეროსის აგორა არ ჰგავს იმ აგორას, რომელსაც კლასიკურ ათენში ვხვდებით, თუმცა ჩანს, რომ საზოგადოებრივი აზრი უკვე ანგარიშგასაწევი ძალაა, მიუხედავად იმისა, რომ სიტყვით გამოსვლა მეფისა და გამორჩეული გმირების პრეროგატივაა. აქ შეიძლება შეკრების ორგანიზატორის აზრმა გაიმარჯვოს, თუმცა მთავარი მაინც ის არის, რომ დამოუკიდებლად, მოთათბირების გარეშე არ ხდება გადანწყვეტილების მიღება. ამას ისე ოსტატურად აკეთებს სიტყვით გამომსვლელი, რომ

ხშირ შემთხვევაში სრულ თანხმობასაც კი იღებს უმრავლესობისაგან. ასე რომ, ძნელია განსაზღვრო, ვის დაუჭერს მხარს ხალხი ამა თუ იმ პრინციპული საკითხის განხილვისას. აგორაზე მნიშვნელობა ენიჭება ანალიზს, არგუმენტაციას, რაციონალიზმს, სადაც უნდა დაამტკიცო გადაწყვეტილების მიღების მიზანშეწონილობა. სწორედ ამაზე აიგო შემდგომ მთელი ბერძნული ცივილიზაციის ხასიათი. ამავე დროს, ეს ის ადგილია, სადაც საზოგადოებრივი წესრიგი ყალიბდება, მნიშვნელობა ენიჭება ხალხის თუ ჯარის აზრს, იქმნება საზოგადოებრივი დისკუსიის სივრცე, თუმცა ისიც ცხადია, რომ აგორა ჰომეროსის ეპოქაში ჯერ კიდევ არ არის დემოკრატიული ინსტიტუცია.

მოხსენებაში განხილულია რამდენიმე მნიშვნელოვანი ეპიზოდი, რომელთა ანალიზი დაგვეხმარება ადრეული ბერძნული პოლიტიკური აზროვნებისა და ეპიკურ ტრადიციაში სამოქალაქო სივრცის კულტურის გააზრებაში.

## ეკა კვანტალიანი, ვაჟა ოთარაშვილი

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (საქართველო)

### **„ფრანგი ევრიპიდეს“ – ჟან რასინის ანტიკურობის რეცეფციები ბიბლიურ დრამებში „ესთერი“ და „ათალია“**

ჟან რასინის „ესთერისა“ და „ათალიას“ ფორმა-კომპოზიცია ანტიკური ელემენტებისაგან ნასაზრდოები კლასიციზტური ნაწარმოებებია. რასინი, გარდა იმისა, რომ არისტოტელეს დრამისთვის დამახასიათებელ ადგილის, დროისა და მოქმედების ერთიანობის კანონებს იყენებდა, ასევე, ანტიკური ხანის იდეურ აზროვნებას ეყრდნობოდა, რომ, დრამაში მოქმედება უნდა განვითარებულიყო მაყურებლის თანაგანცდასთან მიმართებაში და ისე მომხდარიყო კათარზისი. ჟან რასინი აღიარებულია თავისი დროის უდიდეს ლიტერატურულ მოღვაწედ, ფაქტობრივად, კლასიციზტური საფრანგეთის ევრიპიდედ.

რასინის „ესთერის“ და „ათალიას“ პოეტიკის ბიბლიური და ანტიკური მოტივების ფილოსოფიურ-ლიტერატურული აზროვნების გასაანალიზებლად, პირველ რიგში უნდა გავითვალისწინოთ კლასიციზმის თავისებურად განსხვავებული მხატვრული სისტემა, რომელიც ვითარდებოდა მე-17 საუკუნის განმავლობაში. ცნობილია, რომ კლასიციზმის, როგორც ლიტერატურული მიმდინარეობის განვითარების ისტორიაში, არისტოტელეს „პოეტიკამ“ უდიდესი როლი შეასრულა, რომლის წესების დაცვას ამ მიმართულების ესთეტიკური მომხრენი ცდილობდნენ. რასინიმ ევრიპიდეს ენა გააცოცხლა მისი თანამედროვე ფრანგულის მაღალ ეტაპზე აყვანით და რელიგიური პრინციპებით ნასაზრდოები იდეებით შეამკო.

კლასიციზმის ზეობისას მიზანშეწონილი იყო ანტიკური ეპოქის გმირების რეინტერპრეტაცია. შესაბამისად, XVII საუკუნის ტრაგედია ადამიანის სულის წინააღმდეგობებს გადმოსცემდა, რომელიც ტრადიციისა და ანტიკურობისადმი მიბაძვას შორის ესთეტიკურ შუალედს ქმნიდა. რასინის შექმნილ ორიგინალურ ტექსტებში ნაეკითხა ბერძენი ტრაგიკოსების ნაწარმოებები, რომლებიც მისთვის შთაგონების წყაროდ იქცა. მან სიცოცხლის ბოლო წლებში მიატოვა საერო თეატრი და რელიგიური სულისკვეთების ტრაგედიები – „ესთერი“ და „ათალია“ შექმნა. ყველაზე რთული საკითხი ამ დრამების პოეტიკის გაანალიზებაა ანტიკური და კლასიციზტური ტრადიციების სინთეზის კუთხით.

გარდა იმისა, რომ „ათალიას“ სიუჟეტი ბიბლიიდან არის ნასაზრდოები, ლიტერატურული წყაროს ანტიკური ელემენტების შტრიხები სიუჟეტის მოქმედების განვითარებით, ძველბერძნული ტრაგედიების, ევრიპიდეს „იონის“ და სოფოკლეს „კრეუსადან“ არის აღებული. ტრაგედია „იონი“ ძველ ბერძენ დრამატურგ ევრიპიდეს თავის მხრივ გადმოტანილი აქვს ანტიკური მითებიდან (ძვ.წ. 412-408 წწ.), სადაც ევრიპიდე ავითარებს იონის – იონიელთა წინამორბედის მითს, რომელიც სოფოკლემ მასზე ადრე გამოიყენა პიესაში „კრეუსა“. „იონი“ – ძველი ბერძენი დრამატურგის, სოფოკლეს ტრაგედიაცაა, რომლის ტექსტი თითქმის მთლიანად დაკარგულია. ევრიპიდემ გამოიყენა იგივე სიუჟეტური მოტივები მის შემდგომ ტრაგედიებში „ანტიოპა“ და „ჰიფსიპილე“.

მაშასადამე, იკვეთება რემინისცენცია ესქილეს, სოფოკლეს, ევრიპიდეს ტრაგედიებსა და რასინის „ათალიას“ შორის: მაგალითად, იოასის მსგავსად, ევრიპიდეს ტრაგედიის გმირი „იონი“, დელფოს ტაძრის ახალგაზრდა მსახური თავისი ბედით ბედნიერი, ელაპარაკება უცნობ ქალს, რომელიც სინამდვილეში დედამისია და უარს ამბობს მეფის შეთავაზებაზე (აქ

იოასისა და მისი ბების, ბოროტი დედოფლის ათალიას შორის საუბრის ანარეკლია).

ცნობილია, რომ რასინი თავის პიესებს ნოტებზე ქმნიდა გალექსილი ფორმით 12-მარცვლიანი ალექსანდრული საზომით. ევროპული დრამა ძალიან დიდი ხნის განმავლობაში ლექსის ფორმას იყენებდა. ანტიკურ საბერძნეთში კი ტრაგედიებს სასიმღერო-პოეტური სახე ჰქონდა. აღსანიშნავია, რომ საფრანგეთში მე-17 საუკუნეში შექმნილ პოემებს ამლერებდნენ პატარა ქნარის ან ვიოლას აკომპანიმენტით; მაგალითად, როგორც ჰომეროსი არფაზე ამლერებდა ლექსად თავის „ილიადას“ და „ოდისეას“, ასევე ბიბლიური მეფე დავით მეფსალმუნე ლირაზე გალობდა უკვდავ ფსალმუნებს.

პიესა „ესთერში“ ტრაგიკული გმირები არ დომინირებენ, არისტოტელესეული განმარტების მიხედვით. როგორც ანტიკური თეორეტიკოსისთვის იყო მისაღები, არც ერთი პროტაგონისტი არ უნდა ყოფილიყო მთლად კარგი და არც მთლად ცუდი. ესთერის პერსონაჟი კი, რომელიც სიმარტივით არის აღწერილი, სიკეთის და გამბედაობის საწყისია. ნაწარმოები სამმოქმედებიანია სტანდარტული ხუთი მოქმედების ნაცვლად.

მაშინ, როცა რასინის „ფედრა“ შეიძლება ჩაითვალოს კლასიციზტური ესთეტიკის დამაგვირგვინებელ მიღწევად ტრაგედიის სფეროში, „ათალია“ და „ესთერი“, ახალი დრამატურგიული ფენომენის საფუძველია, არა მხოლოდ ფორმისა და სტრუქტურის, არამედ შინაარსის თვალსაზრისითაც. რასინიმ კლასიციზმის ნორმების ტრაექტორიას გადაუხვია და უძველეს ტრაგედიას, რომლის სიუჟეტი ისტორიული თუ მითოლოგიური ანტიკურობაა, დაუპირისპირა ბიბლიური შთაგონების წყაროზე დაფუძნებული ინოვაციური ტრაგედიის ტიპი. ავტორმა პიესებში „ესთერი“ და „ათალია“ სინთეზურად გადმოიტანა ტრაგედიის უძველესი ტრადიციები ოპერის მომავადობელი

მელოდიის ელემენტების შეერთებით, უმკაცრესი რელიგიური მორალითა და არისტოტელესეული ანტიკური პოეტიკის ცნებათა დაცვით.

ამრიგად, ანტიკური ეპოქის არქეტიპებს (თეზაიდე, ანდრომაქე, იფიგენია, ფედრა), ავტორმა დაუმატა ბიბლიური დედოფლების განსაკუთრებული ხატსახეები და სრულიად უნიკალური ლიტერატურული პერსონაჟები ესთერისა და ათალიას სახით. დრამები „ესთერი“ და „ათალია“, შედგება ანტიკურობისათვის დამახასიათებელი ქოროს მისამღერებისა და ორატორიის ელემენტებისგან. რასინიმ საგუნდო სიმღერებით, დიალოგებისა და მონოლოგების ლაკონური გამომხატვის მონაცვლეობით, რიტორიკული აზროვნებით ეს პიესები უფრო მიაახლოვა ოპერასთან, ვიდრე ტრადიციულ ფრანგულ ტრაგედიასთან. ჟან რასინიმ ამ ხერხით დრამატული ხელოვნების რეალური განახლება შეძლო მე-17 საუკუნის დასასრულს.

## ეკატერინე კობახიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
(საქართველო)

### დავით ულუ და ალექსანდრე მაკედონელი

2009 წელს გამოქვეყნდა ორ ფურცლად დაცული ფრაგმენტი (H-1067), რომელიც ამჟამად ინახება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში. იგი შეიცავს „ქართლის ცხოვრების“ ერთ მონაკვეთს, კონკრეტულად კი – ჟამთააღმწერლის თხზულების ფრაგმენტს. ტექსტი აღწერს მეფე დემეტრე II-ის გამეფების ეპიზოდს, რომელიც წინ უსწრებს მის გამოძახებას ურდოში. ფრაგმენტში ასევე შემონახულია ცნობები დავით ულუს გარდაცვალების შესახებ, რაც, ხალხში გავრცელებული აზრით, მიზანმიმართული მკვლელობის შედეგად მოხდა. ამასთან, XIV საუკუნის ავტორი ამ მოარულ ცნობას ადარებს ალექსანდრე მაკედონელის მონამვლის შესახებ ანტიკურ წყაროებში გადმოცემულ ამბავს. განსაკუთრებით საყურადღებოა ის ფაქტი, რომ აღნიშნული პასაჟი არსებითად განსხვავდება „ქართლის ცხოვრების“ სხვა ხელნაწერებში დაცული ანალოგიური ეპიზოდისაგან. მოხსენებაში გაანალიზებულია ეს განსხვავებები და წარმოდგენილია H-1067-ის ამ ნაწილის ალტერნატიული ინტერპრეტაცია. ჩემი შეფასებით, ტექსტი მცდარად იქნა გაგებული გამომცემლის მიერ, რომელმაც არასწორად დაუკავშირა დავით ულუს მონამვლა დეიანირასა და ჰერაკლეს შესახებ ცნობილ ბერძნულ მითოლოგიურ სიუჟეტს. მოხსენებაში მოცემულია ტექსტის ნაკითხვისა და გაგების შესწორებული ვერსია, რაც შეიძლება საფუძვლად დაედოს ხელნაწერის ამ მონაკვეთის ახლებურ ინტერპრეტაციას. ვფიქრობ, საქმე გვაქვს ალექსანდრე მაკედონელის მკვლელობის შესახებ ანტიკურ წყაროებში დადასტურებულ იმ ინფორმაციასთან,

რომლის მიხედვითაც ალექსანდრე გარდაიცვალა, როდესაც გამოცალა გაუზავებული ღვინით სავსე დიდი სასმისი ჰერაკლეს პატივსაცემად.

## თამარ მესხი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი (საქართველო)

### Notitia dignitatum-ში მოხსენიებული Caene Parembole-ს ეტიმოლოგიისა და ლოკალიზაციისათვის

Notitia dignitatum-იდან (V ს.) ჩანს, რომ Caene Parembole პოლემონის პონტოს პროვინციის ერთ-ერთი გეოგრაფიული პუნქტია, სადაც განლაგებული იყო რომის იმპერიის სამხედრო ნაწილები, რომლებიც არმენიის დუქსს ექვემდებარებოდა.

თავდაპირველად Caene Parembole-ს საკუთარ სახელად არ მიიჩნევდნენ, მაგრამ მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ „ორენტიოსისა და ძმათა მისთა მარტვილობაში“ მოიხსენიება ტოპონიმი Καινή παρεμβολή, მკვლევრები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ Caene Parembole სწორედ ამ ტოპონიმის (Καινή παρεμβολή) ლათინური ტრანსკრიფციაა. მათივე განმარტებით, Caene Parembole ნიშნავს „ახალ ბანაკს“, „ახალ ციხეს“.

V საუკუნის ანონიმურ „პერიპლუსში“ დასახელებულია ბანაკი Καλή παρεμβολή (კალი პარემვოლი), რომელიც მდებარეობდა მდინარე Καλός ποταμός-თან (თურქ. İyî Dere), ოფისა და რიზეს შუა.

სახელწოდებათა მსგავსების გამო, მკვლევართა უმეტესობამ Καλή παρεμβολή და Καινή παρεμβολή გააიგივა. ერთი ნაწილი Καινή παρεμβολή (= Caene Parembole)-ს მდებარეობას მდინარე Καλός ποταμός-ის ზონაში მოიაზრებს, მეორე ნაწილი – ტრაპეზუნდსა და რიზეონს შორის, ზღვის სანაპიროზე. არსებობს ორიოდე განსხვავებული მოსაზრებაც, მტკიცებულებების გარეშე. ერთი სიტყვით, Caene Parembole-ს ლოკალიზაციის საკითხი ისევ აქტუალურია.

Caene Parembole-ს ლოკალიზაციისათვის მნიშვნელოვან ცნობებს გვანვდის „ორენტიოსისა და ძმათა მისთა მარტვილოპის“ კიმენური და მეტაფრასული ტექსტები.

კიმენური ტექსტის თანახმად, ორენტიოსი და მისი სულიერი ძმები მეფემ „წარსცა სატალეველთა დუქსს“ და მისწერა, ყოველი ღონე ეხმარა, რათა ისინი კერპთაყვანისმცემლობას დაჰბრუნებოდნენ. თუ უარს იტყოდნენ, წარეგზავნა ისინი „ექსორიად ქუყანასა აფხაზეთისასა და ჯიქეთისასა“. რაკი ძმები ქრისტეს ერთგულნი დარჩნენ, დუქსმა ბრძანებისამებრ იმოქმედა: „მი-რად – ჰყვანდეს იგინი მგ ზავრ, ვითარცა მიიწინეს იგი ადგილსა მას, რომელსა „ბანაკებ“ ეწოდებოდა, წმიდად ეროს, უხუცესი ძმა, უფლისა მიმართ მიიცვალა თუესა ივნისსა კბ, ხოლო წმიდად ორენტი რიზეონს რად მიიწია, მოება ლოდი ქედსა მისსა და შთაიგდო ზღუასა... თუესა ივნისსა კდ...“.

მეტაფრასული ვერსიის მიხედვით, ორენტიოსი და მისი ძმები სატალადან ტრაპეზუნდს უნდა წაეყვანათ, იქიდან კი ხომალდით აფხაზეთს წარეგზავნათ. უფროსი ძმის აღსრულების ადგილად დასახელებულია „კენი პარაოლიდ“, ბერძნულში – Καίρι παρεμβολή.

პროკოპი კესარიელის (VI ს.) თხზულებათა მკვლევრების თანახმად, არსებობდა არმენიიდან ტრაპეზუნდისკენ მიმავალი ორი გზა: 1. ერზერუმიდან ბაიბურთის გავლით, ღართის გასწვრივ, 2. ერზინგანიდან სატალას გავლით. ეს ორი გზა ერთმანეთს კვეთს გიუმუშ-ხანეს მახლობლად. სავარაუდოდ, იგივე გზები იქნებოდა იმპერატორ დიოკლეტიანეს (284-305) დროს, როდესაც ორენტიოსი და მისი ძმები აწამეს. ამიტომ ექსორი-აქმნილ ძმებს სატალადან პირდაპირ წაიყვანდნენ რიზეონში, თუ ტრაპეზუნდის გავლით, ორივე შემთხვევაში მოხვდებოდნენ გიუმუშ-ხანეს მახლობლად.

გიუმუშ-ხანეს აღმოსავლეთით მიედინება მდინარე კანისი (ὁ Κάνις), რომელიც გადაკვეთს თუ არა არდასას, სახელს იცვ-

ლის და დანარჩენ ტერიტორიას, ვიდრე შავ ზღვაში ჩაედინება, კვეთს სახელით Χαρσιώτης (თურქ. Harşit Çayı).

გიუმუშ-ხანეს ადრინდელი სახელწოდება იყო Κάνις (კანის). არსებული თვალსაზრისით, ქალაქმა სახელწოდება მდინარისგან მიიღო. ჩვენი აზრით, პირიქით მოხდა – ქალაქის გამო შეერქვა მდინარეს ὁ Κάνις (ო კანის). ამის დასტურია თუნდაც ის, რომ გასცდება თუ არა მდინარე გიუმუშ-ხანეს მიდამოებს, სახელს იცვლის.

რომაელები სამხედრო ნაწილებს უმეტესწილად მდინარეების მახლობლად განალაგებდნენ. ამის დასტურია ზემოთ ხსენებული Καλή παρεμβολή, მდებარე მდინარე Καλὸς ποταμός-ის მახლობლად; Notitia Dignitatum-სა და ანდრია მოციქულის „მომოსვლაში“ დასახელებული Παρεμβολή Ἰψαρος – „ბანაკი აფსაროსისა“ და ა.შ. სავსებით შესაძლებელია, რომაელებს ბანაკი მდინარე კანისზეც ჰქონოდათ. Καινή παρεμβολή-ში კი სწორედ ის ბანაკი იგულისხმებოდა.

ბანაკის თავდაპირველი სახელწოდება უნდა ყოფილიყო Κάνιος Παρεμβολή, საიდანაც მივიღეთ Καινή παρεμβολή, მისგან კი – **Caene Parembole**.

ამ თვალსაზრისს გვიმყარებს ის გარემოება, რომ პროკოპი კესარიელი (VI ს.) თავის თხზულებაში „შენობათა შესახებ“ ასახელებს სოფელს Κενά (კენა), რომელიც, მისივე აღწერილობით, გიუმუშ-ხანეს მიდამოებში მდებარეობდა. ვფიქრობთ, გიუმუშ-ხანეს ძველი სახელწოდება Κάνις სწორედ Κενά-დან მომდინარეობს (ბერძნულისათვის ε/α-ს მონაცვლეობა დამახასიათებელია).

ამრიგად, ჩვენი საბოლოო დასკვნა ასეთია:

Καλή παρεμβολή და Καινή παρεμβολή (=Caene Parembole) ორი სხვადასხვა გეოგრაფიული პუნქტია.

Καλή παρεμβολή მდებარეობდა მდინარესთან Καλός ποταμός (თურქ. İyi Dere), ოფისა და რიზეს შუა, როგორც ამას V საუკუნის ანონიმური „პერიპლუსი“ გვაუწყებს.

**Caene Parembole (=Καινή παρεμβολή)** ნიშნავს **ბანაკს მდებარეს მდინარე კანისთან** და არა „ახალ ბანაკს“ ან „ახალ ციხეს“, როგორც აქამდე იყო მიჩნეული.

**Caene Parembole (=Καινή παρεμβολή)** არის გიუმუშ-ხანეს ციხე ან კანისის ხეობაში მდებარე რომელიმე სხვა ციხე.

## მაგდა მჭედლიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
(საქართველო)

### ქალაქი ლაზა V საუკუნეში და არეოპაგიტული კორპუსის პრობლემა

დიონისე არეოპაგელის, პავლე მოციქულის მოწაფის, სახელით VI საუკუნეში გავრცელებული ნაწერების ავთენტურობის საკითხი იმთავითვე, მათი გამოჩენისთანავე, დადგა. დღესდღეობით, მეცნიერთა უმრავლესობა, ამ ნაწერების თავდაპირველი გავრცელების არეალისა და მათში ასახული თხზულებების ავტორთა ქრონოლოგიის გათვალისწინებით, თანხმდება იმაში, რომ არეოპაგიტულად წოდებული კორპუსი შექმნილი უნდა იყოს სირია-პალესტინის რეგიონში V საუკუნის მეორე ნახევარში, ან VI საუკუნის პირველ მეოთხედში. კორპუსის ავტორი ხასიათდება გვიანანტიკური ფილოსოფიური აზროვნებით, მაგრამ ამასთანავე იგი მემკვიდრეა კაპადოკიური ტრადიციის ღვთისმეტყველებისა. ნაწერებში ერთმანეთთან არის შეხამებული ლოგიკურ აზროვნებაზე დაფუძნებული მეტაფიზიკა და მისტიკური თეოლოგია, ღვთისმეტყველების კატაფატიკური და აპოფატიკური მეთოდები, რეალიზმი და სიმბოლიზმი...

არეოპაგიტული კორპუსის ავტორთან დაკავშირებით მეცნიერებაში გამოთქმულ ჰიპოთეზებს შორის უკანასკნელ ხანს განსაკუთრებული ყურადღებით სარგებლობს აზრი ფსევდო-დიონისეს გაიგივებისა ათენის ნეოპლატონური სკოლის უკანასკნელ დიადოქოს დამასკიოსთან. ეს აზრი თავისთავად გასაზიარებლად არ მიმაჩნია, თუმცა შეხების წერტილების არსებობა ამ ორი ავტორის ნააზრევს შორის უთუოდ იმსახურებს ყურადღებას. სულ ცოტა ხნის წინ ანა ქირიას სადოქტორო ნაშ-

რომში, ფსევდო-დიონისეს „საღმრთო სახელების შესახებ“ და დამასკიოსის „საწყისთა შესახებ“ თხზულებების სიღრმისეული ანალიზის შედეგად, დამაჯერებლად იქნა წარმოჩენილი მათი პოზიციების მსგავსება პროკლეს ნეოპლატონურ სისტემასთან მიმართებაში, რაც, ჩემი აზრით, ამყარებს მეცნიერებაში გამოთქმულ ვარაუდს მათ შორის კომუნიკაციის არსებობის შესახებ. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, კვლავ აქტუალური ხდება შალვა ნუცუბიძისა და ერნსტ ჰონიგმანის ჰიპოთეზა არეოპაგიტული წიგნების ავტორად პეტრე იბერის მიჩნევასთან დაკავშირებით – პალესტინაში მოღვაწე ბერისა, რომელიც მაიუმის (ქალაქ ლაზის საპორტო რაიონის) ეპისკოპოსიც იყო.

არეოპაგიტულ წიგნებთან მიმართებაში პეტრე იბერის შესახებ კვლევის განახლება, ჩემი აზრით, გამართლებულია, ძირითადად, ორი მოსაზრებით: პირველი არის ის, რომ თავისი მოღვაწეობით პეტრე დაკავშირებულია ლაზასთან, რომელიც V საუკუნეში ანტიკური პაიდევტიკური ტრადიციებით ცნობილი ქალაქია (განთქმული რიტორიკული სკოლითა და ალექსანდრიელ ფილოსოფოსთა ანალოგიური ინტერესებით), რომლის შემოგარენი ამავედროულად სამონასტრო ცხოვრების აღმავლობით გამოირჩევა. და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ლაზა გამორჩეულია აკადემიური და სამონასტრო წრეების თანამშრომლობითაც (მაგალითად, სქოლარქები პლატონის ინტერპრეტაციებს ავტორიტეტულ მამებთან ათანხმებენ). მეორე მიზეზი პეტრე იბერის მიმართ ყურადღებისა არის ის, რომ თავისი დროისათვის ამ ავტორიტეტულ პიროვნებას, საკუთარი სახელით არაფერი გამოუქვეყნებია. არეოპაგიტული ნაწერები კი, ჩემი აზრით, შეუძლებელია ეკუთვნოდეს სხვა თხზულებებით ცნობილ რომელიმე პიროვნებას: რა მსგავსებასაც არ უნდა გვიჩვენებდეს ფსევდო-დიონისეს ტექსტი ამა თუ იმ ავტორის (წარმართისა თუ ქრისტიანის) ნააზრევთან, მთლიანობაში მისი კონცეფცია ორიგინალურია, სტილი კი – განუმეორებელი.

მოსვენებაში ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით განვიხილავ ფსევდო-დიონისესა და დამასკიოსს შორის კომუნიკაციის შესაძლებლობას, და ასევე – პეტრე იბერის პიროვნების შესახებ გადმოცემებს: გვაძლევენ თუ არა ისინი უფლებას, პეტრე არეოპაგიტული კორპუსის ავტორად ვივარაუდოთ.

## ქეთევან ნადარეიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
(საქართველო)

### ქალი, როგორც მთხრობელი – მედეა ო. ტაქსიდუს პოსტმოდერნულ და ფემინისტურ რეცეფციაში „მედეა“

„ქალთა გონება ღვთაებრივი ღირსის ჰანგებით არ აღუვსია ჰომნთა მეუფე მალალ ფოიბოსს, თორემ საპასუხოდ კაცებზე მეც ვიმღერებდი“ (ევრ. მედ. 423-426) – მღერის ქორო ევრიპიდეს „მედეაში“ და ქალთა მღუმარებაზე ჩივის. სწორედ ამას – ანტიკურ სამყაროში ქალის ხმის სიმწირეს – ეხმიანება 90-იანი წლების ფემინისტური მოძრაობის III ტალღის წიაღში აღმოცენებული კლასიკური ტრადიციის ფემინისტური ინტერპრეტაციები. იქცა რა მათთვის ანტიკური ტექსტის რეციპირებისას ამოსავლად გენდერული როლების შესწავლა, ამ ავტორთა თხზულებებში თვალშისაცემია მოქმედების წარმმართველი ენერგიული ქალი პერსონაჟების სიჭარბე, ხაზგასმა მათ გონებრივ მონაცემებზე, კერძოდ, ინტელექტსა და გამჭრიახობაზე. რაც მთავარია, მთელი სიმძლავრით წარმოჩინდა ქალის ხმა, მეტიც, მომრავლდა ნაწარმოებები, რომლებშიც ქალი გახდა ერთადერთი თუ არა, ძირითადი მთხრობელი მაინც.

ჩვენი მოხსენების მიზანია განვიხილოთ ქალი, როგორც მთხრობელი, ოღვა ტაქსიდუს პიესაში „მედეა“. ამუშავებს რა ევრიპიდეს ტრაგედიის სიუჟეტს ნარაციათ და არა მოქმედებით, ტაქსიდუს პიესაში, შეიძლება ითქვას, ძირითადი მთხრობელი არის მედეა (ძიძა/დამლაგებელს ერთი პატარა პარტია აქვს), შესაბამისად, მოვლენებიც მისი პრიზმიდან არის დანახული.

მოხსენებაში შესწავლილი იქნება: ა) თუ როგორ იყენებს ავტორი პოსტმოდერნისტული თხრობის ეკლექტიკურ სტილს ახალი ტიპის პერფორმერის – ე.წ. Postdramatic text bear-ის

(„პოსტდრამატული ტექსტის მატარებელი“ – დ. ბარნეტის ტერმინი) შესაქმნელად, რომელიც უფრო „ტექსტის მატარებელი“, ვიდრე *dramatis personae*; ბ) როგორია ამგვარი პერფორმერის კავშირი აუდიტორიასთან, რაში გამოიხატება ის რეფლექსირება, რომელიც უმთავრესია III ტალღის ფემინისტი ავტორების ესთეტიკისთვის; გ) რა აქცენტებით წარმოგვიდგენს მედეა ევრიპიდეს ტრაგედიის ე.წ. „ქალთა საკითხებს“; დ) როგორ პოზიციონირებს კოლხი ასული ერთსა და იმავე დროს როგორც მითოსური მედეა და თანამედროვე საბერძნეთში მცხოვრები ექს-დედოფალი და თანამედროვე სამყაროს რომელი პრობლემების წარმოჩენას ემსახურება მისი, როგორც „უცხო“ დახატვა; ე) რამდენად და რაში ეხმიანება ტაქსიდუს გმირი III ტალღის ფემინისტი ინტერპრეტატორების თვალთ დახატულ კლასიკური მითების ქალ პერსონაჟებს.

მოხსენების დასკვნები საყურადღებო იქნება როგორც კლასიკური ტრადიციის ფემინისტური რეციპირების დისკურსისა და ძველი ტექსტების ახალ, რევიზიონისტულ წერილში ინტერპრეტაციის შემსწავლელთათვის, ისე მთლიანობაში მედეას სახის ახლებურად გადამუშავებით დაინტერესებულ მკვლევართათვის.

## დალი ნადიბაიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
(საქართველო)

### თავისუფლების არსისათვის „ახალი აღთქმის“ რამდენიმე ეპიზოდის მიხედვით

თავისუფლებას კაცობრიობა თავისი არსებობის და აზროვნების მანძილზე ყველა ფორმაციასა და აღმსარებლობაში უძღვნიდა ნააზრევის უდიდეს ნაწილს. მას იმდენად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქრისტიანულ სწავლებაში, რომ იესო ქრისტე საიდუმლო სერობაზე მსჯელობს მოწაფეებთან თავისუფლების მნიშვნელობის, არსისა და მისი მიღწევის გზების შესახებ. თავისუფლების მოპოვების გზა, ახალი აღთქმის ტექსტის მიხედვით, არის ჭეშმარიტების ცნობა და აღიარება. თუ ქრისტეს მოსვლამდე ფილოსოფოსები და მოაზროვნეები ჭეშმარიტების არსის განსაზღვრისას სვამდნენ კითხვას – თუ რა არის ჭეშმარიტება, და ამ კითხვას პილატეც უსვამს ქრისტეს, ქრისტეს პასუხი არის, რომ ის თავად არის ჭეშმარიტება! თავისუფლების მოპოვება მისი მცნებების დაცვით, მისი მიბაძვით ხდება; ამის საპირისპიროდ, ცოდვის ჩამდენი მონაა ცოდვისა და და მონას თავისუფლება არ აქვს – ამას რამდენიმეგზის იმეორებს ის ზეთისხილის მთაზე ქადაგებისასაც. ახალი აღთქმის წიგნებში (როგორც სახარებებში, ისე ეპისტოლეებში) საუბარია იმ ფუნდამენტურ ღირებულებებზე, რომლებიც ადამიანს ადამიანად აქცევს და განასხვავებს სხვა ქმნილებებისგან, რითაც ის იმკვიდრებს ღვთის ხატებას და მსგავსებას. მოხსენებაში მოკლედ განხილული იქნება ის მოთხოვნები, რომლებიც ქრისტიანული მოძღვრებით ადამიანმა საკუთარ თავს უნდა ნაუყენოს და რასაც მას ღმერთი სთხოვს ამ თავისუფლების, ჭეშმარიტების სულის მოსაპოვებლად და დასამკვიდრებლად.

სულიერ თავისუფლებასა და ჭეშმარიტების ერთგულებაზე მსჯელობა არ ნიშნავს, რომ ქრისტიანობა ფიზიკურ თავისუფლებას ყურადღებას არ აქცევს და არად აგდებს ადამიანის ფიზიკურ უსაფრთხოებას და სიცოცხლეს. სახარების ტექსტებში მოთხრობილია რამდენიმეგზის როგორ განერიდა ქრისტი იუდეველებს, რომლებიც მოსაკლავად იმეტებდნენ, მოციქულებსაც ემინოდათ, რადგან იდევენობდნენ, ერთმანეთის საპყრობილედან გათავისუფლებაზე ზრუნავდნენ; მაგრამ მათი თავდაცვა არის ღვთის მცნებების ფარგლებში, არ ეწინააღმდეგება სულის თავისუფლების პრინციპებს; ფიზიკურ თავისუფლებას არ ეწირება ღვთისადმი ერთგულება და თუ ეწირება, ის სინანულით არის გამოსყიდული, როგორც ეს მოხდა პეტრე მოციქულის შემთხვევაში.

მოხსენებაში სახარებისეული ციტატების და მათი კომენტარების მოხმობით ეს საკითხი მოკლედ იქნება გაანალიზებული. დასკვნის სახით კი შეგვიძლია ვთქვათ, რომ თავისუფლება ადამიანის მიზანია, რომელიც მან, როგორც ჭეშმარიტების მაძიებელმა და მოსურნემ, უნდა მოიპოვოს და დაიმკვიდროს მუდმივი ღვანლით. ამავე დროს თავისუფლება ადამიანის, როგორც ამ ღვთაებრივი უკვდავი სულით შექმნილი არსების, თვისებაა, რომელიც ან დაკარგავს ცოდვით ამ თავისუფლებას, ან უმაღლეს ხარისხში მოიპოვებს მას ამ ღვთაებრივი, ჭეშმარიტების სულის დამკვიდრებით. თავისუფლების გამოვლენა ხდება ადამიანის არჩევანში კეთილსა და ბოროტს შორის, გადანყვეტილების მიღების უნარში, რაშიც ადამიანი დამოუკიდებელია და რაშიც რეალიზდება და ფორმირდება მისი პიროვნება.

## ნანა ტონია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
(საქართველო)

### სურათი სიტყვებს მიღმა (ეკფრასისი და ემპათია საპფოს ლირიკაში)

თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობით პროცესებში ინტერმედიალურობის თეორია სულ უფრო მეტ ინტერესს იწვევს, რამეთუ პასუხობს ეპოქალურ გამოწვევებს. ინტერმედიალური კვლევის უმთავრესი მიზანი არის ხელოვნების სხვადასხვა ფორმათა და ავტორისეულ ინსპირაციათა იმ სინთეზის გამოვლენა, რაც მხატვრული ქმნილების ცხოველმყოფელობას განაპირობებს. ამ მიმართებით მხატვრული ტექსტის ანალიზი საშუალებას იძლევა ვისაუბროთ ავტორისეულ და მკითხველისეულ განცდათა ურთიერთმიმართებაზე, განსხვავებულ კულტურულ კოდებზე, ლინგვისტურისა და არალინგვისტურის ერთიანობაზე, „სამანთა უსამანობაზე“ და სხვა მსგავს პროცესებზე.

მხატვრულ ლიტერატურაში ენის ესთეტიკური ფუნქცია ირეკლება და რაც უფრო მდიდარია ავტორისეული წარმოსახვა, მით უფრო ფერწერულია მისი ქმნილება. სიტყვაკაზმული მწერლობის ინტერმედიალური ანალიზი ცხადს ხდის, რომ შესაძლებელია დახატვა ან გამოქანდაკება ვერბალური ქმნილებებისა და ეს მრავალგზის იქნა დადასტურებული ხელოვნების ისტორიაში. ეს ანალიზი უშუალოდ ეფუძნება მხატვრული წარმოსახვის ისეთ მეთოდს, როგორიც არის „ეკფრასისი“ („აღწერა“). ეს მოვლენა ცნობილია ანტიკური ხანიდან და მას საუკუნეთა განმავლობაში არსებითი ცვლილებები არ განუცდია. მხატვრული ლიტერატურის ტექსტში ვიზუალურის რეპრეზენტაციასა და ეკფრასისის პრობლემას დღეს მრავალი ნაშრომი ეძღვნე-

ბა. თანამედროვე ფილოლოგიურ გამოკვლევებში ეკფრასისი უკვე მიჩნეულია **ჟანრად**, რომელიც აღწერს ხელოვნებისა თუ ბუნების ქმნილებებს რიტორიკულ-ნარატოლოგიური ხერხის მეშვეობით. ეს არის ერთგვარი „გააზრებული სტრატეგია, რომელიც ლიტერატურულ-მხატვრული ტექსტის სიღრმისეული გაცნობიერების საშუალებას იძლევა“.<sup>1</sup>

ეკფრასისის, როგორც ჟანრის, ფუნქციათა შორის, ჩემი აზრით, უნდა მოიაზრებოდეს „ემპათია“, რაც ხელოვნების ნებისმიერი ქმნილების სიღრმისეულ გაგებას აფართოებს. ეს ტერმინი სამეცნიერო ლიტერატურაში მე-20 საუკუნის დასაწყისში გამოჩნდა. მისი წარმომავლობაც ძველბერძნულია (Empatheia) და იგი შეიძლება ითარგმნოს, როგორც „შინაგანი განცდა“, „თანაგრძნობა“. თავდაპირველად მას მიმართავდნენ ფილოსოფიურ (ფროიდი) თუ ესთეტიკურ (ხელოვნების ქმნილების აღქმა და განცდა) კონტექსტში. დროთა განმავლობაში ამ ცნებამ უფრო ფართო მნიშვნელობა შეიძინა, თუმცა ძირითადი არსი, რაც ემოციური და კოგნიტური პროცესების ურთიერთმიმართებას გულისხმობს, შეინარჩუნა.

ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივია ევროპული ლირიკული პოეზიის უპირველესი პოეტის, საპფოს პოეზია, რომლის შემოქმედებიდან, მართალია, მცირე ნაწილი შემორჩა, მაგრამ მისი მკითხველი უნებლიეთ მაინც იძირება პოეტის მიერ აღწერილ შორეულ სამყაროში, რომელიც ემოციური და გრძნობადია. ამ სამყაროსეული სურათის დასახატად საპფო მიმართავს ეკფრასისულ აღწერასა და ემპათიურ ხედვას, რაც მის პოეზიას ანიჭებს სენსუალურ სიღრმესა და ფერწერულ სინატიფეს. ნაშრომში წარმოვაჩენ თუ როგორ ერწყმის ერთმანეთს საპფოს ლექსებში ეკფრასისი და ემპათია და როგორ იქცევა ეს სინთეზი მის შემოქმედებით მანერად.

---

1 Rajewsky I.O., *Intermediality, Intertextuality and Remediation: A Literary Perspective on Intermediality / Intermedialities*. 2005. N6. P. 43-64.

## გვანცა ფოფხაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
(საქართველო)

### ძველი ბერძნული ასტრონომიული ტერმინოლოგიის თავისებურებები და მისი ქართულად გადმოცემის გზები

ძველი ბერძნული ასტრონომია მოიცავდა ძალზე ზუსტ, მდიდარ და დამკვირვებელზე ორიენტირებულ ნომენკლატურას, რომელიც ციური მოძრაობების ნათლად კონცეპტუალიზაციის საშუალებას იძლეოდა. თანამედროვე ასტრონომიული ტერმინოლოგია ხშირად სათავეს იღებს ძველი ბერძნული მემკვიდრეობიდან, თუმცა ჩამოყალიბებულია უფრო ტექნიკურ, სტანდარტიზებულ, ზოგჯერ კი უფრო აბსტრაქტულ ცნებებად. ბერძნულ ფუძეებზე ნაწარმოებ ცნებებს თანამედროვე ასტრონომიული ნომენკლატურა მრავლად შეიცავს: **პლანეტა**, **გალაქიკა**, **კოსმოსი**, **ეკლიპტიკა**, **სფერო**, **სინოდური** და ა.შ. თუმცა ძველი ბერძნული ტერმინისათვის თანამედროვე საპირწონე ტერმინის მოძიება შეიძლება პრობლემატური იყოს: ლინგვისტური ბმა შინაარსობრივ ბმას ყოველთვის არ მოიაზრებს. გასათვალისწინებელია ისტორიული კონტექსტი და დარგობრივი მიღწევები, მაგალითად: სამყაროს გეოცენტრული მოდელიდან ჰელიოცენტრულზე გადასვლა, ასევე ცნებათა მნიშვნელობის გრადაცია კონკრეტულიდან აბსტრაქტულამდე (ბერძნული ტერმინები ხშირად აღწერდა ფიზიკურ მოდელს, როგორებიცაა: ეთერისაგან შედგენილი „ნაჭუჭები“ და სფეროები, ხოლო თანამედროვე ტერმინები აღწერს უხილავ ძალებსა და ჰიპოთეტურ მათემატიკურ მოცემულობებს). გარდა ამისა, მხედველობაში მისაღებია ისეთი ფაქტორიც, როგორიცაა სრულყოფილი წრეების (ეპიციკლი, დეფერენტი) კომბინაციათა ჩანაცვლება ელიფსური ორბიტებით და ა.შ.

საანალიზოდ აღებულია მხოლოდ საკვანძო ტექნიკური ასტრონომიული ტერმინები (შესაბამისად, არ ვეხებით ნახევრად მითიურ თუ ფილოსოფიურ-კოსმოლოგიურ ცნებებს), კვლევის მეთოდთაგან შერჩეულია: კომპარატივისტული, ტექსტუალური ანალიზის რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდები. კვლევის შედეგად გამოვლინდა ტერმინთა რამდენიმე ჯგუფი, რომლებიც ქართულად გადმოღებისას განსხვავებულ მიდგომას მოითხოვს:

ტერმინები, რომელთა მნიშვნელობაც, უმეტესწილად, არ შეცვლილა ძველი ბერძნულიდან თანამედროვე ასტრონომიაში. ასეთი ტერმინები ხშირ შემთხვევაში დაკვირვებად ციურ მოვლენებს ასახავს და გამოყენების არეალს დღესაც ინარჩუნებს სიცხადისა და უნივერსალურობის წყალობით. იმ იშვიათ, თითქმის უცვლელად შემონახულ, ასტრონომიულ ტერმინთა რიგშია, მაგალითად, „სიზიგია“ (σύν – ერთად, Ζυγόν – უღელი). სიზიგია ხდებოდა ახალმთვარეობისას (მზისა და მთვარის შეერთებისას) და სავსემთვარეობისას (მზისა და მთვარის ოპოზიციისას). მას საკვანძო როლი ეკისრებოდა მთვარის კალენდრისა და ასტრონომიული კალკულაციისათვის. ქართულად მას შეესაბამება „დაულღვა“, „შეულღება“. თუმცა უპირატესობას ვანიჭებ არა ამ ცნების თარგმანს, არამედ ტრანსლიტერაციას, ვინაიდან „სიზიგია“ თანამედროვე ასტრონომიაში იდენტური მნიშვნელობით გამოიყენება, ოღონდ უფრო განვრცობილად: იგი ეხება გარე პლანეტათა ტრანზიტსა და მოქცევა-უკუქცევით მოდელებს. აქვე მოიაზრება ის ტერმინებიც, რომელთა (ზემოთ ნახსენები ტერმინის მსგავსად) მნიშვნელობა იგივეა, თუმცა დამკვიდრებულია ლათინიზებული ფორმით (**კულმინაცია**), ასევე ტერმინები, რომლებსაც ზუსტი თარგმანი დაეძებნება: „**ამოსვლა**“, „**ჩასვლა**“ და ა.შ.

ტერმინები, რომლებსაც ძველი ბერძნული წარმომავლობის ფუძე აქვს, მაგრამ იმავე ფუძით ნაწარმოებ ცნებებს დღეს სხვა

დატვირთვით გამოიყენებენ: **πλανώμενος άστήρ** (ან **πλανώμενοι**) შეიძლება გადმოიცეს, როგორც „პლანეტა“, თუმცა ეს შესაბამისობა ისტორიული კონტექსტის გათვალისწინებით არასწორია: ძველ ბერძნებს არ ჰქონდათ კონცეფცია მზის გარშემო მბრუნავი პლანეტებისა, მათთვის ცაზე რეგულარულად მოძრავი ნებისმიერი ციური სხეული (ხუთი პლანეტა, მზე, მთვარე) იყო **πλανώμενος**. რადგან თანამედროვე ასტრონომიაში სიტყვა „პლანეტა“ მკაცრად განსაზღვრული მნიშვნელობით გამოიყენება და გამორიცხავს მზესა და მთვარეს, ამიტომ აღნიშნულ ბერძნულ ტერმინს უფრო შეესაბამება „**ცთომილი**“.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ტერმინებს, რომლებიც თანამედროვე მეცნიერებაში აღარ გამოიყენება – მეტადრე ისინი, რომლებიც მოძველებულ, ხმარებიდან გამოსულ გეოცენტრულ სამყაროსთანაა დაკავშირებული და მხოლოდ ასტრონომიის ისტორიის კონტექსტში შეიძლება შეგვხვდეს (ძალზე იშვიათად – თანამედროვე მეცნიერულ კონტექსტში). აქვე შეიძლება გაერთიანდეს ის ცნებებიც, რომლებიც მეცნიერულ ასტრონომიას ჩამოშორდა და მხოლოდ ასტროლოგიური კოსმოლოგიის სფეროთი შემოიფარგლება. რიგ შემთხვევაში რთულდება ამგვარი ცნებებისთვის ქართული შესატყვისის მოძიება და საჭირო ხდება ან რაიმე ნეოლოგიზმის შექმნა, ან მისი ანალოგის ძიება უფრო ძველ ტექსტებსა თუ არასამეცნიერო (ასტროლოგიურ) ლიტერატურაში.

## მანანა ფხაკაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
(საქართველო)

### ჰომეროსის გმირები

მოხსენებაში გახილული იქნება ჰომეროსის გმირები და მათი დამოკიდებულება ღმერთებთან. ჰომეროსის სახელით ცნობილი ერთი პოემა „ილიადა“ ბრძოლაზეა, როგორც ჩვენი არსებობის არსზე, რომელზეც მოგვიანებით სენეკა იტყვის – *vivere est military*, მეორე, „ოდისეა“ კი – ჩვენი ცხოვრების გზაზე, თვითშემეცნების რთულ და სიძნელეებით აღსავსე გზაზე. და ამის გადმოცემისას ჰომეროსის გმირებთან ერთად ღმერთები მოქმედებენ. ადამიანისა და ღმერთების დამოკიდებულებაზე, ისე, როგორც ჰომეროსის თითქმის ყველა საკითხზე, ბევრი დანერილა და უამრავი მოსაზრება გამოთქმულა, ზოგჯერ სრულიად საპირისპირო და ურთიერთგამომრიცხავი. ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ გმირის როლი უმნიშვნელოა პოემებში და ღმერთები მათ ქმედებებს წარმართავენ, თოჯინებით თავიანთ ნებაზე ათამაშებენ, ისინი შინაგანი სამყაროსგან დაცლილი არსებები არიან, რომლებიც ღმერთების ბრძანებებს (ზოგ შემთხვევაში სმენით ჰალუცინაციებს) დაუფიქრებლად ასრულებენ; ზოგიერთი – რომ ღმერთები და ადამიანები ჰარმონიულ ერთიანობაში არიან ერთმანეთთან, ღვთაებრივი და ადამიანური ერთმანეთშია გადაჯაჭვული; ზოგიერთი უპირატესობას ანიჭებს არცთუ იშვიათად ღმერთების დამშინებელ გმირებს, აღიარებს მათ არჩევანს ქმედებისას და, შესაბამისად, მათ არა მხოლოდ ინდივიდუალურ, არამედ ღრმა ხასიათებად მიიჩნევს. მოხსენებაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ჰომეროსის პოემებში უპირატესობა ადამიანურ გმირებს ენიჭება და მათი ქმედება საკუთარი გადაწყვეტილების შედეგია, ღმერთე-

ბი კი მხოლოდ ადამიანური გრძნობებისა და ქმედებების გან-  
ზოგადებად ან იმ არაცნობიერის გამოვლინებად შეიძლება  
მივიჩნიოთ, რომელიც ღრმა გავლენას ახდენს ადამიანის აზრე-  
ბზე, ემოციებსა და ქცევებზე. ალბათ, ამიტომაც მოითხოვდნენ  
ჰომეროსის დასჯას ღმერთების უპატივცემულობისთვის ჯერ  
კიდევ ქსენოფანე, ჰერაკლიტე და პლატონი.

## ეკატერინე ქართველიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
(საქართველო)

### საქართველოდან საბერძნეთში მიგრირებულ ბერძენთა ზეპირი ნარატიული ტექსტების კვლევის მეთოდები

წინამდებარე მოხსენება წარმოადგენს ჩემი სადისერტაციო ნაშრომის „იდენტობის კონსტრუქცია საქართველოდან საბერძნეთში მიგრირებულ ბერძენთა ზეპირი ნარატიული ტექსტების მიხედვით“ ერთ-ერთ ნაწილს და ეძღვნება იმ კვლევით მეთოდებს, რომლებიც ზეპირი ისტორიების შესწავლისთვის გამოიყენება. მოხსენება მიზნად ისახავს იმ მეთოდოლოგიური ჩარჩოს წარმოდგენას, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება ნარატივების ანალიზი.

სადისერტაციო ნაშრომის მიზანია, შეისწავლოს საქართველოდან საბერძნეთში მიგრირებულ ბერძენთა იდენტობა და ეფუძნება მათთან პირისპირ გამოკითხვის მეთოდით განხორციელებულ და მოგვიანებით ტრანსკრიბირებულ ინტერვიუებს. შესაბამისად, კვლევა არის ემპირიული და მოიცავდა შემდეგ ეტაპებს: თეორიული მიდგომა, სტრატეგია, მეთოდები, პროცედურები, წესები, ინსტრუმენტები, მასალის ანალიზი.

ჩანაწერები ნახევრად სტრუქტურირებული ხასიათისაა, რაც გულისხმობს სიღრმისეულ, თავისუფალ და ნარატიულ ინტერვიუებს, შესაბამისად, კვლევა ითვალისწინებდა თვისებრივ მეთოდებს. სიღრმისეული ინტერვიუ მონაცემების ანალიზის ოთხ ეტაპს მოიცავდა. ესენია: კოდირება, კატეგორიზაცია, ლოკალური ინტეგრაცია და ინკლუზიური ინტეგრაცია. გარდა ზემოხსენებული მეთოდისა, მივმართეთ კვლევის რაოდენობრივ მეთოდსაც, რამაც კიდევ უფრო ობიექტურ შედეგებზე გასვლის საშუალება მოგვცა. პროექტისა და კვლევის მიზნებიდან გამომ-

დინარე, რესპონდენტები შერჩეულ იქნენ სტრატეგიციკრებული შერჩევის მეთოდით. ისინი დავეყავით ორ დიდ ენობრივ (ბერძნულ-ლენოვან და თურქულენოვან) ჯგუფად. თავის მხრივ, აღნიშნული ჯგუფები იყოფოდა ოთხ ასაკობრივ ქვეჯგუფად. გათვალისწინებული იყო სქესიც.

ნაშრომში გამოყენებულია კონტენტ-ანალიზი, რომელიც ტექსტის დეტალურ და სისტემურ ანალიზსა და ინტერპრეტაციას ახდენს კონკრეტული შინაარსის, თემებისა თუ ტენდენციების გამოსავლენად. ასევე ვეყრდნობით კონტექსტის ანალიზს – ობიექტის გარემოს შესწავლის მეთოდს, რისი მეშვეობითაც შესაძლებელია, ვიმსჯელოთ, თუ რა გავლენას ახდენს სოციალური თუ ისტორიული გარემო საკვლევ საკითხებზე.

ამრიგად, მოხსენება მიზნად ისახავს იმ კომპლექსური და შერეული კვლევითი მიდგომების წარდგენას, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება ზეპირი ნარატივების ანალიზი და საქართველოდან საბერძნეთში მიგრირებულ ბერძენთა იდენტობის მრავალგანზომილებიანი შესწავლა. ეს, თავის მხრივ, წვლილს შეიტანს მიგრაციის კვლევებში, რადგან დაგვეხმარება იმ პროცესების გააზრებაში, თუ როგორ ინარჩუნებენ მიგრანტები კულტურულ მემკვიდრეობას, როგორ ვითარდება ენობრივი მრავალფეროვნება და როგორ იცვლება მათი სოციალური იდენტობა ახალ გარემოში.

## ლია ქაროსანიძე

არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი,  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
(საქართველო)

### ბიზანტიური ენობრივი ნორმები და ქართული მთარგმნელობითი სკოლა

ძველი ქართული მთარგმნელობითი სკოლა თავიდანვე ეყრდნობოდა ბიზანტიურ ენობრივ ნორმებს, რომლებიც, თავის მხრივ, ანტიკური ტრადიციებიდან მომდინარეობდა და საუკუნეების განმავლობაში უწყვეტად ივსებოდა, იცვლებოდა, ვითარდებოდა.

1901 წელს გერმანელმა მეცნიერმა ალფრედ ჰილგარდმა ერთ კრებულად გამოსცა ბიზანტიური ხანის ენის თეორიების ამსახველი წყაროები, „გრამატიკის ხელოვნების“ ვრცელი კომენტარები. სხვადასხვა ავტორთა სქოლიოებში თავმოყრილია ყველა ის ენობრივი ნორმა, რომლებსაც, როგორც ეს მრავალი ფაქტით დასტურდება, ყველა ქართველი მთარგმნელ-მეცნიერი სიღრმისეულად იცნობდა. შესაბამისად, ქართული მთარგმნელობითი სკოლის მიერ გარკვეულ წესებად ჩამოყალიბებული ენობრივი ნორმების, სისტემური და მკაცრ წესებზე დაფუძნებული ტერმინოლოგიური სიტყვანარმოების კვლევა ბიზანტიური გრამატიკული წყაროების გათვალისწინების აუცილებლობას განაპირობებს და მათი ქართულად თარგმნის საჭიროების საკითხს სვამს. დიონისე თრაკიელის გრამატიკისა და მისი კომენტარების მცირე ნაწილის ქართული თარგმანი ბერძნულ-ქართული ენობრივი ურთიერთმიმართების შესასწავლად საკმარისი არ არის.

ბერძნულ-ქართული ენობრივი ნორმების ჩამოყალიბება საუკუნეების განმავლობაში მიმდინარეობდა, თანდათან

იქმნებოდა ქართული ენის ბუნებისთვის მისაღები გრამატიკული წესები. როგორც ცნობილია, ხელნაწერთა „შეისწავეებში“ შემონახულია უმნიშვნელოვანესი ენობრივი დაკვირვებები, დასკვნები, თუმცა ამ ნორმების ჩამოყალიბება და მათი დაცვა ადვილი არ ყოფილა. შესასწავლი იყო *სქესის, არტიკლის, ორობითი რიცხვის* თუ სხვა, ქართული ენისთვის უცხო, გრამატიკული კატეგორიები. მეცნიერულ ალღოს და უნარს მოითხოვდა ქართული ენის სინტაქსისთვის ბერძნული ბრუნვებისა და მათი ფუნქციების მისადაგება, განსაკუთრებულ სირთულეს ქმნიდა მეოთხე ბრუნვა, აიტიაციკე, რომელსაც თავისი სინტაქსური „ძალი“ ჰქონდა და მისი ფუნქციები, როგორც ჩანს, ერთ-ერთი რთულად მოსაგვარებელი საკითხი იყო; ამის შესახებ მსჯელობას მე-11 საუკუნის გრამატიკულ ტრაქტატშიც ვხვდებით და ანტონ კათალიკოსის გრამატიკაშიც. „შეისწავეები“ სრულად ჯერჯერობით ისევ არ არის გამოკვლეული, შესაბამისად, არ გვაქვს შესწავლილი ის ენობრივი ნორმები, რომლებიც შუა საუკუნეების ქართველმა მეცნიერებმა ბიზანტიურ ენობრივ კანონებზე დაყრდნობითა და შედარებითი ანალიზით ჩამოაყალიბეს. მოხსენებაში განვიხილავთ *ბიზანტიელის* სახელით ცნობილი ავტორის გრამატიკულ სქოლიოს, რომელშიც ანტიკური სახელებისა და ცნებების გვერდით ქრისტიანულიც ჩნდება. *ბიზანტიელის* სქოლიოები ქართულად ჯერჯერობით თარგმნილი არ არის. ვფიქრობთ, ნაკლებ სავარაუდოა, რომ ამ გრამატიკული წყაროების, წესების ცოდნის გარეშე შესდგომოდნენ სახარების თარგმნას საქართველოში.

ქართულ-ბიზანტიური ენობრივი ტრადიციების შესახებ გამოკვლევები ევროპელ მეცნიერთათვისაც მნიშვნელოვანია, რადგან ქართულ წყაროებში შემონახული დაკვირვებები ბიზანტიური ენის კვლევის თვალსაზრისითაც ღირებულია. ვფიქრობთ, ამ მიმართულებით კვლევის ინტერესი თანამედროვე ქართულ ბიზანტინოლოგიაში მეტად უნდა გამოიკვეთოს.

## **მანანა ლარიბაშვილი**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
(საქართველო)*

### **ძველი რომაული ლირიკა ალექსანდრიული პოეზიის კონტექსტში**

ბერძნულენოვანი პოეზია, რომელსაც პირობითად ალექსანდრიული ეწოდება, თუმცა საკმარისად სცდება ქალაქ ალექსანდრიის გეოგრაფიულ ფარგლებს, რომაულ ლირიკაზე არათუ გავლენას ახდენდა, არამედ მნიშვნელოვანი წილიც უდევს მის საბოლოოდ ჩამოყალიბებასა და ფორმირებაში.

ჩვენი ნაშრომის მიზანია, განვსაზღვროთ ის გავლენა თუ გავლენები, რომლებიც ალექსანდრიულმა პოეზიამ მოახდინა რესპუბლიკის ხანის რომაულ პოეზიაზე. კერძოდ, პორაციუსის, ვერგილიუსის, კატულუსისა და სხვა რომაელი პოეტების ქმნილებებზე.

ცნობილია, რომ II საუკუნის ბოლოდან რომში პოეზიამ დაკარგა ის წამყვანი ფუნქცია, რომელიც მას ლიტერატურაში ადრე ჰქონდა. როგორც საბერძნეთში თავის დროზე ფილოსოფიურ-რიტორიკულ კულტურაზე გადასვლა, პირველ ყოვლისა, პროზის უპირატესობით აღინიშნებოდა, ასევე აქაც, რომშიც ლუცილიუსის მერე პოეზიაში დიდხანს არ გამოჩენილა მნიშვნელოვანი პოეტი; რომაული ლიტერატურის ძველი პოეტური ჟანრები, როგორებიც იყო მაგალითად, ისტორიული ეპოსი და დრამა, ეპიგონების ხელში დაკნინებას განიცდიდა, თუმცა კონსერვატიული რესპუბლიკანიზმი ამ არქაულ მიმდინარეობას ამჯობინებდა, მაგრამ აშკარა იყო, რომ ამ ჟანრებმა ამოწურეს თავი (შეიძლება ითქვას, რომ ლუკრეციუსი იყო ერთადერთი მნიშვნელოვანი პოეტი არქაისტებს შორის).

დაახლოებით ამ დროს იწყებს რომში შემოჭრას ელინისტური ლიტერატურა და ამკარაა ალექსანდრიული პოეზიისკენ ლტოლვა: აპოკალიპტიკობა, სოციუმის ვინრო წრისკენ მიმართული „განსწავლელობა“, პირადი განცდებისა და ვნებების აქცენტირება, ფორმის უკიდურესი სრულყოფილება და მისი კულტი – ყველაფერი ეს, რაც ალექსანდრიული პოეზიისთვის იყო დამახასიათებელი, რომელი პოეტების გარკვეული წრისთვის მეტად საყურადღებო და საინტერესო აღმოჩნდება.

აქ ყველაზე ადვილი დასანახია ეგრეთ წოდებული „სწავლეული პოეზიის“ მიმართ მიმბაძველობა, ასე ვთქვათ, *doctus poeta*-ს სტერეოტიპი. ეს, პირველ რიგში, გამოხატულია მითოლოგიზებული სასიყვარულო პასაჟების სიმრავლით; ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევიან პროპერციუსი და ოვიდიუსი. თუმცა ისინი, ცხადია, მთლად მარტონიც არ არიან.

უნდა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ ეს მიმბაძველობა შემოიფარგლება უფრო ხშირად ელეგიური დისტიქით და ამგვარი ტექსტების საერთო რაოდენობა ძალიან დიდიც არ არის. ვფიქრობთ, ეს მიმბაძველობა ძნელია, რომ ქმედით გავლენად მივიჩნიოთ, რადგან არავითარი დადებითი კვალი მას არ დაუტოვებია, უფრო საერთო პოეტური ნაკლია, ვიდრე ღირსება.

რომაული ლირიკა ალექსანდრიულისგან, პირველ რიგში, ჟანრულად არის დავალებული (ელეგია, ეპიგრამა, ეპილიონი, იდილია), აგრეთვე მისი გავლენით გაიზარდა და გაფართოვდა მხატვრულ ხერხთა არსენალი. ამ მხრივ ნიშანდობლივია კატულუსის მიერ შესრულებული თარგმანი კალიმაქეს გრძელი ლექსისა (მას შესაძლოა, პოემაც ვუნოდოთ) „ბერენიკეს ნაწნავი“. ეს არის არა თარგმანი თარგმანისთვის, არამედ ალექსანდრიული მდიდარი პოეტიკის მხატვრულად ათვისების წარმატებული მცდელობა. კატულუსი ცდილობს, მოსინჯოს, როგორ მოერგება ჯერ ისევ ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ლათინური პოეტუ-

რი ენა ალექსანდრიელთა რთულ სინტაქსს და ხშირ შემთხვევაში ხელოვნურად გართულებულ მხატვრულ სახეებს.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ეპიგრამის ჟანრიც, რომელიც ალექსანდრიელთაგან მომდინარეობს. მან რომში არნახული გავრცელება პოვა და გაცილებით გადასხვაფერდა კიდევ. საკმარისია ითქვას, რომ ეპიგრამამ თავისი დღევანდელი მნიშვნელობა დამცინავი ლექსისა სწორედ რომში მიიღო და ამაში მთავარი წვლილი უთუოდ ცნობილ რომაელ პოეტსა და ეპიგრამატისტს – მარციალისს მიუძღვის, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მის ეპიგრამებს შორის დროდადრო არასატირულ, ლირიკულად შემძვრელ ტექსტებსაც ვხვდებით.

მიუხედავად ზემოთქმულისა, რომაული პოეზია ამ გავლენებზე გაცილებით მაღლა დგას: ის სუბიექტურ-ლირიკული სანყისი, რომელიც აგრერიგად გვხიბლავს არაერთი რომაელი პოეტის შემოქმედებაში, ალექსანდრიელებისთვის სრულიად უცნობია და მათი ხელოვნურობით აღბეჭდილი ლექსისთვის, შეიძლება ითქვას, იმთავითვე მიუღწეველია.

## სოფიო შამანიდი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
(საქართველო)

### პატროკლოსი – მხოლოდ „*φίλατος ἐταῖρος*“?

ჰომეროსის გმირების, აქილევსისა და პატროკლოსის ურთიერთობაზე დისკუსია უკვე ანტიკურ ეპოქაში მიმდინარეობდა. მიუხედავად იმისა, რომ ჰომეროსის პოემებში ენის დონეზე არსად ჩანს, რომ ამ ორი გმირის კავშირი ოდენ მეტია, ვიდრე მხოლოდ მეგობრობა, ანტიკური ხანის ფილოსოფოსები, მათ ფეხდაფეხ კი თანამედროვე მეცნიერები ფიქრობენ, რომ შესაძლებელია ამ ორ პერსონაჟს არა მხოლოდ მეგობრობა, არამედ სხვაგვარი ურთიერთობა აკავშირებდეთ. საბაბი მსგავსი მოსაზრებებისა, რასაკვირველია, ერთი მხრივ, თავად ჰომეროსის ტექსტის განსხვავებული წაკითხვა თუ აღქმაა, მეორე მხრივ კი ანტიკური ეპოქის მწერლების განმარტებები ამ საკითხთან დაკავშირებით. ალბათ, პირველი, ვინც ამ „დაფარულ სიყვარულზე“ დაიწყო საუბარი, ესქილე იყო. როგორც ჩანს, მის ფრაგმენტულად შემორჩენილ ტრაგედიაში *მირმიდონელები* აქილევსი და პატროკლოსი შეყვარებულები არიან. ამის შესახებ პლატონი გვიამბობს თავის *ნადიმში* (179e-180b), სადაც არც რაიმეს უარყოფს და არც ადასტურებს, უბრალოდ როგორც მოცემულობა, ისე წერს ამ ურთიერთობაზე, ანუ პედერასტიაზე. იგივე სულისკვეთებაა ქსენოფონის *ნადიმში* (8.31), სადაც არც ეს უკანასკნელი დავობს რაიმეზე, არამედ როგორც შემდგარ ფაქტს, ისე ამბობს, რომ ეს ორი კაცი შეყვარებულები იყვნენ. თუმცა უკვე ანტიკურობაში მსგავსი რამ მკაცრად უარყოფილი იყო, მაგალითად, არისტარქოსის სქოლიოებში, სადაც ის წერდა, რომ აქილევსა და პატროკლოსს შორის ურთიერთობა მამაკაცების მეგობრობას არ სცილდებოდა. მეტიც, ის ამტკიცებდა,

რომ მსგავსი „საჩოთირო“ ფრაგმენტები ჰომეროსს საერთოდაც არ ეკუთვნოდა, არ იყო ავთენტური და მოგვიანებით იყო ჩამატებული, რადგან, მაგალითად, აქილევის გვემა ილიადის ბოლო სიმღერაში ამკარად გადაჭარბებული იყო და არ შეეფერებოდა მის ხასიათს (Scholia A ad II. 18.316–317).

თანამედროვე მეცნიერები, ძირითადად, ერთსა და იმავე არგუმენტებს მოიშველიებენ, როდესაც ამ ორი პერსონაჟის, გმირის, მამაცი მეომრის სრულიად განსაკუთრებულ, ფაქიზ ურთიერთობაზე მსჯელობენ. ამ არგუმენტებს და მათ საწინააღმდეგო მეცნიერულ მოსაზრებებს მოხსენებაში მოვიხიშობთ.

თუმცა ერთია, როგორ აღიქვამს ტექსტს მეცნიერი და მეორე, რას ხედავს ამ ტექსტში მწერალი. თანამედროვე მწერლობა კი, რალასაკვირველია, აღფრთოვანდა ჰომეროსის ტექსტის ინტერპრეტაციის შესაძლებლობით და არაერთი ნაწარმოები შეიქმნა, სადაც აქილევის და პატროკლოსი ჰომოსექსუალები არიან, დანყებული შექსპირით და მადლენ მილერით დამთავრებული. ჩემი სპეციალობის სპეციფიკიდან გამომდინარე ამ საკითხს თანამედროვე ბერძენი პოეტის ალექსანდროს ისარისის ერთი ლექსის მაგალითზე განვიხილავ.

## ნიკოლოზ შამუგია

დამოუკიდებელი მკვლევარი

### „ესაუბრება ვარსკვლავს ვარსკვლავი“ – ანტიკური და ქართული მწერლობა (რამდენიმე პარალელი)

ამა თუ იმ ერის მწერლობაში ანტიკური თემატიკის კვლევებისას, უპირველეს ყოვლისა, ისეთ პასაჟებს ეძებენ, სადაც ძველბერძნულ-რომაული მითოლოგიის პერსონაჟები, იმდროინდელი პიროვნებები თუ ადგილებია ნახსენები. ასეთ შემთხვევაში კავშირი, უშუალო თუ არაპირდაპირი, ახალ და ანტიკურ ტექსტებს შორის უდავოა და დაკვირვებას ითხოვს, რა დატვირთვას იძენს მწერლის მიერ ანტიკური თემატიკის გამოყენება.

გაცილებით საინტერესოა და რთულიც იმ მსგავსებათა გამოვლენა, რომლებიც ოდენ გარკვეულ მხატვრულ სახეში, სიუჟეტის დეტალში ან თუნდ ერთ ეპითეტში საცნაურდება კლასიკური მწერლობის ნიმუშებთან. ასეთ შემთხვევაში კავშირი ახალ და ანტიკურ ტექსტებს შორის შეიძლება სულაც არ არსებობდეს და მსგავსება შემთხვევითი იყოს. მსგავს ტიპოლოგიურ მსგავსებათა კვლევას განსაკუთრებით ბოლო პერიოდიდან მიეცა მეტი ყურადღება მსოფლიო ლიტერატურის შედარებითი შესწავლისას.

მოხსენებაში ყურადღება გამახვილებულია უმთავრესად გალაკტიონის ლექს „მამულზე“. ლექსში დადასტურებული ვენახში მოფუსფუსე მოხუცი მამის სახე ხანდახან გაიგივებულია ილიასთან, აკაკისთან ან მამა ღმერთთან. ჩვენ ამ ინტერპრეტაციებს მეთოდოლოგიურად გაუმართლებლად მივიჩნევთ, რამდენადაც ისინი ორ შესადარებელ მხატვრულ სახეს სურვილისამებრ ამატებს ან აკლებს არსებით დეტალებს. ჩვენი შეხედულებით, გალაკტიონისეული მხატვრული სახე ყველაზე უკეთ ანტიკურ მწერლობაში დადასტურებულ ერთ ცნობილ პასაჟს

ეხმიანება. მიუხედავად თვალსაჩინო მსგავსებებისა, იმის გამო, რომ კლასიკური მწერლობის ნიმუშთან მსგავსება იკვეთება ოდენ მხატვრულ სახეში, ისე, რომ ანტიკური საკუთარი სახელი ნახსენები არ არის, მეთოდოლოგიურად შეუძლებელია იმის გარკვევა, ავტორი ანტიკურობიდან იღებს, სესხულობს რაიმეს (უშუალო თუ არაპირდაპირი გენეტიკური კავშირი) თუ საქმე შემთხვევით თანხვედრასთან გვაქვს (ტიპოლოგიური პარალელი).

პარალელები ანტიკურ მწერლობასთან მოხსენებაში ასევე გამოვლენილია:

- 1) „ვეფხისტყაოსნის“ შემდეგ სტროფთან:  
„ჯოგი ნაველოთ, მოსრულნი ვესმით ჯოგისა ნაღებად,  
გამომართვის საომრად, ველთა სისხლითა დაღებად,  
ანაზღადად გვიცნობს, გაკრთების, გულსა შეჰჰლამის დაღებად,  
– ამოა კარგი ლაღობა, ლაღსა შე-ვე-იქმს ლაღებად“;
- 2) „ვეფხისტყაოსნის“ შემდეგ სტროფთან:  
„კაცსა უკრავად დაბნედდის ხმა ტარიელის ხაფისა,  
აბჯარსა ფრენდის, გაცუდდა სიმაგრე ჯავშან-ქაფისა.  
სამგნითვე კართა შესჯარნეს, ჭირი არ ნახეს კაფისა,  
რა ქალაქს შეხდეს, შეიქმნა სიხარკე ციხეს სწრაფისა“;
- 3) მდინარის ერთ გალაკტიონისეულ ეპითეტთან;
- 4) ლადო ასათიანის ლექს „ცხრა ძმა ხერხეულიძესთან“.

## ანა ჩიქოვანი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
(საქართველო)

### **ყნოსვითი მეხსიერება თანამედროვე ბერძნულ მოთხრობაში: სურნელი, როგორც მეხსიერების გასაღები**

მოხსენება შეისწავლის ყნოსვით მეხსიერებასა და წარმოსახვას შორის არსებულ რთულ და მრავალშრიან ურთიერთობას რჩეულ თანამედროვე ბერძნულ მოთხრობებში. სურნელი, როგორც მრავალფუნქციური ფენომენი ამ მოთხრობებში ასრულებს მნიშვნელოვან სოციალურ, კულტურულ და ემოციურ როლს.

კვლევა აჩვენებს, რომ სურნელი თანამედროვე ბერძნულ პროზაში ფუნქციონირებს როგორც მეხსიერების მატარებელი ან გასაღები. მას მოქმედებაში მოჰყავს როგორც ბავშვობის, ისე ისტორიული მოგონებები, რაც ხშირად ფუნდამენტურ გავლენას ახდენს ნარატივის განვითარებაზე. გარდა ამისა, სურნელი გამოიყენება როგორც იდენტობისა და კულტურული მემკვიდრეობის ნიშნული, რაც მკითხველს აძლევს საშუალებას უკეთ გაიგოს პერსონაჟების სოციალურ-კულტურული ფონი და ისტორიული კონტექსტი.

სურნელი მნიშვნელოვანი ემოციური ინსტრუმენტია, რომლის მეშვეობითაც გამოხატება და ძლიერდება ნოსტალგია, სიყვარული, შიში და სხვა გრძნობები. ამ მხრივ, სურნელი ზემოქმედებს არა მხოლოდ პერსონაჟებზე, არამედ ქმნის ნაწარმოების ატმოსფეროსა და გარემოს, რაც ზრდის მკითხველის ემოციურ ჩართულობას.

ნაშრომის მიზანია გაანალიზოს, როგორ აღძრავს სურნელი მეხსიერების ტალღებს და როგორ გარდაიქმნება ისტორიულ, გეოგრაფიულ და კულტურულ პირობებთან დაკავშირებულ

კომპონენტად. ამავდროულად საინტერესოა, რომ სურნელის ინტერპრეტაცია არ არის სტატიკური, ის ცვალებადია და გარდამტეხი როგორც პიროვნული, ისე კოლექტიური გამოცდილების თვალსაზრისით.

სურნელის მრავალფეროვანი ფუნქციები, როგორცაა მეხსიერების გასაღები და მატარებელი, კულტურული იდენტობის მაჩვენებელი, აძლიერებს წარმოდგენას სურნელისა და ყნოსვითი მეხსიერების მნიშვნელოვანი როლის შესახებ თანამედროვე ბერძნულ ლიტერატურაში.

## ნინო ჩიხლაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი (საქართველო)

### „ის, ვინც ეძებს და მაინც ვერ პოულობს“ (ნინო ხარატიშვილი. „ელექტრას ომი“)

ანტიკურ მითებს, ყველა დროსა და სივრცეში, მუდმივ წყაროდ ყოფნის და რეგენერაციის დიდი ძალა აქვს. რაც მეტად იყენებენ, მით მეტად ცოცხლდება და თითქოს ხელახლა იზადება. ერთ-ერთ მუდმივად საინტერესო მითად ავტორებისთვის ითვლება ელექტრას მითი, რომელსაც აქვს, როგორც ბატონი რისმაგ გორდეზიანი განსაზღვრავს ანტიკურ მითებს, ჩვენი აღელვების, შთაგონების, დაინტერესების უნარი. ამ მითზე სამივე ტრაგიკოსმა, ესქილემ, სოფოკლემ და ევრიპიდემ შექმნეს ტრაგედები და სამივე ტრაგედია არის ჩვენამდე სრულყოფილად მოსული, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ამ ავტორებთან ელექტრას მითის გრადაციისთვის თვალყურის მიდევნება საშუალებას გვაძლევს, თვალნათლივ დავინახოთ პერსონაჟების ხატვის ძველბერძენ დრამატურგთა ის განსხვავებული მანერა, რომელზეც არისტოტელე საუბრობს თავის „პოეტიკაში“.

საქართველოში, ამჟამად, თამამად შეიძლება ითქვას, ანტიკურობის ბუმი. თითქმის არ დარჩენილა მეტ-ნაკლებად ცნობილი თეატრი, რომ რომელიმე ძველბერძნული ტრაგედია არ იდგმებოდეს. ამის, და კიდევ, იმის გამო, რომ პიესა ბევრ თანამედროვე პრობლემას ეხება, მოხსენებაში შევეცდებით ვაჩვენოთ, ინტეპრეტაციის როგორი გზა შემოგვთავაზა ტრაგედიაში „ელექტრას ომი“ ნინო ხარატიშვილმა, რომლის პიესები, საქართველოს გარდა, წარმატებით იდგმება გერმანიის, შვეიცარიის, ავსტრიის და სხვა ქვეყნების თეატრებში და რომელიც დღეისათვის ერთ-ერთ წარმატებულ ქართველ შემოქმედად ითვლება.

პიესა აქტუალურია თუნდაც იმიტომ, რომ ომის თემაა, სამწუხა-

როდ, თანამედროვე მსოფლიოსთვის აქტუალური. პიესაში, როგორც ავტორი ამბობს, „ყველა იდეა ომმა შეინირა, სიცოცხლის იდეის გარდა“. ტრაგედიაში შენარჩუნებულია ელექტრას მითის ძირითადი ხაზი – შინ დაბრუნებულ აგამემონს კლავენ კლიტემნესტრა და ეგისტოსი, ელექტრა კი ცდილობს, შური იძიოს მამის მკვლელობისთვის ძმის, ორესტესის, დახმარებით.

მოქმედება ხდება თანამედროვე ქალაქში და საინტერესოდ ცოცხლდება ტროას ომის ძველთაძველი ამბები ისეთი დეტალების ფონზე, როგორებიც არის: მობილური ტელეფონი, რეჟმატიზმი, თანამედროვე ტიპის საბრძოლო იარაღებით ვაჭრობა, მშვიდობის ფონდი, რელიგიაში გადავარდნილი ფანატიკოსები, ბომბები, დიდი დოზით პოლიტიკა, ლტოლვილები და სხვა.

პიესის პერსონაჟები არიან: ელექტრა – ვინც ეძებს და მაინც ვერ პოულობს; კლიტემნესტრა – ვინც დაიღალა და ღმერთებს მიენდო; ეგისტოსი – ვინც რწმენა დაკარგა და ამიტომ იარაღს აგროვებს; ქრიზოთემისი – ვისაც ასეთუისებენიერი ცხოვრება უნდა; ორესტესი – ვისაც ჰგონია, რომიპოვარასაც ეძებდა, მაგრამ ცდება; პოლიქსენა – ვისაც აღარაფერი აქვს დასაკარგი.

ტრაგედიაში მუდმივად, პარალელურად ვითარდება ბინალური ოპოზიციები ტროა/თანამედროვე ქალაქი; ტროას ომის გამოძახილები/საკუთრივ ელექტრას ომი; ომში გამარჯვებულები/ ომში დამარცხებულები; ომიდან შინ დაბრუნებული, სახედაკარგული ადამიანი/დამხვედურთა, ომში არ მყოფთა, მაგრამ მაინც, იმავე ომის შედეგებით სახედაკარგული ადამიანები; შეიარაღებაზე ზრუნვა/განიარაღებაზე ზრუნვა; შურისძიება/მიტევება; მოკეთედ შემოპარული მტერი/მტრად ქცეული მოკეთე; ორი სიმართლე/ორი სამართალი; სიყვარული/სიძულელი; შურისძიება/მიტევება და სხვა.

ხარატიშვილის „ელექტრას ომში“ როლები თანაბრად არის გადანაწილებული ყველა პერსონაჟზე და მხოლოდ ელექტრა არ არის მთავარი გმირი – გმირია ყველა, ვინც ელექტრას ომშია

ჩართული, ზემოთ ჩამოთვლილი პერსონაჟები. ყველას თავისი დატვირთვა და თანაბარი პარტია აქვს, მათ შორის, ისეთ პერსონაჟებსაც, რომლებსაც, ბერძენ ტრაგიკოსთა ელექტრასადმი მიძღვნილ ტრაგედიებში უტყვი, ან არანაირი როლი არ აქვთ, როგორც, მაგალითად, ეგისტოსს და პოლიქსენეს.

მოხსენებაში შევეცდებით ვაჩვენოთ, როგორი მხატვრული საშუალებებით ახერხებს ავტორი ძველ ამბავში ახალი სათქმელი თქვას; რა შეცვალა პრინიპულად და რა დატოვა უძველესი მითიდან; რომელი ძველი ბერძენი ტრაგიკოსის ზეგავლენა უფრო იგრძნობა, ან შეიძლება თუ არა ამ ტიპის ზეგავლენაზე საერთოდ საუბარი; რამდენად დამაჯერებელია შეცვლილი ფინალი – ორესტესის გარკვეული „კამიკაძეობა“ და სხვებთან ერთად თავის დაღუპვა; როგორ იქცა XXI საუკუნის ავტორთან, უძველესი მითი ელექტრაზე თანამედროვე სამყაროს უმნიშვნელოვანეს პრობლემებზე ყურადღების გამახვილების საუკეთესო საშუალებად, რაც, ვფიქრობთ, საუკეთესოდ აკუმულირდება ერთ ფრაზაში, რომელსაც არჩევანის წინაშე დამდგარი პოლიქსენა წარმოთქვამს: „ბომბი ელექტრას, თუ გული ორესტესს?“ როგორი იყო ტროას ომში მონაწილეთა (დამარცხებულების და გამარჯვებულების) ხვედრი ომის შემდეგ; რა შედეგებით სრულდება ომები კაცობრიობის ისტორიაში და როგორ დამთავრდა საკუთრივ ელექტრას ომი პიესაში.

ასევე შევეცდებით, გავაანალიზოთ, რა მიზეზები არსებობს იმისთვის, რომ თუ რომელიმე თეატრი ამ პიესას შეარჩევს სცენაზე დასადგმელად, რა სათქმელს მიიტანს მაყურებლამდე უძველესი ელექტრა თანამედროვე, ძალიან საინტერესო ავტორის, ნინო ხარატიშვილის ინტერპრეტაციით.

## **ზაზა ხინთიბიძე**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
(საქართველო)*

### **თანაგრძნობის გამოვლენა და სირცხვილის განცდა, როგორც ეპიკური გმირის პიროვნულობის გამოხატულება, ჰომეროსის ეპოსსა და ვეფხისტყაოსანში**

არისტოტელეს *პოეტიკიდან* მოყოლებული ეპოსის, ეპიკური პოემების მხატვრული ანალიზის ძირითად მიმართულებებად დღემდე რჩება ორი ტრადიციულად უმთავრესი ასპექტი. ესენია: მეტ-ნაკლებად შაბლონური ფაბულიდან ავტორთა მიერ ორიგინალური თუ, სულაც, ინოვაციური ხასიათის სიუჟეტის კომპოზიციური ორგანიზების (კერძოდ, მისი, ანუ აღნიშნული ტიპის სიუჟეტის, პოეტური ერთიანობის გამომწვევ) თავისებურებათა გამოვლენა; და გმირთა ტიპური ხასიათებისათვის განუმეორებლობის, ინდივიდუალურობის მისანიჭებლად ამა თუ იმ ეპიკოსის მიერ გამოყენებული მხატვრული საშუალებების შესწავლა.

ფაბულა და მისი გადამუშავება-განვრცობით შექმნილი სიუჟეტი ნებისმიერი ეპიკური მხატვრული ტექსტის უმნიშვნელოვანესი ნაწილი და ამდენად, თუ ასე შეიძლება ითქვას, მისი ხერხემალია; თუმცა, რაოდენ მნიშვნელოვანიც არ უნდა იყოს, ნათელია, რომ ესთეტიკურ სიამოვნებას ის მსმენელსა თუ მკითხველზე ქვეცნობიერის დონეზე ახდენს. უმთავრეს მხატვრულ ზემოქმედებას, ანუ კათარსის კი ნაწარმოების სწორედ პერსონაჟები, მისი მხატვრული სახეები იწვევენ. სწორედ ისინი ასხამენ ხორცს ეპიკოსთა ინოვაციურ ჩანაფიქრს და სამუდამოდ აღიბეჭდებიან ჩვენს გონებასა თუ მესხიერებაში, რაც, უდავოა რომ, ჩვენთვის გაცნობიერებულად ხდება. ალბათ, ამიტომაც აცხადებს რუსთველი საგანგებოდ *ვეფხისტყაოსნის* პროლო-

გის პირველსავე სტროფებში, რომ „წყობილი მარგალიტის“ (ანუ კომპოზიციურად სრულქმნილი „ამბავის“) შექმნა-გააღიქსვისას „გულ-ლახვარ-სობილი“ არის ტარიელისათვის, ხოლო „მათ სამთა გმირთა მნათობთა სჭირს ერთმანერთის მონება“. სწორედ ამ მიზეზითვე არ უნდა მივიჩნიოთ შემთხვევითობად ის გარემოებაც, რომ ილიადის და ოდისეის პროოიმიონში ჰომეროსი საუბრობს თავისი პოემების პერსონაჟებზე; შესაბამისად, აქილევსზე, აგამემნონსა და „მრავლისმხილველ ვაჟკაცზე“ (ოდისევსზე) და ამით, იმავდროულად, წარმოაჩენს მისი გენიალური ქმნილებების სიუჟეტურად შემკვრელ ხაზებს – „მენისს“, ანუ რისხვასა და „ნოსტოსს“, ანუ შინ დაბრუნებას.

ეპიკური გმირები, უპირველეს ყოვლისა, ტიპური ხასიათები და ამდენად, ამ თვალსაზრისით, ისინი არაფრით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ილიადაში ყველა მეტ-ნაკლებად ცნობილი პერსონაჟი იღვწის არა უბრალოდ გამარჯვებისა და სახლში მშვიდობით დაბრუნებისათვის, არამედ, თუნდაც ბრძოლის ველზე სიკვდილის (მაგრამ გმირული სიკვდილის) შემთხვევაშიც კი, უკვდავი სახელისა და სამარადჟამო დიდების დამკვიდრებისათვის. მათი მხრიდან ეს არის, როგორც ჰომეროლოგიურ კვლევებში ხშირად უწოდებენ, გმირული სულისკვეთების გამოვლინება, რაც თანაბრადაა დამახასიათებელი როგორც აქაველი, ისე ტროელი მებრძოლებისათვის. სწორედ ამიტომ ბოლომდე, პიროვნული ტრაგედიის თავს დატყდომამდე ვერ პატიობს აქილევსი აგამემნონსა და აქაველთა მთელ ლაშქარს იმ შეურაცხყოფას, რომელიც მათ მიაყენეს მხევალი ქალის, ბრისეისის მისგან წაგვრით. ამით ხომ მისი ღირსება იქნა დაკნინებული; ღირსება, ურომლისოდაც შეუძლებელია წარმოვიდგინოთ ჰომეროსისეული გმირი. მეორე მხრივ, ჭაბუკი აქილევსის დაუმორჩილებლობით ილახება აგამემნონის, ხალხთა მეუფის ღირსებაც და მისი გავლენა ლაშქარზე გამოუსწორებელ ზიანს იღებს. სწორედ ამიტომაც უთვლის ოდისევსის პირ-

ით აქილევსს მასთან ელჩობის გამგზავნი აგამემნონი, რომ უნდა დაიცხროს ზღვარგადასული რისხვა და დამორჩილდეს მის მოთხოვნას შერიგების თაობაზე, რადგან „მას გავლენითაც აღემატება და ასაკითაც“. მამამისის, პრიამოსისა და საკუთარი სახელის უკვდავებას ელტვის ჰექტორიც, როგორც ამის შესახებ დაუფარავად მოუთხრობს გამოსათხოვარი საუბრისას თავის მეუღლეს, ანდრომაქეს. ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ არამცთუ მოულოდნელი, არამედ, პირიქით, სრულიად მოსალოდნელია ის დაუნდობლობა, რომელიც ახასიათებთ ჰომეროსის სეულ გმირებს მტერთან დაპირისპირებისას.

გავისხენოთ, როგორ უმოწყალოდ ხოცავს ერთი მეორის მიყოლებით მისი ღირსების შელახვით განრისხებული ოდისევსი სასიძოებს, რომლებიც ცოტა ხნის წინ მუხლმოყრილები ამაოდ ევედრებოდნენ პატიებას; ანდა ტროელთა სისხლის ზღვა, რომელიც ბრძოლის ველზე დააყენა პატროკლოსის დაღუპვის შემდეგ ომში დაბრუნებულმა აქილევსმა; გავისხენოთ ასევე ამათუ იმ აქაველი თუ ტროელი გმირის მიერ უკვე დამარცხებული მოწინააღმდეგისადმი სასტიკად მოპყრობის ამსახველი მრავალი სცენა ილიადიდან.

და მაინც, ჩვენს მეხსიერებაში აქილევსიც, ჰექტორიცა და ოდისევსიც, ისევე როგორც ჰომეროსის მიერ შექმნილი სხვა გამორჩეული პერსონაჟების მხატვრული სახეები, აღიბეჭდებიან არა სამარადჟამო დიდებისა თუ უკვდავი სახელის მოსაპოვებლად მოწინააღმდეგისადმი მათ მიერ გამოვლენილი სისასტიკითა და დაუნდობლობით, არამედ სრულიად სხვაგვარი, ერთი შეხედვით, ეპიკური გმირისათვის მოულოდნელი პიროვნული თვისებებით, რაზეც ხშირად მახვილდება ყურადღება ცნობილ ჰომეროლოგთა და, კერძოდ, აკადემიკოს რისმაგ გორდეზიანის ნაშრომებში. უფრო კონკრეტულად: ესაა ის თანაგრძნობა, რომელსაც იჩენს უბედურებით განადგურებულ პრიამოსთან ერთად აცრემლებული აქილევსი; ანდა სირცხვილის გრძნობა,

რომელსაც განიცდის თანამოქალაქეების მიმართ ჰექტორი; აგრეთვე ის თავმდაბლური თუ მზრუნველი დამოკიდებულება, რომელსაც ავლენს ოდისევსი როგორც ახალგაზრდა და ქარაფ-შუტა ნავსიკაასადმი, ისე მისი უმადური თანამებრძოლებისადმი, რომელთა გადარჩენასა და შინ უვნებლად დაბრუნებასაც არაერთი წელი ამოდ ცდილობს. სწორედ ეს და სხვა მსგავსი პიროვნული თვისებები ანიჭებენ განუმეორებელ ელფერს ჰომეროსისეულ მთავარ მოქმედ პირებს და ამდენად, მკვეთრად განასხვავებენ მათსავით საგმირო სულისკვეთებით თხემით ტერფამდე გამსჭვალული სხვა გმირებისაგან.

როგორც ირკვევა, გმირთა ინდივიდუალიზაციის თვალსაზრისით, მსგავსი კანონზომიერებები მოქმედებს რუსთველის *ვეფხისტყაოსანშიც*, რისი ნათელყოფაც ასევე წარმოადგენს წინამდებარე საკონფერენციო მოხსენების მიზანს.